www.24saati.ge
# 24 საათი
© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 19 დეკემბერი, 2008 წელი. №284 (2028) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## ანგარიში პენიტენციური სისტემის შესახებ
A5



## ირანი - რეგიონული ზესახელმწიფო
A8



## ნაგვის გეოპოლიტიკა
A10



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI
ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ევროსაბჭო რუსეთის ქმედებებს გმობს

დიმიტრი ავალიანი

*ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლები შეშფოთებულნი არიან რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი საბრძოლო მოქმედებების შესაძლებლობით და კონფლიქტის ზონებში "ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატის" შექმნას მოითხოვენ. შუალედურ ანგარიშში, რომელიც საქართველოსა და რუსეთის მიერ ასამბლეის რეზოლუციის შესრულებას ეძღვნება, მოსკოვის მიმართ მკაცრი შეფასებებია გამოთქმული. თბილისი ასამბლეის მოთხოვნებს ძირითადად ასრულებს, ხოლო მოსკოვი რეზოლუციის მთავარ მუხლებს დღემდე იგნორირებას უკეთებს – ასეთია მომხსენებელთა დასკვნა.*

17 დეკემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ "წინასწარი მემორანდუმი" გამოაქვეყნა, რომელიც საქართველოსა და რუსეთის მიერ ასამბლეის 2 ოქტომბრის რეზოლუციის შესრულებას მიეძღვნა. ასამბლეის თანამომხსენებლებმა – ლუკ ვან დერ ბრანდემ და მათიას ეორშიმ ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი – 16 გვერდიანი დოკუმენტი მოამზადეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*მათიას ეორში.*

# დავითაიას კომისია „სისტემური ნაკლოვანებების" შესახებ

*აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ გუშინ 200-გვერდიანი დასკვნა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, საქართველოში რუსეთის მხრიდან კარგად მომზადებული და დაგეგმილი ინტერვენცია განხორციელდა.*

ნინო დალაქიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ პაატა დავითაიამ დროებითი საპარლამენტო კომისიის მუშაობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა, რომელიც "უდავოდ ამკვიდრებს პარლამენტარიზმის ახალ, დემოკრატიულ ტრადიციას არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში". მისი თქმით, კომისიის შეკითხვებს 22-მა სამოქალაქო და სამხედრო მაღალი თანამდებობის პირმა უპასუხა. დასმულ კითხვებს თითქმის 5 საათის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტიც პასუხობდა.

დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, დავითაიას განცხადებით, მოიცავს საომარი მოქმედებების დაწყებამდე მიმდინარე პროცესებისა და ვითარების ვრცელ ანალიზს. კერძოდ, დასკვნაში ასახულია დეტალური ინფორმაცია საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და სამხედრო დაპირისპირების ესკალაციისაკენ მიმართული ქმედებების შესახებ. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია რუსეთის ქმედებების სამართლებლივი შეფასებაც.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საუბრები შედეგის გარეშე

*ჟენევის ერთა სასახლეში, გუშინ საქართველოს კრიზისის თემაზე მოლაპარაკებების მესამე რაუნდი დასრულდა. მასში მონაწილეობდნენ აშშ-ს, რუსეთის, საქართველოს, გაერო-ს, ეუთო-ს და ევროკავშირის წარმომადგენლები. რეგიონში უსაფრთხოების საკითხებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე კამათი ორ სამუშაო ჯგუფში მიმდინარეობდა. რუსეთის პოზიციის გამო შეხვედრა კონკრეტული დოკუმენტის მიღების გარეშე დასრულდა.*

დათო გამისონია

მოლაპარაკების მორიგი რაუნდი ჟენევაში 17-18 თებერვალს გაიმართება. ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოს კრიზისების საკითხებში პიერ მორელმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ **"დისკუსია პოზიტიურ ატოსფეროში გაიმართა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყურადღებას გამახვილებენ პრაქტიკულ და ტექნიკურ საკითხებზე. მივაღწიეთ კონკრეტულ მიზანს, რომელიც ყველა მონაწილე მხარისთვის მომგებიანი იქნება. ასევე ვისაუბრეთ ინცინდენტების თავიდან აცილებაზე, ხალხის თავისუფალ გადაადგილებასა და კონფლიქტურ ზონებში ერთობლივი ვიზიტების განხორციელებაზე. მხოლოდ რამდენიმე საკითხი დაგვრჩა მოსაგვარებელი და ამაზე მუშაობას გავაგრძელებთ."**

რეკორდულად ხანგრძლივი – 7-საათიანი მოლაპარაკებების შედეგებით უკმაყოფილოა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია. **"თანათავმჯდომარეების ყველა მცდელობის მიუხედავად, რუსეთის წარმომადგენლების მიზეზით, არ მოხერხდა შეთანხმება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მექანიზმზე, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, თავიდან აგვეცილებინა ისეთი ინციდენტები, როგორიც ყოველდღე ხდება კონფლიქტურ რეგიონებში.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ მიგრაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუსკომედიის თეატრში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - "სიღარიბე, მიგრაცია, დასაქმება" ჩატარდა. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდა საშუალო განათლების ყველა საფეხურზე სავალდებულოა და 12 კლასს მოიცავს. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოში ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე, არსებულ შესაძლებლობებსა და სამომავლო ხედვაზე კონფერენცია გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** გუშინ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 100 სტუდენტი ლომისის წმ. გიორგის მამათა მონასტერს ესტუმრა. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** გუშინ დონორი ორგანიზაციები საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მომავალი წლის სტრატეგიას გაეცნენ. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** ფარმაცევტულმა კომპანიამ "ავერსმა" თავის სააფთიაქო ქსელში გერმანულ, იტალიურ და მკვდარი ზღვის მინერალების შემცველ კოსმეტიკაზე 20 პროცენტიანი საახალწლო ფასდაკლება გამოაცხადა. **ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი ალასანია გაეროს გენერალურ მდივანს ხვდება

დღეს გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია ოფიციალურ შეხვედრას მართავს გაერო-ს გენერალურ მდივანთან ბან კი-მუნთან. შეხვედრისას განხილულ იქნება საქართველოში შექმნილი რთული ვითარება, კერძოდ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში გაერო-ს ახალ როლთან დაკავშირებული საკითხები.

ამის გათვალისწინებით, ირაკლი ალასანიას თბილისში ჩამოსვლა გადადებულია.

*საკუთარი ინფორმაცია*

## დსთ-სთვის გაწევრიანების თხოვნით არავის მიუმართავს

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი მდივანი სერგეი ლებედევი აცხადებს, რომ დსთ-ში ახალი სახელმწიფოს გასაწევრიანებლად აუცილებელია, რომ იგი თანამეგობრობის წევრმა ყველა სახელმწიფომ აღიაროს და თანამეგობრობაში მიღებაზე თანხმობა ყველამ განაცხადოს. სერგეი ლებედევმა ეს განცხადება დსთ-ში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესაძლო გაწევრიანების კომენტირებისას გააკეთა. სერგეი ლებედევმა ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან თანამეგობრობაში გაწევრიანების თხოვნის შესახებ დსთ-ს სამდივნოს ოფიციალური მიმართვები ჯერ არ მიუღია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## წეროვანში საველე ჰოსპიტალი გაიხსნება

დღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი წეროვანს ეწვევა, სადაც საველე მობილურ ჰოსპიტალს გახსნის. პრეზენტაციას სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში დავით ტყეშელაშვილი და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი დაესწრებიან. ჰოსპიტალი საომარი მოქმედებების დროს იძულებით გადაადგილებულ პირებს მოემსახურება, რომლებიც იანვრიდან წეროვანში დასახლდებიან.

ახლად გახსნილი ჰოსპიტალი ქურთის სასწრაფო სამსახურისა და საავადმყოფოს მედპერსონალით დაკომპლექტება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ამერიკის კონგრესის წევრები აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის წევრებს შეხვდნენ

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დემოკრატიის განვითარების კომიტეტის აპარატის წევრები, რომლებიც თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან, აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის წევრებს შეხვდნენ. როგორც კომისიის თავმჯდომარემ პაატა დავითაიამ განაცხადა, ისინი კომისიის მუშაობის დეტალებით დაინტერესდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# დავითაიას კომისია „სისტემური ნაკლოვანებების" შესახებ

პირველი გვერდიდან




AFP ' 2008

კომისიის დასკვნის მნიშვნელოვანი ნაწილი ომის დროს საქართველოს ხელისუფლების მოქმედების ანალიზსა და გამოვლენილ ხარვეზებს ეთმობა. კომისიამ საქართველოს ხელისუფლებაში, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის წარმოებასა და მართვაში და ასევე სამხედრო მენეჯმენტში არსებული მნიშვნელოვანი ჩავარდნები გამოავლინა.

კომისიის დასკვნიდან ირკვევა, რომ მიუხედავად მყარი სადაზვერვო მონაცემებისა, საქართველოს ხელისუფლება არ ელოდა და არ იყო მზად ისეთი მასშტაბის აგრესიისათვის, როგორიც 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა.

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ აგვისტოს ომის კონტექსტში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად 12 რეკომენდაცია შეიმუშავა:

**უშიშროების საბჭომ უნდა გადახედოს ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციას, არსებული რისკების ადეკვატურად გათვალისწინების მიზნით; უშიშროების საბჭომ უნდა შეიმუშაოს საფრთხეების ადრეული შეტყობინების ადეკვატური სისტემა; უშიშროების საბჭომ და მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბონ და შეაჯერონ კრიზისების მართვის ერთიანი ცენტრის კონცეფცია; უშიშროების საბჭომ, მთავრობამ და შესაბამისმა ცალკეულმა სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ კრიზისის დროს კომუნიკაციის ადეკვატური სტრატეგიები; უშიშროების საბჭომ და მთავრობამ უნდა გადახედონ სამოქალაქო თავდაცვის კონცეფციას და შეიმუშავდეს საფრთხეების ადეკვატური სამოქალაქო თავდაცვის გეგმები; ასევე ძირეულად უნდა გადაიხედოს რეზერვისტთა მომზადებისა და მობილიზაციის სისტემები; თავდაცვის სამინისტრომ უნდა ჩაატაროს ადეკვატური ღონისძიებები კავშირგაბმულობის სისტემების გამართული ფუნქციონირებისთვის; საქართველოს მთავრობამ უნდა გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება საჰაერო თავდაცვის დანაკლისის შესავსებად, შედეგები კი რეგულარულად მოხსენდეს პარლამენტის ნდობის ჯგუფს; უნდა შეიმუშავდეს კრიზისების დროს მოქმედების ინსტრუქცია საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთათვის; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დიპლომატიურ სამსახურში კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვის და მათი განვითარების საკითხს.**

პარლამენტის დროებითმა კომისიამ შეიმუშავა ხუთი რეკომენდაცია, რომელსაც შესასწავლად პროკურატურას გადასცემს. მათ შორისაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მალხაზ აქიშბაიას საქმე. კომისიის დასკვნის თანახმად, აგრესიის პერიოდში აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელობა არაადეკვატურად მოქმედებდა, რის გამოც კონფლიქტის დროს მთელი დატვირთვა შსს-ს დააწვა. დასკვნაში ნათქვამია, რომ კოდორის ხეობიდან მოსახლეობის და პოლიციური ქვედანაყოფების ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად უწევდა შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს, ხოლო აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელმა მალხაზ აქიშბაიამ საერთოდ ვერ მოახერხა ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობაში მოხვედრა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ კი კოდორის ხეობა 9 აგვისტოს დატოვა.

გენერალურ პროკურატურას ასევე მოუწევს საეჭვო ინფორმაციაზე ენერგეტიკის სამინისტროს რეაგირებით დაინტერესება. დასკვნის თანახმად, საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ პოსტსაომარ პერიოდში მის ხელთ აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მან ეს ინფორმაცია ეკონომიკის მინისტრს მიაწოდა. მოგვიანებით ბეჟუაშვილმა დააკორექტირა ინფორმაცია და მის მიმღებად ენერგეტიკის მინისტრი დაასახელა.

ხარვეზებია ასევე კადრების შერჩევის მხრივ, რაც განსაკუთრებით ელჩების დანიშვნას ეხება, - ნათქვამია კომისიის დასკვნაში. საქართველოს გენპროკურატურას რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილ ელჩ ეროსი კიწმარიშვილის საქმის შესწავლაც მოუწევს.

დავითაიამ რეზერვისტების სისტემის ნაკლზეც ისაუბრა და მასაც "ყველა დონეზე არაადეკვატური" უწოდა. პროკურატურის მიერ შესასწავლი რიგით მეხუთე საკითხი თავდაცვის სამინისტროს შენობის ევაკუაციას უკავშირდება.

საპარლამენტო კომისია გენერალ ყურაშვილის ცნობილ განცხადებას თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიის არასაკმარის მზაობას უკავშირებს. დასკვნაში ნათქვამია, რომ საომარი მოქმედებების პირველ საათებში, თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიის თვალსაზრისით არასაკმარისი მზაობისა და ინფორმაციის გაცემის კოორდინაციის არქონის მიზეზით, გენერალ მამუკა ყურაშვილის მიერ გაკეთებული შეუთანხმებელი განცხადება ე.წ. "კონსტიტუციური წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებით" შემდეგ უკვე საქართველოს საწინააღმდეგო პროპაგანდისტულ კამპანიაში გამოიყენეს.

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნით, აგვისტოს მოვლენებისას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის არც ერთ პირს პრეზიდენტისა და პრემიერის საგანგებო დავალების გარეშე ქვეყანა არ დაუტოვებია.

# მძიმე ვითარება გალში

ნათია მსხილაძე

რუსეთის მიერ ოკუპირებულ გალის რეგიონში ვითარება კვლავ უკიდურესად დაძაბულია. უკვე რამდენიმე დღეა, იქ აფხაზური და რუსული ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია მიმდინარეობს.

თუ აქამდე რუსეთის საოკუპაციო ჯარისა და მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია მხოლოდ გალის რეგიონის დაბალი ზონის სოფლებში ხდებოდა, მათ უკვე გალის რეგიონის მაღალი ზონის სოფლებიც დაიკავეს. **"სოფლებში დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა შემოიყვანეს და პირადი შემადგენლობაც დაამატეს. ისინი სოფლებში მუდმივად მოძრაობენ და ყველაფერს აკონტროლებენ. გავრცელებული ონფორმაციით, ძალების გაძლიერება საზღვრის დაცვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ გვეშინია, რომ საბრძოლო მოქმედებები განახლდება,"** - აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა.

გარდა იმისა, რომ გალის რაიონში დღითიდღე სულ უფრო შესამჩნევია რუსული ჯარის მობილიზება, ასევე დაჩქარებული წესით ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის პასპორტიზაცია.

„ინტერფაქსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გალის რაიონში მცხოვრები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეები არიან, აფხაზური პასპორტების გაცემის პროცესი უკვე დაწყებულია.

დე ფაქტო პრეზიდენტმა მოსახლეობის სწრაფი პასპორტიზაცია ე.წ ძალოვან მინისტრებთან საგანგებოდ გამართულ თათბირზე მოითხოვა. **"გალის რაიონის მოსახლეობა აფხაზეთის მოქალაქეები არიან. მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა საქართველოს, აფხაზური პასპორტების დარიგების პროცესი უკვე დაიწყეს. ახალ კანონმდებლობას აფხაზეთის ყველა მკვიდრი უნდა დაემორჩილოს და შესაბამისად ახალი პასპორტებით ისარგებლოს,"** - აცხადებს ბაგაფში „ინტერფაქსისთვის" მიცემულ კომენტარში.

მასობრივი პასპორტიზაციის დაჩქარებულმა რეჟიმმა გალის ქართულ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია.

პასპორტიზაციის პროცედურის მიხედვით, გალის რეგიონის ადგილობრივმა მოსახლეობამ ჯერ უარი უნდა თქვას საქართველოს მოქალაქეობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ აფხაზეთის ე.წ. პასპორტს. **"ეს პროცესი იძულებითი ხასიათისაა, გალის რაიონის მოსახლეობას კი, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ აქვს. ისინი, ვინც ამ ზეწოლას ვერ უძლებს და სეპარატისტთა პირობებს არ თანხმდება, ზუგდიდის რაიონში გადმოდიან. თუმცა ამას მასობრივი ხასიათი არ აქვს,"** - აღნიშნა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის რეგიონის კოორდინატორმა თორნიკე კილანავამ.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განმარტავს, დე ფაქტო მთავრობის მიერ მომზადებულ არც ერთ ანკეტასა და დოკუმენტს იურიდიული ძალა არ გააჩნია, რადგან საერთაშორისო დონეზე აფხაზეთი ცალკე რესპუბლიკად აღიარებული არ არის. ამიტომ, კონფლიქტური რეგიონების მკვიდრნი საქართველოს მოქალაქეებად დარჩებიან.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ევროსაბჭო რუსეთის ქმედებებს გმობს

პირველი გვერდიდან

ორივე თანამომხსენებელი ოქტომბერში თბილისში იმყოფებოდა. საბოლოო ანგარიშს ისინი ასამბლეას მოსკოვში, 18-19 იანვარს დაგეგმილი ვიზიტის შემდეგ წარუდგენენ. ანგარიში 28 იანვარს ასამბლეის ზამთრის პლენარულ სხდომაზე განიხილება.

მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ თბილისმა მოთხოვნების უდიდესი ნაწილი შეასრულა, ხოლო რუსეთი ასამბლეის ძირეულ მოთხოვნებს დღემდე იგნორირებას უკეთებს, მათ შორის ისეთ პუნქტებს, რომლებიც **"აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსს არ უკავშირდება"**.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო ძირითადად ასრულებს ასამბლეის რეზოლუციის მოთხოვნებს. კერძოდ, თბილისი იცავს 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმებების ყველა მუხლს. ასევე, საქართველომ უზრუნველყო საერთაშორისო დამკვირვებელთა შესვლა მის მიერ კონტროლირებად ყველა ტერიტორიაზე, ასევე ამ ტერიტორიებზე დევნილთა სრული დაბრუნება.

გარდა ამისა, საქართველო მონაწილეობს ჟენევის მოლაპარაკებებში, რასაც სამშვიდობო გეგმის მე-6 მუხლი ითვალისწინებს.

**"ჩვენ მივიჩნევთ, რომ საქართველოს პირობა იმის თაობაზე, რომ ორი რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებების მონაწილეობა მოლაპარაკებებში არ უნდა იქნას აღქმული, როგორც მათი აშკარა თუ არაპირდაპირი აღიარება, სამართლიანია და ასამბლეის შესაბამის მოთხოვნას შეესაბამება,"** - აღნიშნულია დოკუმენტში.

გარდა ამისა, ასამბლეის მომხსენებლები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველო მზად არის უპირობოდ ითანამშრომლოს საერთაშორისო გამოძიებასთან.

საერთო ჯამში, აღნიშნავენ მომხსენებლები, საქართველო ცდილობს უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული ნორმების სრული პატივისცემა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. თუმცა, იმავდროულად, ისინი საქართველოს ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებენ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ზოგიერთ დებულებაზე, რომლებიც, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ ქარტიას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლები მოუწოდებენ თბილისს, აღნიშნული კანონი შესასწავლად ვენეციის კომისიას წარუდგინოს და კომისიის რეკომენდაციები გაითვალისწინოს. კერძოდ, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე უცხოელ მოქალაქეთა შესვლისთვის საქართველოს ხელისუფლების წინასწარი ნებართვის აუცილებლობაზე, რამაც, მომხსენებელთა აზრით, შესაძლოა ხელი შეუშალოს პრესის წარმომადგენელთა თავისუფლად მოძრაობას კონფლიქტის ზონებში.

დოკუმენტი თბილისს ასევე მოუწოდებს, ასამბლეას რეგულარულად წარუდგინოს აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის და გენერალური პროკურატურის გამოძიების მასალები.

იმავდროულად, დოკუმენტში დაფიქსირებულია **"წუხილი"** იმის გამო, რომ საქართველო დღემდე არ შეუერთდა გაეროს ქარტიას კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნავენ მომხსენებლები, შემაშფოთებელია, რომ რუსეთსა და საქათველოს შორის ურთიერთობა და რიტორიკა **"ჯერ კიდევ ომის გავლენას განიცდის"**.

დოკუმენტში ასევე გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება დღემდე არ თანამშრომლობს საერთაშორისო მისიებთან, როგორც ამას რეზოლუცია მოითხოვს და **"უგუნურ შეზღუდვებს"** აწესებს ჰუმანიტარული ორგანიზაციებისთვის. გარდა ამისა, აღნიშნულია ანგარიშში, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ვერ შეძლო აღეკვეთა უკანონობა და მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ასევე დევნილთა დაბრუნების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ცხინვალის ხელისუფლებას რეზოლუციის მოთხოვნები არ შეუსრულებია.

რაც შეეხება რუსეთს, ანგარიშში აღნიშნულია, რომ რუსეთმა შეასრულა რეზოლუციის პირობები, რომლებიც ეხებოდა ტერიტორიის განაღმვას, ტყვეთა გაცვლას და მონაწილეობას ჟენევის მოლაპარაკებებში. იმავდროულად, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **"რუსეთის დაჟინებული მოთხოვნა ამ მოლაპარაკებებში დე-ფაქტო მთავრობების სახელმწიფოებრივი, საქართველოსა და რუსეთის თანასწორი სტატუსით მონაწილეობის თაობაზე საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას წარმოადგენს, რამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს რუსეთის მიერ ამ პუნქტის შესრულება."**

ანგარიშში აღნიშნულია, რომ, მართალია, რუსეთმა საერთაშორისო გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა, მისი საგამოძიებო ორგანოები იძიებენ მხოლოდ ქართული ჯარების მიერ დაშვებულ დარღვევებს და არ აწარმოებენ არანაირ გამოძიებას რუსეთის ჯარებისა და ოსური ფორმირებების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. რეზოლუციის დარღვევას ასევე წარმოადგენს კონფლიქტის ზონებში პრესის წარმომადგენელთა გადაადგილების შეზღუდვაც.

გარდა ამისა, დოკუმენტში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ რუსეთმა აქამდე არსებული სამშვიდობო ფორმატები სოხუმთან და ცხინვალთან **"მეგობრობისა და თანამშრომლობის"** ხელშეკრულებებით ჩაანაცვლა და რაიმე **"დამატებითი"** ფორმატის შემუშავებას ეწინააღმდეგება.

გარდა ამისა, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთს არ შეუსრულებია 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმებების ყველა პირობა და ჯარები საწყის პოზიციებზე არ დაუბრუნებია.

ასევე გრძელდება თავდასხმები და პროვოკაციები ქართული სოფლებისა და პოლიციის წინააღმდეგ, რაც სამშვიდობო შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს.

**"ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ, რომ რუსეთი უშუალოდ არის პასუხისმგებელი შეთანხმების დარღვევაზე სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან,"** - აღნიშნულია დოკუმენტში.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთი უარს აცხადებს სამხრეთ ოსეთში ძარცვისა და ეთნიკური წმენდების შეჩერებაზე და დამნაშავეთა გასამართლებაზე. შესაბამისად, რუსეთი არ ასრულებს ასამბლეის რეზოლუციის მოთხოვნას ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისა და უკანონობის აღკვეთისთვის სასწრაფო ზომების მიღების შესახებ, ასევე ხელს უშლის სამხრეთ ოსეთში ეუთოს მისიის მუშაობის განახლებას და დევნილების დაბრუნებას.

გარდა ამისა, **"რუსეთის ხელისუფლებამ, ასევე ფედერალურმა პარლამენტმა, საჯაროდ განაცხადეს, რომ არ აპირებენ უკან გაიწვიონ გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რაც ასამბლეის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება,"** - აღნიშნულია მოხსენებაში.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ევროპის საბჭოს მომხსენებლები მიესალმებიან ევროკავშირის მიერ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნას და საქართველოსა და რუსეთს ამ კომისიასთან სრული თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ. მოხსენების ავტორები ასევე მიესალმებიან **"საქართველოს კონსტრუქციულ მიდგომას ასამბლეის მოთხოვნების შესრულებისადმი"** და თბილისს ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოთხოვნების შესრულებისაკენ მოუწოდებენ.

იმავდროულად, აქვე აღნიშნულია, რომ რუსეთს რეზოლუციის მოთხოვნების დიდი ნაწილი არ შეუსრულებია. **"ჩვენ ვგმობთ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევებს, რაც ჯერ კიდევ გრძელდება სამხრეთ ოსეთში და რაც რუსეთს არ შეუჩერებია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ რუსეთი სრულად არის პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების დარღვევებზე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მისი ეფექტური სამხედრო კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამიტომაც მოვუწოდებთ რუსეთს ამ მოვლენების სასწრაფოდ შეჩერებისკენ, დამნაშავეთა სამართლებრივად დასჯისკენ და ადამიანის უფლებათა საკითხში ასამბლეის ყველა მოთხოვნის შესრულებისკენ,"** - აღნიშნულია მოხსენებაში.

**"ჩვენ სერიოზულად ვართ შეშფოთებულნი ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ დაძაბულობის ზრდით და პროვოკაციებით, რაც არღვევს სტაბილურობას და შესაძლებელია შეტაკებების ან საბრძოლო მოქმედებების განახლება გამოიწვიოს,"** – ნათქვამია მოხსენებაში.

მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ **"საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ასევე ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატის შექმნა, ძალზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისათვის და რეგიონში სტაბილურობის გარანტირებისათვის"**.

# საუბრები შედეგის გარეშე

პირველი გვერდიდან

**შეთანხმება შესაძლებელს გახდიდა დამკვირვებლების შეშვებას კონფლიქტურ რეგიონებში."**

შეერთებული შტატების წარმომადგენელი მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულებაში სეპარატისტებს ადანაშაულებს. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდის თქმით, **"დღევანდელი დისკუსიის შედეგი არაფრის მიღებას მაინც სჯობდა. მქონდა შთაბეჭდილება, რომ რუსეთსაც ჰქონდა შეთანხმების სურვილი, მაგრამ იგივე არ მოისურვეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა. 10 პუნქტიდან მხოლოდ ორზე ვერ მოვახერხეთ შეთანხმების მიღწევა. ამიტომ ეს არასრული დოკუმენტია."**

უშედეგო კონსულტაციებით კმაყოფილი ჩანდა დებატებში მონაწილე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველა საკითხი ერთდროულად ვერ გადაწყდება: **"იყო ბევრი საერთო. ჩვენ გავიგეთ საქართველოს მხარის პოზიციების შესახებ, ასევე აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარის ხედვები, საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებები და თვითონაც გამოვთქვით საკუთარი ხედვა."**

მიუხედავად ასეთი შედეგისა, საქართველო იმედს ამყარებს მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების მომავალ ძალისხმევაზე. თებერვალში დაგეგმილ შეხვედრამდე გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოს საკითხებში იოჰან ვერბეკე, ეუთო-ს წარმომადგენელი ჰეიკე ტალვიტიე და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიერ მორელი აქტიურ კონსულტაციებს გამართავენ.

ჟენევის მოლაპარაკებების შედეგს კატასტროფად არ მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე. მისი თქმით, **"საქართველომ უნდა დაიცადოს, რადგან დრო რუსეთის წინააღმდეგ მუშაობს და მას აცლის ბერკეტებს. თუ რუსეთში ასეთი ტემპით გაგრძელდება ეკონომიკური დაღმასვლა, არ არის გამორიცხული, რომ ის დასავლეთთან დათმობებზე წავიდეს."**

## გივი თარგამაძე საქართველოში ამერიკის კონგრესის წევრების სტუმრობას დადებითად აფასებს

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის ერთ-ერთი წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე საქართველოში აშშ-ს კონგრესის დემოკრატიის განვითარების კომიტეტის აპარატის წევრების სტუმრობას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ კომისიის წევრებმა კონგრესის აპარატის წევრებს თავინთი დასკვნის ძირითადი ნაწილი გააცნეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## პირველი ლედის პატრონაჟით საახალწლო წარმოდგენა გაიმართება

საქართველოს პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის პატრონაჟით, 2008 წლის 18-21 დეკემბერს თბილისსა და გორში რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული 4-12 წლამდე ასაკის 2000 დევნილი ბავშვისთვის საახალწლო წარმოდგენა-სპექტაკლი გაიმართება. სპექტაკლს, სახელწოდებით - "მოპარული ახალი წლის ზღაპარი", ჭიათურის თეატრალური დასი წარმოადგენს. გარდა ამისა, თითოეულ ბავშვს პირველი ლედისგან საჩუქრად საბავშვო ენციკლოპედია გადაეცემა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "საქართველო ნატო-სკენ სვლას ყოველგვარი გადახვევების გარეშე გააგრძელებს"

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა არც ახალი ადმინისტრაციის პირობებში შესუსტდება და საქართველოს ვაშინგტონთან ისეთივე მჭიდრო ურთიერთობები ექნება, როგორც ადრე. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უახლოეს ხანებში რუსეთის მხრიდან ფართომასშტაბიან კონფლიქტში ჩართვის თვალსაზრისით საფრთხეც არ არსებობს, რადგან რუსეთში არსებული შიდა პრობლემები და კრიზისი ღრმავდება, თუმცა კრემლი კვალ ცდილობს, საქართველო მუდმივი დაძაბულობისა და ზეწოლის ქვეშ ამყოფოს.

"ყველა საკითხი, რასაც ახლა ამერიკა წყვეტს, წყვეტს ახალ ადმინისტრაციასთან შეჯერებით და რაიმე სხვა და განსხვავებული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ჩვენ იანვრის შემდეგ მივიღებთ უფრო ძლიერ ამერიკას. ამდენად, საქართველო ნატო-სკენ სვლას ყოველგვარი გადახვევების გარეშე გააგრძელებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ამოცანა დღეს არის ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება, ქართული ეკონომიკის გადარჩენა, შენარჩუნება, ე.ი სტაბილურობის დაჭერა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ეტაპობრივი, მაგრამ ზრდა და ჩვენი უსაფრთხოების გარანტიების მიღება, " - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ხურვალეთთან მდებარე ქართულ საგუშაგოზე თავდასხმა განხორციელდა

გუშინ გამთენიისას სოფელ ხურვალეთთან მდებარე ქართულ საგუშაგოს ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლა, რომელიც სოფელ წინაგარას მხრიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ხორციელდებოდა, ნახევარ საათს გაგრძელდა. სროლის შედეგად დაიჭრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც იმ დროს საგუშაგოზე იმყოფებოდა. იგი გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ექიმების განცხადებით, დაჭრილი პოლიციელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გრიგოლ ვაშაძემ საქართველოში აკრედიტებული ელჩები მიიღო

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მიიღო. საგარეო უწყების ინფორმაციით, შეხვედრები გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ გუნ ცზიანვეისთან, ნიდერლანდების სამეფოს ელჩ ონნო ელდერენბოშთან, დიდი ბრიტანეთის ელჩ დენის კიფთან, რუმინეთის ელჩ დან მიჰაი ბარლიბასთან და საფრანგეთის ელჩ ერიკ ფურნიესთან. შეხვედრებზე მხარეებმა მიმოიხილეს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების საკითხები. აღინიშნა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა. ამასთან, დიდი ბრიტანეთის ელჩმა საგარეო საქმეთა მინისტრს გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მდივან დევიდ მილიბენდის მილოცვის წერილი გადასცა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ბათუმის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზას იტალიელი ექსპერტები ეწვივნენ

იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები გუშინ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ბათუმის ბაზას ეწვივნენ. კაპიტან-ლეიტენანტი მასიმილიანო კარინო და ექსპერტი ოპერატიულ საკითხებში ანტონიო მელე ბათუმის ბაზის მეთაურმა, III რანგის კაპიტანმა სულხან ხოზრევანიძემ მიიღო. სტუმრებს ასევე სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი შტაბის N3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი ოფიცერი, კაპიტან-ლეიტენანტი პაატა კიკნაძე დახვდა. ვიზიტის მიზანია სამხედრო-საზღვაო ძალების ბათუმის ბაზის მართვის ცენტრში მომუშავე პერსონალისთვის ტრეინინგების ჩატარება. იტალიელი ექსპერტები ქართველ კოლეგებს ინფორმაციის მოპოვების და ურთიერთგაცვლის შესახებ სემინარებს უტარებენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისთვის ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაა"

"რესპუბლიკური პარტიის" წევრ დავით ზურაბიშვილის განცადებით, საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისთვის ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაა.

"ქვეყანაში ურთულესი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა შექმნილი. საქართველო ტოტალური კრიზისის პირობებში იმყოფება. შექმნილი ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანის ლოგიკური გზა რიგგარეშე არჩევნებია. ამ ხელისუფლებას აღარ შესწევს ძალა და უნარი, რომ სახელმწიფოს მართვის საკითხებს წარუძღვეს," - განაცხადა ზურაბიშვილმა. მისივე თქმით, დანახარჯების თვალსაზრისით უკეთესი იქნება, თუ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთად ჩატარდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გორში ჟურნალისტები აგვისტოს ომის შედეგებს გაეცნენ

ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერმედიაკავკაზის" ორგანიზებით, ჟურნალისტთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, გორში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თემა აგვისტოს ომი იყო. კონფერენციაში რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი და ჰოლანდიელი ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, რომლებიც გორში ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ავალიანი და გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსი კახა ტოლიაშვილი სტუმარ ჟურნალისტებს ომის დროს და შემდეგ არსებულ სიტუაციაზე, დევნილთა მდგომარეობაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრნენ. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებმა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში მყოფი დევნილები მოინახულეს. ასოციაცია „გენდერმედიაკავკაზის" პრეზიდენტ გალინა პეტრიაშვილის თქმით, მათი მიზანი იყო, ჩამოსული ჟურნალისტებისთვის მიეწოდებინათ ობიექტური ინფორმაცია, რომელიც შემდეგ მათ გამოცემებში მოხვდება. გორში ვიზიტი კი იმით იყო განპირობებული, რომ სტუმარ ჟურნალისტებს საკუთარი თვალით ენახათ ქალაქი, რომელიც რუსული აგრესიისგან მნიშვნელოვნად დაზარალდა.

*ინტერპრესნიუსი*

## ნიკა რურუას ადგილმონაცვლე გიორგი ხახნელიძე გახდა

საქართველოს პარლამენტში ნიკა რურუას ადგილმონაცვლე გიორგი ხახნელიძე გახდა. ცესკო-ს ინფორმაციით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის" პარტიული სიით არჩეული პარლამენტის გამოკლებული წევრის ნიკოლოზ რურუას ადგილმონაცვლის შესახებ იმსჯელეს. სხდომამ რურუას ადგილმონაცვლედ ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი გიორგი ხახნელიძე ცნო. იგი პარტიულ სიაში რიგით 52 იყო, რურუა კი პარტიულ სიაში რიგით 24-ე. თბილისის საკრებულოს წევრ გიორგი ხახნელიძეს წევრობის სტატუსი მას შემდეგ შეუწყდება, რაც ცესკო-ს გადაწყვეტილებას პარლამენტში დაამტკიცებენ.

*ინტერპრესნიუსი*

# ოპოზიციის სამზადისი

ვერიკო თევზაძე

*არასაპარლამენტო ოპოზიცია საქართველოს პრეზიდენტის გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტიურ კონსულტაციებს იწყებს. ხელისუფლების ოპონენტები საერთო სტრატეგიის შემუშავებისთვის მსჯელობენ. გუშინ გაირკვა, რომ 2009 წლის მარტში ქართული ოპოზიციური ძალები აშ?-ს ახალ ადმინისტრაციასთან შეხვედრას გამართავენ.*

ოპოზიციურ ძალებთან კონსულტაციების ინიციატორი დასავლური ვოიაჟიდან დაბრუნებული „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილია. ინფორმაცია მარტში დაგეგმილი ამერიკული ვიზიტის შესახებ სწორედ ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გაახმოვანა.

გუშინ ზურაბიშვილი „მემარჯვენეების“ და „რესპუბლიკელების“ ალიანსის წარმომადგენლებს, სახალხო დამცველ სოზარ სუბარს, ასევე „კონსერვატიულ პარტიას“ და იმ პოლიტიკურ ძალებს შეხვდა, რომლებიც „ეროვნულ საბჭოს“ შემორჩნენ.

ზურაბიშვილის და ოპოზიციის საუბრის თემა ევროპასა და შეერთებულ შტატებში „საქართველოს გზის“ ლიდერის ვიზიტის შედეგები იყო. დახურული შეხვედრის დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა ყველა მხარემ განმარტა, რომ ზურაბიშვილმა კოლეგებს მთელ რიგ საკითხებზე დასავლეთის განწყობა გააცნო.

**„მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, ევროპასა და ამერიკაში დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებენ საქართველოში შექმნილ სიტუაციას. ამის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ პირველწყაროდან მივიღეთ,“** - განუცხადა „24 საათს“ „მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ.

ნაჭყებიას თქმით, ოპოზიციის სამოქმედო გეგმა ზუსტად უნდა იყოს გაწერილი, რათა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცლის მოთხოვნა მომავალი წლის ზაფხულამდე რეალობად იქცეს: **„პირველ ეტაპზე ვითხოვთ საპარლამენტო არჩევნებს, ხოლო ამის შემდეგ დავგეგმავთ საპრეზიდენტო არჩევნებსაც.“**

ეროვნულ საბჭოში შემავალ რამდენიმე პოლიტიკურ ძალას „საქართველოს გზის“ ლიდერი „კონსერვატიული პარტიის“ ოფისში შეხვდა. „კონსერვატორები“ და ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის წარმომადგენელი ეკა ბესელია ოპოზიციური ძალების გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრობენ. ისინი „რესპუბლიკელების“ და „მემარჯვენეების“ მისამართით შენიშნავენ, რომ მარტოოდენ ორი პარტიის ერთობა არ არის საკმარისი ძალა სააკაშვილი რეჟიმის შესაცვლელად.

**„კოორდინაციის ფორმატი შეცვლას მოითხოვს. აუცილებელია ახალი საკოორდინაციო ორგანოს შექმნა, რომელიც საქართველოში არსებულ ყველა ოპოზიციურ ძალას მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ გააერთიანებს. ამ კოორდინაციის ფორმებზე იყო საუბარი ქალბატონ სალომესთან შეხვედრისას,“** - განუცხადა “24 საათს” “კონსერვატორმა” კახა კუკავამ.

ორი პარტიის ალიანსის წარმომადგენლები დროს არ უსწრებენ და განმარტავენ, რომ ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ როგორ მოხდება პოლიტიკური ძალების საბოლოო გადაჯგუფება. მანანა ნაჭყებიას განცხადებით, მათი კარი ღიაა ყველა პოლიტიკური პარტიისა თუ პერსონისათვის, რომელთა ხედვაც ქვეყნის მომავალზე ალიანსის ხედვას დაემთხვევა.

სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც ოპოზიციის კოორდინირებული ქმედებისთვის აქტიური მუშაობა დაიწყო, შენიშნავს, რომ გაერთიანება მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს თვითმიზანი არ გახდება. **“ოპოზიცია არ შექმნის “მოქკავშირის” ან “ნაციონალური მოძრაობის” მსგავს მონსტრს... მთავარია საერთო სტრატეგიის შემუშავება და არა გაერთიანება,”** - შენიშნავს ზურაბიშვილი.

როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა “24 საათთან” საუბარში აღნიშნეს, ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა ხელისუფლების შეცვლა რყევების გარეშე მოხდეს. **“ამასთანავე აუცილებელია,** - აცხადებენ ისინი, - **რომ ხელისუფლებამ გონიერება გამოიჩინოს და ადეკვატურად უპასუხოს ოპოზიციის მოთხოვნებს. ჯერჯერობით, პირიქით ხდება.”**

# ქვეყანას არჩევნები მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გაუმჯობესების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებას პარლამენტი წლის ბოლომდე მიიღებს.

პარტიების დაფინანსების შესახებ საკითხი ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატში მომზადდა და მასზე პარლამენტი მომავალ სამშაბათს იმსჯელებს, 29 დეკემბერს კი კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანო მესამე მოსმენით მიიღებს.

კანონპროექტის თანახმად, დაფინანსებას მიიღებენ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც დაფინანსება შეუწყდათ. ამასთან, პარტიების დაფინანსებას კიდევ ერთი კომპონენტი - საერთაშორისო არასამთავრობო ფონდები შეემატება.

გარდა ამისა, ზოგადად საბაზისო დაფინანსების გაზრდისა და ფონდების დაფინანსების კომპონენტის გაჩენის შედეგად, პარტიების დაფინანსება 75 პროცენტით გაიზრდება.

პარტიების დაფინანსების წესის შესახებ კანონპროექტი ბიუროს გუშინდელ სხდომაზე იქნა ინიცირებული.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მტკიცებით, ქვეყანას არჩევნები მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება.

როგორც დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა: **“საქართველოში წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დაახლოებით, 2 მლრდ დოლარს შეადგენს. არჩევნები ნიშნავს იმას, რომ 6 თვის განმავლობაში ქვეყანა საარჩევნო ციკლში იმყოფება და ყველა ინვესტორი ამ 6 თვის განმავლობაში ქვეყანაში შემოსვლას და ფულის დაბანდებას ერიდება, ეს კი პოტენციურად დაკარგული მილიარდი დოლარია,”**- განაცხადა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, არჩევნების ფასი არ არის მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრთა ხელფასი და მხოლოდ საარჩევნო კამპანიის თანხა, არამედ არჩევნების დროს ქვეყანა სპეციფიურ რეჟიმში გადადის.

**“არჩევნების დასრულებამდე ნებისმიერი ინვესტორი ერიდება ქვეყანაში შემოსვლას და თანხის ჩადებას, ამიტომ უჯდება ქვეყანას არჩევნები ასე ძვირი,”** - დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# კავკასიაში მიწისძვრაზე სწრაფი რეაგირების პროექტის განხორციელება დაიწყება

სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორ ზურაბ ჯავახიშვილის განცხადებით, ნატო-ს ეგიდით, გაზაფხულზე კავკასიაში მიწისძვრაზე სწრაფი რეაგირების პროექტის განხორციელება დაიწყება. როგორც ჯავახიშვილმა აღნიშნა, პროექტში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გარდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO) წევრი ქვეყნების, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იტალიის, საბერძნეთის და თურქეთის სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას. პროექტის მიზანია, შეიქმნას და სათანადოთ აღიჭურვოს საველე ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ ძლიერი მიწისძვრების ეპიცენტრულ ზონებში მრავალმხრივი სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზებას. ეს საველე ჯგუფები და დროებითი ქსელები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ არსებულ მონაცემთა ბაზას და უფრო მაღალ დონეზე აიყვანენ სეისმური საშიშროების შეფასებას. პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 398 ათას ევროს შეადგენს, 3 წლის განმავლობაში იმუშავებს. საქართველოს მხრიდან პროექტში სეისმური მონიტორინგის ცენტრის (ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი) სპეციალისტები მონაწილეობენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ბაქრაძემ ამერიკის კონგრესის დელეგაცია მიიღო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაცია მიიღო.

როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე დავით ბარაძემ განაცხადა, კონგრესმენებთან გამართულ შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობების საკითხები განიხილეს. კონგრესის დელეგაციის ხელმძღვანელ ალისონ შვორცის განცხადებით, 2007 წლის შემდეგ საქართველოში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. "საქართველომ რთული პერიოდი განვლო, განსაკუთრებით უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ," - აღნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

*ინტერპრესნიუსი*

# ანგარიში პენიტენციური სისტემის შესახებ

თამარ კაციტაძე

*"ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ურთულესი მდგომარეობაა," - ამის შესახებ ნათქვამია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ანგარიშში, რომელიც საქართველოში მოქმედ სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას ასახავს.*


*სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ურთულესი მდგომარეობაა.*

ბესო გულაშვილის ფოტო

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" პენიტენციური სისტემის გამჭვირვალობისა და პატიმართა უფლებების დაცვის შესახებ მომზადებული ანგარიშის პრეზენტაცია გუშინ გამართა. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დასკვნაში საუბარია სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ სიტუაციაზე, იმაზე, თუ როგორ სრულდება ის რეკომენდაციები, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა ქართულ მხარეს მისცეს. ანგარიში მომზადებულია „პენიტენციური სისტემის გამჭირვალობა და პატიმართა უფლებების დაცვა" პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ეუთო-ს (OSCE) მისიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ღონისძიება კი ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

საია-ს თავმჯდომარის თამარ ხიდაშელის განმარტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ძირითადი პრობლემები, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ რეკომენდაციებში ერთხმად აღიარებენ, სამ მთავარ საკითხს ეხება. ესენია - მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები, მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურება, განათლება-დასაქმების საკითხი.

**"საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ზოგადი სიტუაცია, მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და განათლება-დასაქმების კუთხით, არც თუ სახარბიელოა. დაწესებულებებში დღეს არსებული მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია პატიმართა არსებითი და ძირითადი უფლებების დარღვევასთან. კერძოდ, მსჯავრდებულის უფლებასთან - ჰქონდეს ნორმალური საცხოვრებელი პირობები, უზრუნველყოფილი იყოს განათლებით, დასაქმებით და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით. სახელმწიფოს მხრიდან დღესაც შესაძლებელია კომპლექსური, გააზრებული და თანმიმდევრული ღონისძიებების ერთობლიობით თითოეული პრობლემის გადაჭრა და საქართველოს პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება,"** - განაცხადა ანგარიშის პრეზენტაციისას თამარ ხიდაშელმა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, საქართველოს მასშტაბით მოქმედი 17 საპატიმრო დაწესებულებიდან, უმეტესობა გასულ საუკუნეშია აშენებული და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპატიმროები კვლავ გადატვირთულია და საპყრობილეებში მყოფ პატიმართა რეალური რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილ ლიმიტს.

**"სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედ სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმრავლესობაში გადატვირთულობის პრობლემა კვლავ არსებობს. თბილისის N8-ე საპყრობილეს კი, რომელიც 2007 წლის დეკემბერში შევიდა ექსპლუატაციაში, დღემდე არ აქვს განსაზღვრული პატიმართა რაოდენობის ლიმიტი, მაშინ, როდესაც საპყრობილეში უკვე 3 ათას 720 პატიმარია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, არსებობს თუ არა ამ ახალ დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემა,"** - აცხადებენ იურისტთა ასოციაციაში.

ორგანიზაცია საქართველოში პატიმართა რაოდენობის გაზრდას სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკასა და მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების – "უდოს" შეზღუდვას უკავშირებს.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ანგარიშში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში "ალდაგი ბი-სი-აის" საქმიანობაზეც საუბრობს და გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამს.

2007 წლის 26 ოქტომბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სს სადაზღვეო კომპანია "ალდაგი ბი-სი-აის" შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N523 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულებისთვის სამედიცინო სადაზღვეო მომსახურების ვალდებულება სადაზღვეო კომპანია "ალდაგი ბი-სი-აიმ" აიღო.

ოფიციალური მონაცემით, კომპანია ერთ დაზღვეულ მსჯავრდებულზე სადაზღვეო პრემიის სახით მხოლოდ 9 ლარს გასცემს, რაც საია-ს წარმომადგენელთა აზრით, საკმაოდ მიზერული თანხაა.

გარდა ამისა, საია-ში განმარტავენ, რომ "ალდაგი ბი-სი-აი" წარმოადგენს ერთადერთ მხარეს, რომელიც ქირაობს ექიმებს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მედიკამენტებით ამარაგებს. ამიტომ, არ გამორიცხავენ, რომ მოგებაზე ორიენტირებულმა კომპანიამ ექიმს შესაძლოა იაფასიანი და დაბალხარისხიანი მედიკამენტის გამოწერა აიძულოს.

**"გარდა ამისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და "ალდაგი ბი-სი-აის" შორის 2007 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ავადმყოფი პატიმრისთვის შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულების შერჩევის საკითხს წყვეტს სადაზღვეო კომპანია და თავად დეპარტამენტი, მაშინ, როდესაც "პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში აღნიშნულია, რომ პაციენტს უფლება აქვს, აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი. იქვე განმარტებულია, რომ პატიმრობაში მყოფი პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა პრივილეგიით,"** – განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" მიიჩნევენ, რომ სახეზეა ხელშეკრულების აშკარა წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ამასთან საია-ში მიუთითებენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დღემდე აქტუალურია ტუბერკულოზით და ნარკომანიით დაავადებულ პატიმართა პრობლემა.

ამ და სხვა პრობლემებთან ერთად "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" საგანგაშოს უწოდებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლებისა და დასაქმების კუთხით არსებულ ვითარებას.

საია-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მსჯავრდებულთა უმრავლესობას სასჯელის მოხდა ყოველგვარ სოციალურ პროგრამაში ჩართვის გარეშე უწევს.

**"იმისთვის, რომ მსჯავრდებული განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, მხოლოდ მისი საზოგადოებისგან იზოლაცია არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის ღონისძიებად. სასჯელის მიზნის მისაღწევად აუცილებელია, სასჯელაღსრულების თითოეულ დაწესებულებაში არსებობდეს განათლებისა და დასაქმების პროგრამები, რაც სასჯელის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულს დაეხმარება რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში,"** - აცხადებენ იურისტთა ასოციაციაში და იქვე განმარტავენ, რომ საქართველოში მსჯავრდებულთა მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული განათლების პროგრამაში და კიდევ უფრო ნაკლები - დასაქმების პროგრამაში.

პრეზენტაციის დაწყებამდე საია-ს თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა განაცხადა ისიც, რომ საჯარო ინფორმაციის მიღებისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტისაგან პრობლემები შეექმნათ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს უწყება დახურულია.

### 15 მლნ ევრო სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირებისთვის

ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის 2008 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის მხარდასაჭერად ევროკომისია საქართველოს საბიუჯეტო დახმარებას - 15 მლნ ევროს გამოუყოფს. ამასთანავე 1 მლნ ევრო დამატებით, ტექნიკური დახმარებისთვის გამოიყოფა.

შესაბამის ხელშეკრულებას დღეს სახელმწიფო კანცელარიაში ვიცე პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და ევროკომისიის წარმომადგენელმა საქართველოში პერ ეკლუნდმა მოაწერეს ხელი.

„ევროკავშირთან ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიზანია სისხლის სამართლის რეფორმების სისტემის განვითარება. ეს მოემსახურება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით დაწყებული საქმიანობის გაღრმავებას," - განაცხადა გია ბარამიძემ.

რეფორმას იუსტიციის სამინისტრო განახორციელებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანის განცხადებით, რეფორმის პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება და მასში მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიღებენ.

„რეფორმას ოთხი ძირითადი მიმართულება ექნება - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, პრობაციის და პენიტენციალური სისტემები და უფასო იურიდიული დახმარება. ოთხივე მიმართულებით შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები," - ამბობს თინა ბურჯალიანი.

დახმარებას საქართველო სამი წლის განმავლობაში, ყოველწიურად 5-მილიონიანი ტრანშის სახით მიიღებს.

*პირველი*

### დედა-შვილი საკუთარი სახლის ეზოში გარდაცვლილები იპოვეს

გუშინ, დილით გურჯაანში, ბესიკის ქუჩაზე მცხოვრები დედა-შვილი - 80 წლის სერიკო და 57 წლის ნოდარ მათეშვილები საკუთარი სახლის ეზოში გარდაცვლილები იპოვეს.

როგორც მეზობლები აცხადებენ, ნოდარ მათეშვილი ძალიან ხშირად სვამდა, ხოლო დედამისი მძიმე ავადმყოფი იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, სერიკო მათეშვილი ნასვამი შვილის მოსაძებნად ეზოში გავიდა, თუმცა დაუძლურებულმა სახლში სიცივის გამო შებრუნება ვეღარ მოახერხა და გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე დილიდან გუჯაანის პოლიცია მუშაობდა. სამართალდამცველების ვერსიით, ნოდარ მათეშვილი რამდენიმე დღის გარდაცვლილია, ხოლო სერიკო მათეშვილი მოგვიანებით გარდაიცვალა.

დედა-შვილის გარდაცვალების დეტალურ მიზეზებს ექსპერტიზა დაადგენს.

*პირველი*

### სპორტის აკადემიის სასამართლო პროცესი დაიწყო

თბილისის საქალაქო სასამართლოში სპორტის აკადემიის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი გაიმართა.

როგორც სპორტის აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ და აკადემიის ყოფილმა რექტორმა ირაკლი დოლაბერიძემ განაცხადა, სასამართლო პროცესი უკვე წელიწადნახევრის განმავლობაში შეგნებულად ჭიანურდება. მისი თქმით, სასამართლომ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისთვის დაწესებული ყველა ვადა დაარღვია.

"ამ საქმეზე უკვე მესამე მოსამართლე დაინიშნა და პროცესს დასრულების პირი არ უჩანს. ფაქტია, რომ განხილვას შეგნებულად აჭიანურებენ, რადგან იკვეთება საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაინტერესებულნი სპორტის აკადემიის შენობის პრივატიზაციით," - ამბობს დოლაბერიძე.

მისი თქმით, საორგანიზაციო კომიტეტი მომავალი კვირიდან განაგრძობს საპროტესტო აქციებს აკადემიის სტატუსისა და მის ტერიტორიაზე სასწავლო-საწვრთნელი პროცესის აღდგენის მოთხოვნით.

სპორტის აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტი არ გამორიცხავს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### არასამთავრობოების პრეტენზია გია არსენიშვილს

არასამთავრობო ორგანიზაციები თელავის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გია არსენიშვილის მიერ თელავში დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელად მისი ძმის ზურაბ არსენიშვილის დანიშნვის ფაქტს აპროტესტებენ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, "გია არსენიშვილს დეპუტატად მუშაობის მანძილზე თელავისთვის არაფერი გაუკეთებია, ამომრჩევლებს არათუ ხვდება და კანონის თანახმად ანგარიშს აბარებს, არამედ მათ სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობს".

მათივე მტკიცებით, "ამომრჩევლებს არც დეპუტატის ბიუროში უსმენენ, რომლის შენახვისთვისაც თელავის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ათიათასამდე ლარი იხარჯება".

თავის მხრივ, არსენიშვილი არასამთავრობოების პროტესტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

*პირველი*

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნაფიც "მსაჯულებს" უმასპინძლა

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სატელევიზიო გადაცემა "ვერდიქტში" მონაწილე იმ ნაფიც მსაჯულებს შეხვდა, რომლებმაც საქართველოში სატელევიზიო გადაცემის ფორმატში პირველად გამოიტანეს ვერდიქტი. გადაცემა უკვე მესამე თვეა ტელეკომპანია "იმედის" ეთერში გადის.*

**"ესენი არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები და არა მსახიობები, რომლებმაც წინასწარ დაწერილი სცენარის გარეშე მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია მათგან იმის მოსმენა, თუ რამდენად დიდი პასუხისმგებლობაა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და რომ ნებისმიერი მოქალაქე ამ ინოვაციას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს, რადგან ეს ინსტიტუტი მომავალი წლიდან უკვე რეალურად ამოქმედდება და, შესაძლოა, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე აღმოჩნდეს ნაფიცი მსაჯულის როლში,"** - განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა.



*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს შეხვდა.*

"ვერდიქტი" მაქსიმალურად არის მიახლოებული რეალურ პროცესთან და მასში მონაწილე ნაფიცი მსაჯულებიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, რომლებიც საარჩევნო სიიდან შემთხვევითობის პრინციპის მიხედვით შეირჩნენ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა გადაცემაში მონაწილე ნაფიც მსაჯულთა საქმიანობა.

**"თქვენ ხართ პირველი ნაფიცი მსაჯულები, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეთ ვერდიქტის გამოტანის პასუხისმგებლობა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ძალიან სერიოზული ცვლილება იქნება ჩვენს ცხოვრებაში, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ ინსტიტუტის პოპულარიზაცია. გადაცემა "ვერდიქტის" მეშვეობით, თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც ამ მიმართულებით უკვე გადადგით პირველი ნაბიჯები. იმედია, მომავალში თუკი უკვე რეალურ პროცესზეც მოგიწევთ შეასრულოთ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, ამ საქმეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებით,"** – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და მოწვეულ სტუმრებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილ სიახლეებზე ესაუბრა და უპასუხა მათი მხრიდან დასმულ შეკითხვებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ქვეყანაში ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტის შემოღების რამდენიმე მნიშვნელოვანი, დადებითი მხარე დაასახელა.

**"საზოგადოება იგრძნობს, რას ნიშნავს ხალხის მონაწილეობა სასამართლო პროცესში; სასამართლო სისტემა დაინახავს ხალხის დამოკიდებულებას ამა თუ იმ დანაშაულისადმი, ამასთან, საზოგადოებისათვის ნათელი გახდება ის სირთულეები, რაც მოსამართლის წინაშე დგას გადაწყვეტილების მიღების დროს,"** - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების თანახმად, მალე საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამოქმედდება. უზენაესი სასამართლო უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ამ ინსტიტუტის პოპულარიზაციას სხვადასხვა საშუალებებით ახდენს, იქნება ეს ჟურნალისტებისთვის გამართული ტრენინგები თუ საინფორმაციო შინაარსის ინტერვიუები საინფორმაციო საშუალებებში.

უზენაეს სასამართლოში მიწვეულმა სტუმრებმა – ნაფიცმა მსაჯულებმა დაათვალიერეს უზენაესი სასამართლოს შენობა. მათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ დამდეგი ახალი წელი მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UMCOR United Methodist Committee On Relief

## ტენდერი დევნილების კომპაქტურად ჩასახლების ცენტრებში საერთო სამზარეულოებისთვის გამოყოფილი ფართების მოწყობა/შეკეთების შესახებ

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) აცხადებს ტენდერს საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად დევნილი მოსახლეობის დახმარებისათვის, იმერეთის რეგიონში, კერძოდ: ქ. ქუთაისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებულ 5 კომუნალურ ცენტრში და ქ. ზესტაფონში 1 კომუნალურ ცენტრში სამზარეულოების მოსაწყობად და იწვევს ყველა დაინტერესებულ კომპანიას მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი ხორციელდება OFDA/USAID-ის დაფინანსებით.

ამქორი არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია რომელიც ფუნქციონირებს სამართლიანობის, სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით.

**უფლებამოსილი კომპანიების კრიტერიუმები**

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ იურიდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში.

**ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია**

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის შესახებ, შემდეგი მონაცემების მითითებით:
- კომპანიის ან მეწარმე ფიზიკური პირის დასახელება;
- იურიდიული სტატუსი;
- იურიდიული მისამართი;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- საგადასახადო კოდი;

2. სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- განცხადებას ტენდერში მონაწილების სურვილის შესახებ
- შესასრულებელი სამუშაოების საერთო ფასს დღგ-ს გარეშე.
- შესასრულებელი სამუშაოების დამთავრების პერიოდს.
- სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

**შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამომწმებული ქსერო ასლი.**

**სატენდერო წინადადებების შერჩევა და სხვა პირობები**

- სატენდერო წინადადებები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;
- სატენდერო წინადადებები შეირჩევა შემოთავაზებული ფასის მიხედვითა და სატენდერო პირობების გათვალისწინებით.
- თუ კომიტეტი გამოიტანს დასკვნას, რომ არცერთი კომპანია ან ფიზიკური პირის შემოთავაზება არ აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს, ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს გამოაცხადოს ახალი ტენდერი იგივე ან სხვა პირობებით.
- ამქორი იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები.
- ამქორი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევეში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირებისაგან.
- ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ წინადადება მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
- ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი წინადადება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;
- ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
- პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში შასასრულებელი სამუშაოების ვადა განისაზღვროს **ერთი თვის ვადით**.

**სატენდერო წინადადების წარდგენის პროცედურა**

- დაინტერესებული კომპანიებმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია ტენდერში მონაწილე პირის დასახელება და აღნიშვნა, რომ დოკუმენტები წარმოდგენილია გამოცხადებული ტენდერისთვის;
- **სამშენებლო ორგანიზაციებმა ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებითი ინფორმაციის (ობიექტების დისლოკაცია, შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა და სხვა) მისაღებად მიმართეთ: „UMCOR -ის საქართველოს წარმომადგენლობის ქუთაისის ოფისს. მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ N27.**

სატენდერო წინადადების შემოტანა უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი N12ა"საერთაშორისო ორგანიზაცია UMCOR

ტელეფონი: 995 32 387003, 206 800, 206 801.

ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 27, საერთაშორისო ორგანიზაცია UMCOR"-საქართველოს ქუთაისის წარმომადგენლობა. ტელეფონი: 8231 45877

**საკონტაქტო პირი:: გიორგი კვეტენაძე მობ. T-899540558.**

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება აღნიშნულ მისამართებზე 2008 წლის 19 დეკემბრიდან 2008 წლის 26 დეკემბრის 16.00 საათამდე.

- წინანადებების მიღების ბოლო ვადაა 16:00 საათი, 2008 წლის 26 დეკემბერი;
- ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UMCOR United Methodist Committee On Relief

## TENDER ANNOUNCEMENT ON REHABILITATION WORKS OF COMMUNAL KITCHENS AT THE IDP CENTERS FOR IDPs SUFFERED FROM HOSTILITIES IN GEORGIA

UMCOR-Georgia, the representation of the United Methodists Committee on Relief (UMCOR) in Georgia is pleased to announce a tender on Rehabilitation works of communal kitchens for IDPs suffered from hostilities in Georgia at 5 IDP Centers in Kutaisi and at 1 Center in Zestaphoni and invites bids from interested companies. The Project is financed by the OFDA/US Agency for International Development (USAID).

UMCOR is a humanitarian organization working on the principles of impartiality, independence and neutrality.

ELIGIBILITY CRITERIA

All interested resident entities and entrepreneurs registered in Georgia are eligible for participation in the tender.

INTERESTED COMPANIES AND ENTREPRENEURS SHOULD SUBMIT FOLLOWING INFROMATION:

1. Information about the participant, with indication of:
" Name of the company, Individual Entrepreneur, individual;
" Legal status;
" Legal address;
" Contact information;
" Tax registration number
2. Bid including the following:
" Letter of interest for participation in tender;
" Offered price in US Dollars excluding VAT;
" Construction works completion period;
" 2% bank guarantee of the bid total value;
3. Abstract of record from the registry for commercial entities

NOTE: All above mentioned documents should be original or notary approved copies.

SELECTION OF THE BIDS AND OTHER CONDITIONS

" Envelopes will be opened in the presence of the designated UMCOR Bid Selection Committee.
" Selection of the bids will be based on descending sorting of the offered prices and other tender conditions.
" In case of winning the Bank Guarantee in amount of 5% of the total value of the Agreement will be used to guarantee implementation of the Agreement.
" If no company or individual is meeting tender requirements, UMCOR-Georgia reserves the right to announce new tender with the same or changed conditions.
" UMCOR-Georgia has no obligation to announce publicly the bids of participating companies.
" UMCOR-Georgia reserves the right to request additional information from the participants.
" Participants shall not be permitted or requested to correct, withdraw or in any way alter the bids after the determined deadline.
" UMCOR reserves the right to reject any bid without thereby incurring any liability to the affected submitters.
" In case of winning the construction works should be completed in one month period.

BID SUBMISSION PROCEDURES

" Interested companies and entrepreneurs are welcome to submit the bids in Georgian or English languages in a sealed envelope with a clearly marked participant name and notice that the bid intend for announced tender;
" Construction companies may obtain additional information (IDP centers' location, list of works to be done etc.) from the UMCOR Georgia Kutaisi office. Address: 27, Rustaveli ave., Kutaisi, Georgia. Contact Person: George Kvetenadze, Mob:899540558.
" The bids should be submitted to the following address: UMCOR-Georgia, VI Floor, 12A Kazbegi Ave., Tbilisi, Georgia. Phone: (99532) 387003, 206800,206801; Fax: (99532) 387005

Or UMCOR-Georgia Kutaisi Office, Address: 27, Rustaveli ave., Kutaisi, Georgia
" Deadline for submission: 16:00, December 26, 2008;
" All documents submitted after the above stipulated time will not be considered.

# "წლის ადამიანისა" და მისი გუნდის მოთმინების გამოცდა

## რუსეთი ამერიკას "კუნთებს უსინჯავს"

ხათუნა ბაბიევი



*ჯონ რუდის თქმით, რუსეთი ობამას "გამძლეობას" სცდის.*

შეერთებული შტატების გარდამავალ ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელ ჯონ რუდის თქმით, რუსეთის ხელისუფლება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საკითხში გაცილებით ხისტი პოზიციის დაკავებით აპირებს, რომ ახლად არჩეულ ბარაკ ობამას გუნდის "გამძლეობა გამოცადოს".

**"ნაციონალური უსაფრთხოების საკითხში ვაშინგტონის ახალი მიდგომის მოლოდინში მოსკოვმა პაუზა გააკეთა. მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლებს ჩვენი ახალი მთავრობა აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსების გამო გაჩენილი პრობლემის გადაწყვეტას,"** - აღნიშნა ჯონ რუდმა.

იგი რუსეთის პოზიციის შესახებ დასკვნებს იმ შთაბეჭდილებების მიხედვით აკეთებს, რაც ორშაბათს მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ დარჩა და არა ოფიციალური მოსკოვის რამე კონკრეტულ განცხადებაზე დაყრდნობით.

რუდის განცხადებით, რუსები ბოლო დროს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ მოლაპარაკებებში ნაკლებად მოქნილნი იყვნენ. ამერიკამ, პოლონეთისა და ჩეხეთის ხელისუფლებების მხარდაჭერით, ოფიციალურ მოსკოვს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის უბნებზე რუსი ექსპერტების რეგულარული დაშვების უზრუნველყოფა შესთავაზა, რათა მათ ნებისმიერ დროს შეძლონ საფრთხის წყაროდ აღქმული სუბიექტების მოქმედების გაკონტროლება.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის აზრით, მოსკოვში გამართული მოლაპარაკებები ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისა და სტრატეგიული თავდასხმის შეიარაღების შეზღუდვაზე პირველი ხელშეკრულების შესახებ, რომლის მოქმედების ვადა 2009 წელს იწურება, სასარგებლო იყო, მაგრამ მხარეებმა რამე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლეს.

ამერიკული მხარის შეფასების გარდა, საინტერესოა თავად რუსეთის პოზიციაც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, ოფიციალური მოსკოვი შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციისგან სტრატეგიული თავდასხმის შეიარაღების შეზღუდვის რეჟიმის დაცვაში კონსტრუქციულ თანამშრომლობას ელის.

ჯონ რუდის თქმით, მოსკოვში გამგზავრებამდე მან კონსულტაციები გამართა ობამას გარდამავალი მთავრობის გუნდის წევრებთან. შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის გუნდში კი ჯონ რუდის ზემოთქმული ვარაუდის კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთისა და შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში ყველაზე მწვავედ აღიქმება. 5 ნოემბერს დმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ამერიკული საფრთხის გასანეიტრალებლად რუსეთი საზღვრებზე "ისკანდერის" ტიპის სარაკეტო კომპლექსებს განათავსებს, მაგრამ სულ რაღაც 10 დღის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი შედარებით მოლბა და აღნიშნა, რომ ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან გარკვეულ დათმობებს დაელოდება.

გარდა ზემოთქმულისა, ჯონ რუდმა მოსკოვის მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ისიც აღნიშნა, რომ ოფიციალურ ვაშინგტონს დასავლეთ ნახევარსფეროში რუსეთის პოლიტიკა არ აშინებს.

**"ვენესუელის სანაპიროებთან ძველი მოიერიშეების ფრენა და კარიბის ზღვაში პატრულირება არ არის ის, რამაც ამერიკაში შეიძლება მღელვარება გამოიწვიოს,"** – განაცხადა რუდმა.

"ბი-ბი-სი-ს" თანახმად, ამავე თემაზე კომენტარი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც გააკეთა, როცა ნიუ-იორკში უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვას პანამის არხით დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდ "ადმირალ ჩაბანენკოს" გასვლის შესახებ.

**"ვფიქრობ, რუსები იქ, უბრალოდ, დასეირნობენ. ვენესუელის სანაპიროსთან შეუიარაღებელმა "ბლექჯეკის" ტიპის რამდენიმე მოძველებულმა თვითმფრინავმა გადაიფრინა. არ ვიცი, ეს რისთვის დასჭირდათ, მაგრამ მე ამის გამო ძილს არ დავიფრთხობდი,"** – განაცხადა რაისმა.

ცნობისთვის - მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში ვენესუელის ტერიტორიულ წყლებში "ვენრუს-2008" სახელწოდებით ერთობლივი წვრთნები ჩატარდა. მასში რუსული მხრიდან მონაწილეობა მიიღო მძიმე ბირთვულმა სარაკეტო კრეისერმა "პეტრე დიდი", დიდმა ნავსაწინააღმდეგო ხომალდმა "ადმირალი ჩაბანენკო", უზრუნველყოფის ხომალდებმა "ივან ბუბნოვი" და "C-406" და საგემბანო ვერტმფრენებმა. ხომალდებზე ეკიპაჟთა წევრების საერთო რაოდენობა 1 600 კაცს შეადგენდა.

კონდოლიზა რაისის თქმით, შეერთებული შტატები დასავლეთ ნახევარსფეროს თავის ექსკლუზიურ გავლენის სფეროდ არ აღიქვამს და ამიტომ არც აქვს რამე საწინააღმდეგო, რომ ამ ქვეყნებთან რუსეთის ურთიერთობები განვითარდეს.

თუმცა, როგორ ლოიალურ დამოკიდებულებასაც არ უნდა გამოხატავდეს ოფიციალური ვაშინგტონის ხმამაღალი განცხადებები, ფაქტია, რომ ამერიკული პრესა არა მარტო ლათინურ ამერიკაში რუსეთის როლის გაძლიერების მცდელობაზე მსჯელობს, არამედ ყურადღების მიღმა არც ახლო აღმოსავლეთის რეგიონი რჩება. ამერიკული პრესის თანახმად, რუსეთს ლიბანისთვის "მიგ-29" ტიპის 10 ერთეული მოიერიშის ჩუქებით ამ რეგიონში ამერიკის გავლენისა და ახლად არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილების უნარიანობის შემოწმება სურს, რომელიც ახლახანს "წლის ადამიანად" აღიარეს. "ნიუ-იორკ თაიმსის" აზრით, ამერიკისთვის ეს სილის გაწნა იქნება, ხოლო ლიბანის არქაული სამხედრო-შეიარაღებული ძალებისთვის - ფასეული განახლება. კონტრაქტს ახლა მხოლოდ ლიბანის ხელისუფლების მხრიდან დადასტურება და მოკავშირეებთან ამ საკითხის განხილვა სჭირდება.

გავლენიანი ამერიკული გამოცემის თანახმად, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია რუსეთის წინადადებამ, როგორც ჩანს, სერიოზულად დააფიქრა. ოფიციალური ვაშინგტონი ლიბანს სამხედრო დახმარების გაზრდას 2005 წელს სირიის ჯარების გაყვანის შემდეგ დაჰპირდა. დაპირების მიზანი ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაცია და "ჰეზბოლას" შიიტური დაჯგუფების კანონიერი ალტერნატივის შექმნა იყო. პენტაგონმა ლიბანს "Cessna Caravan"-ის თვითმფრინავები შესთავაზა, რომლებიც "მიგ-29"-ს სიძლიერით ბევრად ჩამოუვარდება.

რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფედერალური სამსახურის დირექტორ მიხაილ დმიტრიევის განცხადებით, ლიბანისთვის "მიგ-29" ტიპის მოიერიშეების მიწოდება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხარჯით განხორციელდება.

**"სამხედრო-ტექნიკური დახმარება საბიუჯეტო თანხებით დახმარებაა,"** – დააზუსტა დმიტრიევმა.

გამოდის, რომ ლიბანისთვის საჩუქარი რუსი გადამხდელების ხარჯზე კეთდება.

რუსეთ-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობებში კრიზისზე საუბრობს ამერიკული ჟურნალი "ფორბსიც". გამოცემის თანახმად, ამჟამად რუსეთი შეერთებული შტატებისეროვნული ინტერესებისთვის პირდაპირი საფრთხეა და კონფრონტაციის რისკიც ისე ძლიერია, როგორც არასდროს. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი და ექსპერტი შიშობს, იქნებ ობამამ თანამედროვე პირობებში ვერ შეძლოს რუსეთის "ამბიციების დაცხრომა".

"ფორბსში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ოფიციალურ ვაშინგტონს რუსეთთან ურთიერთობებში თავისი პოზიციების დაცვას და იმავდროულად მოსკოვისთვის ამერიკასთან თანამშრომლობის სარგებლიანობაზე მკაფიო მინიშნებას ურჩევს. მაგალითად, ვაშინგტონს შეუძლია მოსკოვს მისთვის ესოდენ საჭირო უცხოურ ინვესტიციებს შეჰპირდეს ჩრდილოეთ კორეასთან, ირანსა და ვენესუელასთან ენერგეტიკის სფეროში კავშირების გაწყვეტის სანაცვლოდ.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ დასრულებულ იქნა პროექტთან - „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" - დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი ვარიანტი (პროექტი; First Draft).

გზშ-ს პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

· გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. N6;

· პროექტში „ორჰუსის ცენტრი საქართველოში", ქ.თბილისი, გულუას ქ. N6; (გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტ გვერდზეც: www.aarhus.dsl.ge);

· აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, ვ. გორგასალის ქ.N124; (დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია; ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია სამმართველოს ინტერნეტ გვერდზე: www.denr-adjara.ge)

· ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებლის N143; საკონტაქტო პირი: ემზარ ჯინჭარაძე, ტელ: 895222488 (დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია)

· ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აღმაშენებლის N 21; საკონტაქტო პირი: ჯემალ შავლიძე, ტელ: 893786167; (დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია)

· დაბა ჩაქვში, გამგეობის შენობაში, დ. აღმაშენებლის N3, მე-2 სართული; საკონტაქტო პირი: ელგუჯა ბაგრატიონი, ტელ: 899 14 05 05; (დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია)

ხსენებული დოკუმენტების გამოქვეყნებით იწყება გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვების 120 დღიანი ციკლი. შეხვედრების პირველი სერია გაიმართება:

- 2009 წლის 22 იანვარს - ქ. ბათუმში, შპს „სანდასუფთავების" ოფისში ზ. გამსახურდიას ქ.N46, 12:00 საათზე;

- 2009 წლის 23 იანვარს - ქ. ქობულეთში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციაში, რუსთაველის N139 -ა -ში, 11:00 საათზე;

- 2009 წლის 23 იანვარს - დაბა ჩაქვში, გამგეობის შენობაში, აღმაშენებლის ქუჩა N3, მე-2 სართული, დღის 15:00 საათზე.

დაინტერესებულ მხარეებს ვთხოვთ, შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების გარდა, მოგვაწოდოთ კითხვები და კომენტარები წერილობითი ფორმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მისამართზე: ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქ. N124. საკონტაქტო პირები: ნოდარ კონცელიძე, ტელ: (877) 232227, ელ-ფოსტა: nkoncelidze@yahoo.com; ქეთი დგებუაძე, ტელ: (893) 301632, ელ-ფოსტა: ket-dgeb@yahoo.com.

შემოსული შეკითხვებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტში შეტანილი იქნება დამატებები და ცვლილებები. ყველა ცვლილება და დამატებითი მასალა ასევე წარედგინება საზოგადოებას და გზშ პროცესის ბოლოს გაიმართება კიდევ ერთი საკონსულტაციო შეხვედრა საზოგადოებასთან, რომელზეც განხილულ იქნება შემოსული კომენტარების და მათი საბოლოო გზშ-ში გათვალისწინების საკითხი.

## ობამა წლის ადამიანი გახდა

ამერიკულმა გამოცემა "თაიმსმა" წლის ადამიანად აშშ-ს ახალარჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა დაასახელა.

ობამას უშუალო კონკურენტები იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აშშ-ს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ჰილარი კლინტონი, ალასკას შტატის გუბერნატორი სარა პეილინი, ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე და ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფჰელფსი.

ინფორმაციისთვის – ჟურნალმა "თაიმსმა" 2007 წლის დეკემბერში წლის ადამიანად რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დაასახელა.

*მედიანიუსი*

## საფრანგეთში ხალხმრავალ ადგილებში პოლიციური კონტროლი გაძლიერდა

საფრანგეთის ყველა დიდი ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში საპატრულო სამსახურს პოლიციის დამატებითი ძალები განახორციელებენ.

უსაფრთხოების დამატებითი ზომები ტერორისტული აქტების შესაძლო გახორციელების თავიდან ასაცილებლად არის მიღებული.

ცნობისათვის - გუშინწინ პარიზის უნუვერმაღ „პრენტამში" ხუთი ასაფეთქებელი მოწყობილობა გააუვნებლეს.

*მედიანიუსი*

## ჩინეთში დროშა შეურაცხყვეს

ჩინეთის პოლიციამ დროშის შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი ორი ადამიანი დააკავა. მათ სახელმწიფოს სიმბოლოსთვის საღებავებით სავსე კვერცხების დაშენა ბრალდებათ. ინციდენტი 23 ნოემბერს ქალაქ ჩუნცინის მემორიალურ სასაფლაოზე მოხდა.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულებმა აღიარეს, რომ კომუნისტურ დროშებს კვერცხები დაუშინეს. დამნაშავეთა დაჭერაში 100 პოლიციელი მონაწილეობდა. მათ 873 ადამიანი გამოკითხეს. დაკავებულებს ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

*მედიანიუსი*

## მადრიდში აშშ-ს საელჩო გახიზნეს

ამერიკის საელჩო მადრიდში მას მერე გახიზნეს, რაც შენობაში საეჭვო კონვერტი იქნა აღმოჩენილი. საელჩოს შენობიდან პერსონალის სასწრაფო ევაკუაციისთანავე სასწრაფო დახმარების და სახანძრო მანქანები მივიდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, განგაში ცრუ აღმოჩნდა. კონვერტი, რომლის შიგთავსმაც აურზაური გამოიწვია, ცარიელი იყო. მანამდე მასმედიამ გაავრცელა ცნობა, რომ კონვერტში თეთრი ფხვნილი ეყარა, რამაც პოლიციას აფიქრებინა, რომ ეს ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღი უნდა ყოფილიყო.

*მედიანიუსი*

## მედვედევმა ლუკაშენკო მოსკოვში მიიწვია

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა თავისი ბელარუსი კოლეგა ალექსანდრე ლუკაშენკო 22 დეკემბერს მოსკოვში მიიწვია, - იუწყება სააგენტო "რია.ნოვოსტი" კრემლის პრესსამსახურზე დაყრდნობით.

სააგენტოს ცნობით, მხარეები არა მარტო შეხვედრის თარიღზე, არამედ შეხვედრის მოსამზადებელ საკითხებზეც შეთანხმდნენ. არ ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, ჩატარდება თუ არა მოკავშირე სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს სხდომა.

"ბელარუს და რუს პრეზიდენტებს შორის 1 დეკემბერს მოსკოვში დაგეგმილი მოლაპარაკებები იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ მხარეებს შორის დღის წესრიგზე შეთანხმება არ მოხდა," -აღნიშნავს "რია.ნოვოსტი".

მათივე ინფორმაციით, რუსეთში მაშინ გამოაცხადეს, რომ ლუკაშენკოს ვიზიტი მოსკოვში და მოკავშირე სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს სხდომა ბელარუსების ინიციატივით არ შედგებოდა, ხოლო მინსკში აცხადებდნენ, რომ რუსეთი მზად არ იყო "გაფართოებული" დღის წესრიგის განსახილველად.

ამასთან, გაზეთ "კომერსანტის" წყაროების ცნობით, რუსეთის ხელმძღვანელობაში მაშინ ჰყვებოდნენ, რომ მოსკოვი სხდომაზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა, მაგრამ ბელარუსები ამაზე არ წავიდნენ.

ცნობისთვის - რუსეთმა ბელარუსისთვის გამოყოფილი მილიონების სანაცვლოდ ლუკაშენკოს გაახსენა ადრინდელი დაპირება - ეღიარებინა ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რაზეც ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მას ძალით აღიარებას ვერავინ აიძულებდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ირანი - რეგიონული ზესახელმწიფო

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ ისლამური რესპუბლიკა რეგიონულ ზესახელმწიფოდ გადაიქცა და ახლო აღმოსავლეთში რეალური მეტოქეები არ ჰყავს. **"ირანელმა ხალხმა ყველა ფრონტზე გაიმარჯვა და მომავალშიც, უზენაესის წყალობით, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს,"** – აღნიშნა მან.

ერთ-ერთ ასეთ გამარჯვებად შესაძლოა მიჩნეული იყოს ის, რომ საერთაშორისო საზოგადოება, ფაქტობრივად, შეეგუა ირანის ბირთვულ პროგრამას. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა მუჰამედ ელ-ბარადეიმ ამას წინათ აღიარა, რომ უკანასკნელ წლებში თეირანზე განხორციელებული ზეწოლის ტაქტიკამ სრული კრახი განიცადა.

როგორც აჰმადინეჯადი ირწმუნება, ირანს ერის ერთობამ და აიათოლა ალი ხამენეის მითითებების შესრულებამ შესაძლებლობა მისცა, ჩაეშალა აშშ-სა და ირანის სხვა მტრების "მზაკვრული გეგმები". ოთხშაბათს პროვინცია კუზესტანში სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ირანი მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო და სწრაფად განვითარებადი ქვეყანა გახდა.

აჰმადინეჯადმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ისლამურ რესპუბლიკას სრული უფლება აქვს, განახორციელოს მშვიდობიანი ბირთვული პროგრამა და თავისი უფლებების დათმობას არ აპირებს. **"ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვინც ირანთან მოლაპარაკებებში მონაწილეობს,"** – თქვა მან.

თეირანის ბირთვული პროგრამა დასავლეთისთვის, სადაც მიიჩნევენ, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას აპირებს, უკიდურესი შეშფოთების საგანს წარმოადგენს. ირანის ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ ატომური კვლევები მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება და უარყოფს მსოფლიო საზოგადოების ყველა მოთხოვნას ურანის გამდიდრების სამუშაოების შეწყვეტაზე.

ირანის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, რომელიც იმავდროულად ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, ქვეყანაში ამჟამად ურანის გამდიდრებაზე 5 ათასი ცენტრიფუგა მუშაობს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით კი, თეირანი უკვე ფლობს 630 კილოგრამ ბირთვულ საწვავას, რომელიც საკმარისია ერთი ატომური ბომბის შესაქმნელად.

როგორც აშშ-ს სპეცსამსახურები იუწყებიან, ამ ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად ირანზე ისრაელის თავდასხმის ალბათობა მკვეთრად გაიზარდა. ამავე დროს, ისრაელის დარტყმა აშშ-სთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე შეუძლებელია, რადგან ერაყის საჰაერო სივრცე, რომლის თავზეც ისრაელის ავიაციამ უნდა გადაიფრინოს, მთლიანად ვაშინგტონის მიერ კონტროლდება.



აჰმადინეჯადის თქმით, ირანი რეგიონული ზესახელმწიფოა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში "რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი და სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი თავის კოლეგებს არწმუნებდა, რომ ოქტომბერში ისრაელი ირანს დაარტყამდა.

**"ორ თვეში ისრაელი ირანზე საშინელ დარტყმას განახორციელებს, რათა ხელი შეუშალოს ბირთვული იარაღის შექმნას. აშშ ისრაელს მხარს დაუჭერს. ამის გამო ჩვენ მილიონობით ლტოლვილს მივიღებთ,"** – ამტკიცებდა ჟირინოვსკი. მისი თქმით, ყველა ამ უბედურების პროვოცირებას "კაცობრიობის მთავარი მტერი", ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი მოახდენდა, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში "რესპუბლიკელ" ჯონ მაკკეინის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

თუმცა, არც ომი დაწყებულა და არჩევნებშიც ბარაკ ობამამ გაიმარჯვა. თუ ჟირინოვსკის დავუჯერებთ, სიტუაციის შემდეგი გამწვავება 2016 აგვისტოშია მოსალოდნელი და აშშ-ს მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირდება. **"ამიტომ, წინასწარ ვთხოვ დეპუტატებს, 2016 წლის აგვისტოში დასასვენებლად არ წავიდნენ,"** – მოუწოდა კოლეგებს "ლდპრ"-ის ლიდერმა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის დაწყების მცირე ალბათობა მაინც არსებობს. ირანის პრეზიდენტი საერთაშორისო პოლიტიკასთან მიმართებაში ოდიოზურ განცხადებებს რეგულარულად აკეთებს. თუმცა, მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება. დეკემბრის დასაწყისში ირანის შეიარაღებულმა ძალებმა ომანის ყურეში მასშტაბური სამხედრო-საზღვაო სწავლებები ჩაატარეს და წარმატებით გამოსცადეს "ნასრ-2" ტიპის საზღვაო რაკეტები.

ისრაელის მედიის მონაცემებით, ამჟამად თეირანი ზრდის სარაკეტო პოტენციალს და ისრაელთან ომისთვის ემზადება. შორი რადიუსის რაკეტების რაოდენობა მხოლოდ 2008 წელს ოთხჯერ გაიზარდა. დღეისთვის ირანის განკარგულებაშია ასზე მეტი "შაჰაბ-3" ტიპის რაკეტა, რომლის ფრენის სიშორეც 2 ათას კილომეტრამდეა, რაც ისრაელის სამიზნეების გასანადგურებლად სავსებით საკმარისია.



# რევიუ

## იაშკა






*კადრები იაშკას ბოლო ფილმიდან*

იაშკა - დათო იაშვილი, სრულიად ახალგაზრდა და თანამედროვე ქართული კინოს ერთ-ერთი სახე რამდენიმე დღის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა. შეწყდა მისი ცხოვრება და მასთან ერთად შეწყდა მისი ახალი, ჯერ კიდევ დაუსრულებელი როლებიც. იაშკამ ბოლო კინოროლი დიტო ცინცაძის "მედიატორში" შეასრულა. ეს როლი თითქოს წინაწარმეტყველურიც აღმოჩნდა - მისი უსახელო გმირი ხმის ამოუღებლად კვდება, ზუსტად ისე, როგორიც დათო ცხოვრებაში იყო - ჩუმი, უპრეტენზიო, მსახიობი სევდიანი თვალებით.

დათო იაშვილი 1972 წელს დაიბადა. თეატრალურის დასრულების შემდეგ მალევე გახდა რუსთაველის თეატრის მსახიობი, რომლის დასშიც სიცოცხლის ბოლომდე ირიცხებოდა. თუმცა ყველა აღნიშნავდა, რომ კინოში გაცილებით მეტის გაკეთება შეძლო. ბოლო წლებში გადაღებული თითქმის ყველა ფილმში თამაშობდა - ახალგაზრდა მაყურებელი სწორედ მას ირჩევდა. თითქმის ყველა ფილმში მეორე ხარისხოვან პერსონაჟებს თამაშობდა, თუმცა ისე, რომ მათ თითქოს შეუმჩნეველ როლს წინა პლანზე წევდა. თუნდაც წელს გამოსული "სამი სახლი" გავიხსენოთ - სწორედ იაშკას პერსონაჟია ის, ვინც მთელი ფილმის ხასიათს და აბსურდულობას ერთი მარტივი ფრაზით ხსნის. ასეთი იყო იაშკა - ერთი მარტივი ფრაზასავით გაფრენილი ბიჭი...

# დღეს დედამიწა გაჩერდება

### თბილისის კინოთეატრებში კიანუ რივზის ახალი ფილმი გამოდის

ია ვეკუა

დედამიწა საშინელი საფრთხის წინაშეა. თუ კაცობრიობა ერთმანეთში ომს და გარემოს ნგრევას არ შეწყვეტს, მაშინ ჩვენს პლანეტას განადგურება ელის. ამას კი სხვა ცივილიზაციიდან მოსული "სტუმრები" დანარჩენი სამყაროს გადარჩენის გამო გააკეთებენ. სწორედ ამის საუწყებლად ჩამოვიდა დედამიწაზე კლაატუ - მისი ყოველი სიტყვა კი გაფრთხილებასავით ჟღერს. თუმცა დამშვიდდით, არ გეგონოთ, რომ ზემოთ მოთხრობილი ამბავი რეალურია, უბრალოდ იმ ფილმის შესახებ მოგითხრობთ, რომელიც 19 დეკემბრიდან "ამირანსა" და "რუსთაველში" მსოფლიო პრემიერის ფარგლებში გამოვა - "დღე, როდესაც დედამიწა გაჩერდა".



როგორც ახალი სეზონის ყველა ფილმის შემთხვევაში ხდება "დღე, როდესაც დედამიწა გარჩერდაც" ჩვენს კინოთეატრებში ქართულ ენაზე გამოვა. მაყურებელი ალბათ უკვე მიეჩვია, რომ ეკრანზე გამოჩენილი მსახიობები ჩვენს მშობლიურ ენაზე მეტყველებენ და საბოლოოდ გადაილახა ბარიერი სახელად "რუსული დუბლიაჟი". ქართველი მსახიობების სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად ახერხებენ ჰოლივუდელი ვარსკვლავების იმიჯის მორგებას ან სულაც მათ არგებენ საკუთარ ხმაზე.

"დღე, როდესაც დედამიწა გაჩერდა" ფანტასტიკისა და ფილმი-კატასტროფის ჟანრს განეკუთვნება. მთავარი გმირი, უცხოპლანეტელი კლაატუ, რომლის როლსაც კიანუ რივზი ასრულებს, ჩვენს პლანეტაზე ერთგვარი ელჩის მოვალეობის შესასრულებლადაა ჩამოსული. მან ადამიანებს უნდა შთააგონოს შეწყვიტონ ომი, მკვლელობები, მათ მიერვე შექმნილი სამყაროს განადგურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ცივილიზაციების წარმომადგენლები იძულებული გახდებიან, დედამიწა ააფეთქონ. სხვა შემთხვევაში დედამიწაზე დაგროვილი ნეგატიური ენერგია მთელ სამყაროს გაანადგურებს.

ფილმის რეჟისორი ახალგაზრდა და მეტ-ნაკლებად გამოცდილი სკოტ დერიკსონია. მის ფილმოგრაფიაში ხუთამდე ფილმი ირიცხება და აქედან მხოლოდ ერთია ცნობილი - "ემილი როუზის ეგზორციზმი". მისი ბოლო ნამუშევარი კი 1951 წელს გადაღებული კლასიკური ფილმის რიმეიკია. რობერტ უაიზის მიერ გადაღებული ფილმი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფანტასტიკური ჟანრის ნამუშევრადაა აღიარებული, ხოლო IMDB.com-ის საუკეთესო 250-ეულში 199-ე ადგილს იკავებს, რაც ასეთი ძველი ფილმისთვის ნამდვილად საოცნაულია.

უაიზის კლასიკური ნამუშევარი სწორედ იმ პერიოდშია გადაღებული, როდესაც მსოფლიო ცივი ომის ზღვარზე იდგა, ადამიანი კოსმოსში გაფრენაზე ფიქრობდა, ხოლო ამერიკისა თუ საბჭოთა კავშირის საიდუმლო ლაბორატორიებში თითქოს უცხოპლანეტელთა გვამების გამოკვლევაზე მუშაობდნენ. სწორედ ამ ფონზე ალბათ სავსებით რეალური იყო მსგავსი შინაარსის ფილმის გადაღება. ხოლო თუ ჩვენი პლანეტის დღევანდელ ცხოვრებას გადავხედავთ, მაშინ ეს შინაარსი არც ახლა კარგავს აქტუალობას.

ამერიკაში უყვართ ფილმი კატასტროფების გადაღება და თითქმის ყველა მათგანი წინასწარმეტყველურ ხასიათს ატარებს. როგორც წესი, მოვლენათა ეპიცენტრი ნიუ იორკია, როგორც მსოფლიოს ცენტრის სიმბოლო, ხოლო დანარჩენ ქალაქებში განვითარებულ მოვლენებს მხოლოდ ფრაგმენტულად გვაჩვენებენ: მაგალითად, როგორ ინგრევა ეიფელის კოშკი ან ბიგ ბენი, როგორ ეცემა მეტეორიტი ტაჯმაჰალის მავზოლეუმს ან პირამიდებს (11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ნიუ იორკის ნგრევის ამსახველი კადრების ჩვენება აკრძალულია). კინემატოგრაფისტთა ფანტაზიამ უკვე თითქმის ყველანაირი მეთოდი მოსინჯა: დედამიწას ხან წყალდიდობა ემუქრება, ხან მიწისძვრა, გამყინვარება, ვულკანი, ქარბორბალა, მეტეორიტების წვიმა, მზის ჩაქრობა, დაავადებები, ზომბები, უცხოპლანეტელთა შემოსევა და კომპიუტერული ვირუსებიც კი, მაგრამ საბედნიეროდ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია. როგორც ჩანს, დედამიწას მართლაც მხოლოდ ერთი რამ გაანადგურებს - თავად ადამიანი.

## კომენტარები მთავარზე



# ნაგვის გეოპოლიტიკა

ლაშა ბუღაძე

რამდენიმე დღის წინ საკმაოდ დიდი გზა განვვლე ფეხით და დავასკვენი, რომ ქუჩაზე გადმოყრილი ნაგავი სულაც არ ყოფილა ისეთი ერთფეროვანი, როგორც უწინ მეგონა.

ნაგვის მიხედვით რომ მისი ყოფილი მფლობელ-გადამყრელის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ამოკითხვაა შესაძლებელი, ამაში, ვგონებ, ყველანი დამეთანხმებით, მაგრამ აი, ის კი თუ შეგინიშნავთ, რა ეფექტურად, რა შთამბეჭდავად იცვლება ნაგავი ერთი უბან-რაიონიდან მეორე უბან-რაიონში გადასვლისას?

ავიღოთ, მაგალითად, მეტრო "რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორია. აქ ყველანაირი სახის ნაგავს წააწყდება მონდომებული მაწანწალა. მართალია, მცირედმა არქიტექტურულმა მოპირკეთებამ (იგულისხმება შუშის მონსტრის დანგრევა, კედლის შენათება და სკამ-ბალჩეულის ჩარგვა-ჩამონტაჟება) ამ ადგილას დიდად შეამცირა ნაგვის წარმოშობა, მაგრამ მოდარაჯე კაცის თვალი (გალაკტიონის სიტყვებია) მაინც შეამჩნევს პატიოსან სიბილწეს. უწინ, ანუ არქიტექტურულ მოპირკეთებამდე, აქ სრული სანაგვო აბსურდი ტრიალებდა. აქ ჩვენ გვინახავს ურიცხვი რაოდენობის ხუთ-ლარიანი მონო-ბარათები, სიგარეტის კოლოფთა გორები, ატალახებული და გაქუცული თათმნები (იგულისხმება ხელთათმანი), ლატარეათა ბილეთები, დაფხრეწილი გაზეთნი ამა ქვეყნისანნი, ბავშვის დაგლეჯილი შუზიკები (ფეხსაცმელები, ანუ), ნასკნი და - არ ვტყუი, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი - კბილთა პროტეზნიც კი!

ეს სოციალური ნეხვეული, მართალია, უწინდელი სიდიადით აღარაა წარმოდგენილი, მაგრამ გადაჩხაპნილი სატელეფონო ბარათები, დაუდგენელი წარმოშობის მცირე ნივთ-არსებები და სიგარეტის კოლოფები მაინც უხვადაა მოწოდებული.

ვერისკენ გარდამავალ გზაზე ნაგავი ნაკლებ აბსურდული ხდება, თუმცა ხეების ტოტებზე ალაგ-ალაგ მაინც შეინიშნება 5 და 10-თეთრიანი ცელოფანის პარკეული. ეს გამჭვირვალე, მოთეთრო-მოყვითალო ცელ-პარკნი რამდენიმე წლის წინ ხიჩკოკის ჩიტებივით დაფრთხიალებდნენ ქუჩებში, ხეებზე კონწიალობდნენ და საახალწლო ნაძვის ხის ტრაგიკული ვაი-საჩუქრების ეფექტს ქმნიდნენ.

ცელოფანის აპოკალიფსის ხანამ, როგორც ჩანს, გადაიარა, მაგრამ მაღაზიებში მომსახურე ბრაზიანი ქალბატონები მაინც ჯიუტად ტენიან ამ რაღაც უცნაურ და საშინელ საცელოფნო გამჭვირვალებაში მოქალაქეთა მიერ შეძენილ საქონელს.

ვაკე, ძირითადად, ტანკ-ჯიპებიდან და ვეება მანქანებიდან გადმოყრილ ნაგავს გვთავაზობს. თუმცა ნაგავი აქ არა დაგდებული, ან გადმოგდებული, არამედ გადმოფრენილია! ნაგავს აქ აშკარად ეტყობა, რომ ვიდრე მიზნამდე მიაღწევდა, მანამდე კარგა ხანს უფრენია.

სადღა შეგხვდებათ აქ უბედური ხუთ-ლარიანი სატელეფონო მონო, აქ თუ ნახავ ამგვარ რასმეს, მხოლოდ შთამბეჭდავი ციფრით. ნაგვის ყუთები ვაკეში (ისევე, როგორც სხვა საუბნო რეგიონებში), როგორც წესი, გამოუყენებელი და სუფთაა. მინჯღრეული და ფეხ-მირტყმულია მხოლოდ (ქართველი ჯეელი ხომ ყველა თავის უბედურებას ნაგვის ყუთს აბრალებს - ეს ერთგვარი ფსიქოთერაპიაა). მოქალაქეთა უმეტესობას სამარცხვინოდ მიაჩნია ნაგვის ყუთით სარგებლობა. მეტსაც გეტყვით, ზოგიერთი არც აღიარებს ნაგვის ყუთს, როგორც ჰიგიენურ ფენომენს, ბევრმა კი, ვეჭვობ, არც იცის, რაი არს ეს პირდაფჩენილი, მოყანყალებული რკინის ცხოველი!

არის ხალხი, რომელიც მთავრობაზეა გაბრაზებული და ამიტომაც ყრის ნაგავს პირდაპირ ქუჩაზე და ტროტუარზე. ეს ქმედება, ფაქტობრივად, მთავრობის გინებაა ("ჩაგიჯვით განათებულ ქუჩებში!"), მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც უბრალოდ, ყოველგვარი ავი განზრახვის გარეშე მიმოფანტავენ ნაგავს. წევენ თავიანთი მანქანების შუშებს და რაგბისტებივით მომოისვრიან ყოველივეს, რასაც ნაგვად თვლიან თავად (ძირითადად, ეს ისევ და ისევ სიგარეტის კოლოფები და პარკუჭებია, თუმცა, ზოგჯერ, უფრო წონიანი სოც-ნეხვეულითაც გვხვდება).

სიარულს რომ არ მოვექანცე (თან იმისაც შემეშინდა, ჩემთვის უნებლიედ თავში არ გაერტყა ვინმეს რამე), აუცილებლად დავლაშქრავდი სხვა რაიონ-რეგიონებსაც, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სურათი იქაც იგივე დამხვდებოდა: საქართველოს მოქალაქეს ხომ საშინლად უჭირს დაუნაგვიანებელ გარემოში ცხოვრება. ვერ იტანს ამ ნაგვის ყუთებს და რა ქნას!

ხოდა, ეგებ მართლაც მოვაშოროთ ჩვენს ქალაქს ეს სიმახინჯეები!

არ შეიძლება, რომ ისე ვფანტოთ ქუჩებში ჩვენივე სოც-ნეხვი, რომ სინდისი მაინც არ გვქენჯნიდეს ნაგვის ყუთების დანახვისას?!

# თამარ წულუკიძე - 105

თამარ კიკნაველიძე



თამარ წულუკიძე, სანდრო ახმეტელის მეუღლე.



დღეს ქართველ მსახიობ ქალს - თამარ წულუკიძეს დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდებოდა.

17 დეკემბერს, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში ის კიდევ ერთხელ გაიხსენეს, როგორც ნიჭიერი მსახიობი, მშვენიერი ქალი და რეჟისორ სანდრო ახმეტელის მეუღლე. ქართული თეატრის რეფორმატორის თანამოაზრეემ, მოგვიანებით კი, "ფაშისტური ჯგუფის" წევრად მონათლულმა თამარმა რეპრესიებს გაუძლო და გადასახლებიდან დაბრუნდა. რუსთაველის თეატრში შეკრებილნი მის პიროვნულ სიძლიერეზე საუბრობდნენ.

თამარ წულუკიძე 1903 წლის 19 დეკემბერს დაიბადა. 1911-16 წლებში ის ბაქოში ცხოვრობდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის სახელობის დრამატული წრის აქტიური წევრი გახდა. 1922-24 წლებში კი, აკაკი ფაღავას თეატრალურ სტუდიაში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგაც რუსთაველის თეატრში ჩაირიცხა. 1934 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

თამარ წულუკიძის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: პირიმზე ("სინათლე", რეჟისორები - კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, 1924 წ.), ლატავრა ("ლატავრა", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1924 წ.), ოფელია ("ჰამლეტი", რეჟისორები - კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი, 1925 წ.), მზეთამზე ("მზეთამზე", რეჟისორები - კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი, 1926 წ.), ილტანი ("ზაგმუკ", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1926 წ.), მაშა ("ქართა ქალაქი", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1929 წ.), ვერა ანდრეევნა ("ღვარძლი", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1929 წ.), ქსენია ("რღვევა", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1928 წ.), დარიკო ("ნაბიჭვარი", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1934 წ.), ლამარა ("ლამარა", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1926 წ.), ამალია ("ინ ტირანოს", რეჟისორი - ს. ახმეტელი, 1933 წ.), მარია ულიანოვა ("ოჯახი", რეჟისორი - დ. ალექსიძე, 1950 წ.) და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ავტორია წიგნისა: "მხოლოდ ერთი სიცოცხლე".

რუსთაველის თეატრის მიერ ორგანიზებულ საღამოს თეატრმცოდნეები: ნათელა არველაძე (ის ახლოს იცნობდა თამარ წულუკიძეს) და ია შერაზადაშვილი უძღვებოდნენ. ექსპერიმენტული დარბაზის ფოიეში მოწყობილი ექსპოზიციის ავტორი კი, რუსთაველის თეატრის მუზეუმი იყო.

საღამო ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ გახსნა. "ძნელია იყო რეჟისორის მეუღლე, თანაც მსახიობი და ულამაზესი ქალი... ძნელია იყო მეუღლე ისეთი კაცისა, როგორიც სანდრო ახმეტელი იყო. მათ საოცარი, მაგრამ რთული სიყვარული ჰქონდათ... ეს ადგილის, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, ვნებების საშინელი ეპიცენტრია... დღეს, ასეთი ვნებები აქ, სამწუხაროდ, აღარ არსებობს... ამ ქალმა თავისი სიყვარული ბოლომდე გაიაზრა, გაუძლო გადასახლებას და მაქსიმალურ შურისძიებას... ჩვენ ალბათ სხვანაირები ვიქნებოდით, რუსთაველის თეატრში ეს ორი ფიგურა რომ არ ყოფილიყო... მე ბედნიერი ვარ, რომ ამ წამებულ ქალბატონზე ვლაპარაკობ! გადასახლებიდან დაბრუნებულმა აქ ითამაშა, უცნაური რუსული აქცენტით ლაპარაკობდა... სწორედ მაშინ ვნახე პირველად ქალი, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, რომ ამ სილამაზისათვის ყველაფერი ეპატიება... რუსთაველის თეატრის იუბილეზე, როდესაც ჩვენ სანდრო ახმეტელის სადღეგრძელო შევსვით, ქ-მა თამარმა მე სანდრო ახმეტელის ზარი გადმომცა, როგორც რელიქვია და ახლა, 40 წლის შემდეგ, მინდა ამ ზარს ჩამოვკრა და მოვისმინოთ ხმები, რომლებიც გალღვება", - აღნიშნა რეჟისორმა.

მსახიობზე საუბრის პარალელურად, მაყურებელი ეკრანზე თვალს თამარ წულუკიძის მიერ ნათამაშები როლების ეპიზოდებსაც ადევნებდა. ასევე, ისმოდა ჩანაწერი, თუ როგორ კითხულობდა ის "მზეო თიბათვისას" და ამალიას მონოლოგს სპექტაკლიდან "ყაჩაღები" ("ინ ტირანოს").

ნათელა არველაძემ მსახიობის ცხოვრება სამ ეტაპად წარმოადგინა. I - გადასახლებამდე, როდესაც თამარ წულუკიძემ ბედნიერი ქალისა და მსახიობის ცხოვრებით იცხოვრა, II - გადასახლებაში, სადაც მარტოსულად გრძნობდა თავს და III - გადასახლების შემდეგ, როდესაც ის მხოლოდ ერთი შეგრძნებით ცხოვრობდა - ეთქვა სიმართლე იმაზე, რაც რუსთაველის თეატრში მოხდა.

"ეს იყო არა მარტო საინტერესო პიროვნება, ლამაზი ქალი, მსახიობი, უპირველესად პიროვნება, შეუპოვარი და დაუდეგარი... მან ძალიან რთული ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ დაამტკიცა ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს იმაზე დიდი ცენზი, ვიდრე იყო პიროვნება", - თქვა ნათელა არველაძემ.

თამარ წულუკიძესთან ერთად, საღამოზე სანდრო ახმეტელის თანამოაზრე, რეპრესირებული მსახიობებიც გაიხსენეს. მათ შორის რამდენიმეს შთამომავალი დაბაზში იმყოფებოდა. თამარ წულუკიძის შემოქმედებაზე, მის პიროვნულ სიძლიერესა და გამორჩეულობაზე თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ, სანდრო ახმეტელის შვილიშვილმა - მანანა ახმეტელმა და მსახიობმა ჯემალ ღაღანიძემ ისაუბრეს. ია შერაზადაშვილმა კი, წაიკითხა ნაწყვეტები წერილებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი თამარ წულუკიძის მიერ გადასახლებაში, კოლონიაში ჩამოყალიბებულ თოჯინების თეატრს ეხებოდა.

"არ არის საჭირო მდიდარი ფანტაზია იმის წარმოსადგენად რა როლი შეასრულა თამარ წულუკიძის შექმნილმა თეატრმა პატიმართა შვილების ცხოვრებაში... ბანაკში დაბადებულმა და აღზრდილმა ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის თავისუფლება, არასოდეს ენახათ ყვავილებით მოფენილი მდელო, ძროხა, კატა, ქათამი... იცოდნენ მხოლოდ ძაღლების არსებობა. ძაღლები გარედან იცავდნენ ბანაკს, ამიტომაც როდესაც სპექტაკლში "კატუნიას სახლი" სცენაზე გამოჩნდა ძაღლი ბავშვებმა ისეთი ტირილი მორთეს, რომ მათი გაჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა, იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ წარმოდგენა... სამაგიეროდ სპექტაკლ "ბულბულის" შემდეგ გასაოცარი რამ მოხდა, ხუთიოდე წლის ბიჭუნა თამარს მიუახლოვდა, პატარა თითებით მორიდებულად შეეხო კაბის ბოლოს და მორცხვად წასჩურჩულა : - "დეიდა, მე შენ მიყვარხარ...". ბიჭუნას წარმოდგენა არ ჰქონდა რა ერქვა ამ დეიდას, არც ის იცოდა როგორ შექმნა ამ ნიჭიერმა ქართველმა მსახიობმა გადასახლებაში უნიკალური თეატრი, რომელიც მრავალი ადამიანისათვის შვებისმომგვრელ სასწაულად იქცა", - იხსენებს თამარ წულუკიძესთან გადასახლებაში მყოფი მსახიობი თამარ პეტკევიჩი.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 19 დეკემბრიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საქარხნო პირობებში წყვილთვლების შეკეთების მომსახურების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **საქარხნო პირობებში წყვილთვლების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ** და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება (მოწოდების გრაფიკი) გაიცემა** (შედგენილი ქართულ ენაზე) 2008 წლის 19 **დეკემბრიდან**- 2009 წლის **9 იანვრის** ჩათვლით <u>**სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის**</u> წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურეობის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |
| 1 | სატვირთო ვაგონების წყვილთვლების შეკეთება საქარხნო პირობებში ელემენტების შეცვლით წყვილთვლების დათვალიერების, დამოწმების,რემონტისა და ფორმირების № ЦВ/3429 ინსტრუქციის შესაბამისად | 1 018 ცალი |

**3.** მოწოდების ვადა: **ტექნიკური დავალების შესაბამისად;**

**4.** მოწოდების პირობა: **DDP საქართველო.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ენაზე ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით, უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 9 იანვარის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6.** <u>**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**</u>

<u>**იურიდიული პირებისათვის :**</u>

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>
4. ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია სახარხნო პირობებში წყვილთვლების შეკეთების უფლებისა და დსთ-ს ქვეყნების რკინიგზების საბჭოს მიერ ამ უფლების დამადასტურებელი დამღის მინიჭების შესახებ;

<u>**6. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**</u>

1. ხელმოწერილი (ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში <u>**დღგ–ს**</u> **გარეშე;**
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ <u>**56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;**</u> (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# О.О.О. «Грузинская железная дорога» с 19 декабря 2008 года объявляет международный Тендер на закупку ремонтных работ колесных пар в заводских условиях

*О.О.О. «Грузинская железная дорога»*, г.Тбилиси. пр. Царицы Тамары № 15. объявляет международный **тендер на закупку ремонтных работ колесных пар в заводских условиях** и приглашает принять участие всех заинтересованных юридических лиц.

1. Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере 200 (двести) лари (А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757. Р/С – 10494921495);

Тендерная документация и **техническое задание (график поставки)** выдается (на грузинском языке) от **19 декабря** 2008 года **по 9 января** 2009 года на основании <u>**квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации**</u> по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

2. **Объекты закупки**

| Лот № | Наименование услут | Кол. |
|---|---|---|
| | | |
| 1 | Ремонт колесных пар грузовых вагонов в заводских условиях со сменной элементов согласно инструкций №ЦВ/3429 по осмотру, освидельствованию, ремонту и формированию вагонных колесных пар | 1 018 шт. |

3. **Срок исполнения: по техническому заданию;**
4. Условия поставки: **DDP Грузия;**
5. Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предьявить в запечатанных конвертах. в двух экземплярах (Оригинал и его копия). заполненные на грузинском и/или с грузинским переводом завереный нотариусом.

- Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов в ключая 9 января 2009 годя.**
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15. ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

6. <u>**Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**</u>

<u>**Для юридических лиц:**</u>

1) Выписку из предпринимательского реестра.
2) Справку из судебных органов о том. что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.
**3)** В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложенного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**
**4)** Информация и соответствующая документация на права проведения ремонта колесных пар в заводских условиях и информация об наличии «печати» (пломбы) на это права, присвоенное советом ЖД стран СНГ.

7. <u>**Всем претендентам необходимо представить:**</u>

1. Подписанное (также заверенное печатью) тендерное предложение. срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации). в котором необходимо указать стоимость лота. срок действия тендерного предложения. желательные для претендента условия оплаты.
2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной валюте <u>**(без НДС)**</u>.
3. **В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию** <u>**(только с банка)**</u> **по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта,** срок действия. который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.

Претенденты не будут допущений к оценке если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные ими тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок ***О.О.О. «Грузинская железная дорога»***. тел: <u>**56-33-71 Мака Жужунашвили.**</u> (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджариа. 56-38-60. Т. Хокерашвили 56-39-30. И. лобжанидзе 56-46-96.)

***Тендерная комиссия***

1. Представители зарубежных стран квалификационные данные должны прислать от государственных органов соответствующих стран в легализированном виде и установленными законными нормами.

გაერთიანებული ტელეკომი

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

სს„გაერთიანებული ტელეკომი“ აცხადებს აუქციონს კომპანიის საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტის რეალიზაციაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მონაწილეობის მისაღებად.
აუქციონზე გასაყიდ ქონებას წარმოადგენს ავტომანქანების შემდეგი ჩამონათვალი:
**დანართი**

| № | ლოტი № | ავტომანქანის მარკა | ა\მ სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი სარეალიზაციო ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი) | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | დოჯი დურანგო | ITI 012 | 1998 | 8000 | თბილისი ერწოს ქ№12 |
| 2 | 2 | ჯიპი-გრანდ-ჩეროკი | UUU 938 | 1994 | 6800 | თბილისი ერწოს ქ№12 |
| 3 | 3 | ა\მ რაფ 2203 | PAC117 | 1981 | 500 | თბილისი, ერწოს ქ№12 |
| 4 | 4 | მაზდა626 | AAK 400 | 1996 | 4000 | თბილისი, ერწოს ქ№14 |
| 5 | 5 | აუდი 100 | TAT 445 | 1992 | 2000 | თბილისი, ერწოს ქ№14 |
| 6 | 6 | გაზ–52-01 | SKS 221 | 1986 | 950 | თბილისი, ერწოს ქ№14 |
| 7 | 7 | გაზ–52-01 | RAD 819 | 1983 | 800 | გურჯაანის მაგისტრა. კვანძი |
| 8 | 8 | ვაზ2107 | UTG-107 | 1995 | 580 | თბილისი ერწოს ქ№12 |
| 9 | 9 | უაზ-3741-01 | NAI-564 | 1989 | 1500 | თბილისი ერწოს ქ№12 |
| 10 | 10 | უაზ 452 | PAC 273 | 1983 | 1000 | ბარალეთის ქ.№29 |
| 11 | 11 | ვაზ-2106 | RRR-092 | 1997 | 1155 | ქარელი მგალობლიშვილის ქ.5 |

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება 2008 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. განაცხადების მიღება მოხდება სამუშაო დღეებში. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ № 95, აუქციონის რეგისტრატორი თ. ლორთქიფანიძე, ტელ 91-21-74. 91-21-0

აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 26 დეკემბერს 14.00 საათზე მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ№95.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია სს „ გაერთიანებული ტელეკომის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე შეტანილ იქნას „მონაწილის ბილეთისა“ და „ბე“ (სადეპოზიტო) თანხები.
მიმღების ბანკი – ბტა სილქ როუდ ბანკი – აკ. წერეთლის გამზ. №73ა. ა/ანგარიშის № 116881001, ბანკის კოდი № 220101827. საიდენტიფ/კოდი - 203837875

„მონაწილის ბილეთის“ ღირებულება შეადგენს 20(ოცი) ლარს.

„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს

აუქციონზე ბიჯის სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 5%-ს

განცხადების გამოქვეყნების დღიდან აუქციონზე გასაყიდი ავტოტრანსპორტის ჩვენება-დათვალიერება შესაძლებელია მიმდინარე წლის 25 დეკემბრის ჩათვლით 10 სთ-დან 17 სთ-მდე სამუშაო დღეებში განაცხადის ლოტებში მითითებულ მისამართებზე.

შენიშვნა:

1. მყიდველი ვალდებულია გაიტანოს შესყიდული საქონელი საკუთარი ხარჯებით ხელშეკრულების გაფორმებიდან
არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

2. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კომპანიის სათაო ოფისს. მისამართი: ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის ქ. №95. საკონტაქტო პირი თ. ლორთქიფანიძე. ტელეფონი: 91-21-74, 94-10-00.

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა (მის., ქ, საჩხერე, თავისუფლების ქ. N 3) აცხადებს კონკურსს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2009-2010 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების საბანკო-საფინანსო მომსახურებაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქ.საჩხერეში რეგისტრირებული ფილიალების მქონე ყველა დაინტერესებულ საბანკო დაწესებულებას

2. **საბანკო-საფინანსო მომსახურების პირობები:**

1. სასურველია ბიუჯეტის ანგარიშის საბანკო მომსახურეობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.
2. ბიუჯეტის ანგარიშიდან საბანკო ანგარიშსწორების წარმოება არანაკლებ სამუშაო დღის 09.00 - 17.00 საათამდე.
3. ნაღდი ფულადი სახსრების აუცილებელი რეზერვის არსებობა ყოველდღიური ანგარიშსწორებისათვის საფინანსო სამსახურიდან წარმოდგენილი ჩეკების შესაბამისად (მაქსიმუმ 100 000 ლარი).
4. ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა - უფასო
5. თანხის გადარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშიდან:
- ეროვნულ ვალუტაში (შიდა საბანკო)- უფასო
- ეროვნულ ვალუტაში (ბანკის გარეთ)- უფასო
6. ნაღდი თანხის შემოტანა ანგარიშსწორების ანგარიშზე - უფასო
7. თანხის მიღება - ჩარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე - უფასო
8. ანგარიშსწორების ანგარიშიდან ნაღდი თანხის გატანა: - ეროვნულ ვალუტაში - უფასო
9. კონვერტაცია - იმავდღიური ვალუტირებით ბანკის კურსით
10. საჩეკო წიგნაკების მიწოდება - უფასო
11. დარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებულ ნაშთზე, ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ ეროვნულ ვალუტაში (მინიმალური სავალდებულო ნაშთის არსებობის გარეშე) - მინიმუმ წლიური 12 %.
12. ინკასაცია - უფასო
13. ოვერდრაფტი 100 000 ლარზე ( ვადა შეუზღუდავია) - - მინიმალური წლიური პროცენტული ოდენობა
14. ბანკომატებით მომსახურების სატარიფო განაკვეთის ოდენობა - უფასო
15. საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის თანამშრომელთათვის და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის მობილური და დახვეწილი სახელფასო პროგრამების დანერგვა
16. ინფორმაცია საბანკო მომსახურების ინდივიდიალური ტარიფების შესახებ
17. სხვა დამატებითი საბანკო პროდუქტები და საინვესტიციო პროექტები, რომლის შემოთავაზებაც შეუძლიათ საბანკო დაწესებულებებს.

შენიშვნა: 1. მე-9 პუნქტის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის 1%-იანი ცვლილების ფარგლებში და მე-13 პუნქტის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად.

3.საბანკო-საფინანსო მომსახურების ვადა მოიცავს 2009 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

4. დაინტერსებულმა საბანკო დაწესებულებებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საფინანსო- საბანკო მომსახურების ძირითადი წინადადებებისა და სხვა საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგნონ 2008 წლის 29 დეკემბერს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: მის., ქ, საჩხერე, თავისუფლების ქ. N 4, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ( მე-3 სართული), განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. დალუქული პაკეტით წარმოდგენილი საფინანსო— საბანკო მომსახურების ძირითადი წინადადებებისა და სხვა საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის შემადგენელი ყველა დოკუმენტი დამოწმებული უნდა იქნას საბანკო დაწესებულების სათაო ოფისის ხელძღვანელის ხელისმოწერითა და ბეჭდით.

6. დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გატარდება რეგისტრაცია, და არ განიხილება.

7. მონაწილეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი საფინანსო- საბანკო მომსახურების ძირითადი პაკეტი. ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენა დაუშვებელია.

8. პაკეტები გაიხსნება 2008 წლის 29 დეკემბერს 16 საათზე

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურში მისამართზე: ქ, საჩხერე, თავისუფლების ქ. N 4 საკონტაქტო პირი ნოდარ მეგრელიშვილი ტელ: 899 17 14 54;

**საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

# სპორტი

## „ბოსტონმა„ „ქორები” ამჯერადაც შეაჩერა

NBA-ს რეგულარულ სეზონში კარგად ასპარეზობს ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი". გუშინ, გამთენიისას, ჯორჯიელები NBA-ს მოქმედ ჩემპიონ "ბოსტონს" მასპინძლობდნენ და ამჯერადაც დამარცხდნენ.

არადა, "სელტიქსთან" დაპირისპირებამდე "ატლანტას" ზედიზედ სამი მატჩი ჰქონდა მოგებული, "მწვანეებთან" თამაში კი ატლანტური გუნდისთვის განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩევა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში პლეი-ოფის პირველ წრეში სწორედ "ბოსტონს" დაუპირისპირდა "ატლანტა" და მომავალ ჩემპიონს, ყველასთვის მოულოდნელად, დიდი ბრძოლა გაუმართა. შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფის ეტაპზე "ბოსტონს" მხოლოდ "ატლანტასთან" დასჭირდა შვიდი მატჩის გამართვა, დანარჩენ ეტაპებზე, თავად ფინალშიც კი, "ბოსტონმა" საკუთარი გამარჯვებით სერია ვადაზე ადრე დაასრულა.

"ქორების" ქომაგებს, ცხადია, ჰქონდათ იმედი, რომ მათი საყვარელი გუნდი ამჯერად მაინც იძიებდა შურს "ბოსტონზე", თუმცა რევანში არ გამოვიდა - "ატლანტამ" ბევრი იბრძოლა, მაგრამ გამარჯვება მაინც "ბოსტონს" დარჩა.



ფაჩულია მეტოქის ფარს უტევს.

მთელი მატჩის განმავლობაში ქულა ქულაში მიდიოდა, გადამწყვეტი, მეოთხე მეოთხედის წინ "ქორები" სამი ქულითაც კი იგებდნენ თამაშს, თუმცა ბოლო 12 წუთში "სელტიკსმა" უკეთ ითამაშა და მატჩიც 88:85 მოიგო.

მაიკ ვუდსონმა ზაზა ფაჩულია ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ქართველმა ცენტრმა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ მხოლოდ 13 წუთი ითამაშა და დროის ამ მცირე მონაკვეთში ოთხი ქულა და სამი მოხსნა შეაწია საკუთარ გუნდს.

ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო ჯო ჯონსონი. მის ანგარიშზეა 20 ქულა, 5 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა. ბოსტონელთა რიგებში თავი გამოიჩინა რეიჯონ რონდომ, რომელმაც 15 ქულით, 6 მოხსნით და 7 შედეგიანი გადაცემით დაასრულა თამაში.

ამ მარცხის შემდეგ "ატლანტა" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილს ინარჩუნებს, მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა. მომდევნო მატჩს ფაჩულია და მისი თანაგუნდელები დასავლეთ კონფერენციის მაჩანჩალა "გოლდენ სტეიტთან" გამართავენ.

## ახალმა მინისტრმა სპორტი მოინახულა

*კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ახლად დანიშნული მინისტრი ნიკოლოზ რურუა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს სპორტული სამყაროს გასაცნობად ეწვია.*

სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სპორტული ფედერაციის 40-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ნიკოლოზ რურუამ, მეტი უშუალობისთვის, დიალოგი გამართა და დამსწრეთაც გულახდილი დიალოგისკენ მოუწოდა.

საუბრის ძირითადი თემა არსებული პრობლემები იყო, რაზეც მინისტრი მოკლედ პასუხობდა. რაკი დღეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გვაქვს, მინდა ძირითადად თქვენ მოგისმინოთ, უახლოეს მომავალში კი მე და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ყველა ფედერაციასთან ცალ-ცალკე შეხვედრებს დავგეგმავთო.

“ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან სტუმრობა, მაგრამ არ მინდა, რომ ამიერიდან აქ სტუმრად ვიგრძნო თავი. სპორტი ძალიან მიყვარს, დავდიოდი კიდეც და გულწრფელად ვნანობ, რომ რომელიმე სახეობას არ გავყევი. გარწმუნებთ, ჩვენი ურთიერთობა გრძელვადიანი იქნება. ასე რომ, ცარიელი ფურცლიდან ვიწყებთ საქმის კეთებას და ურთიერთობას."

ფედერაციების წარმომადგენელთა გამოსვლებიდან მინისტრმა ბევრი საკითხი ჩაინიშნა, მათ შორის, სპორტის აკადემიის საკითხი. შეხვედრის ბოლოს ნიკა რურუამ სპორტის დეპარტამენტში მდებარე სპორტული დიდების მუზეუმი დაათვალიერა.

“ქართული სპორტი ქართული სახელმწიფოს ხერხემალია. ძალიან დასაფასებელია ის გამოცდილება, რაც გვაქვს. მინდა საქვეყნოდ ვუთხრა მადლობა ჩვენს ოლიმპიელებს, რომლებმაც აგვისტოში, იმ ურთულეს პერიოდში, თავისი გამარჯვებით დიდი სტიმული მისცეს მთელ ერს. რაც შეეხება პრობლემებს, სრული ანომალიაა, რომ დღის წესრიგში ისევ და ისევ ინფრასტრუქტურის საკითხები დგას და ეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვაგვაროთ. მოდიან კარგი ახალგაზრდები და მათ სწორ გზაზე დაყენება სჭირდებათ. მინდა სპორტულ სამყაროს ჩემი მხარში დგომის იმედი და გარანტია მივცე."

## სასჯელი იაპონურად

მიუხედავად იმისა, რომ სუმოს ელიტურ დივიზიონში ორი ქართველი ასპარეზობს, სპორტის ეს სახეობა ჩვენთვის მაინც უცხო ხილია. იაპონური, კერძოდ კი, სუმოს ტრადიციები ხშირად გაოცებას იწვევს.

სულ ახლახან იაპონურმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა სამ სუმოისტს, რომელთაც მკვლელობაში ედებათ ბრალი. 25 წლის იუჩირო იძუკას, 26 წლის მასაკაძუ კიმურას და 23 წლის მასანორი ფუძის 17 წლის სუმოისტ ტაკასი საიტოს მკვლელობა დაუმტკიცდათ. ალბათ ფიქრობთ, რომ ამ ტრიოს მკაცრი განაჩენი გამოუტანეს, თუმცა მოლოდინი უნდა გაგიცრუოთ: სამივეს პირობითი პატიმრობა შეუფარდეს.

გაგაცნობთ საქმის ვითარებას. დამწყები სუმოისტი ტაკასი საიტო 2007 წელს გარდაიცვალა მორიგი ვარჯიშის შემდეგ. სპორტსმენის ცხედარზე აღმოაჩინეს უამრავი დაჟეჟილობა. სამედიცინო ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ ტრავმები ვარჯიშის კი არა, ცემის შედეგად იყო მიღებული.

სიკვდილამდე ერთი დღით ადრე სამმა სუმოისტმა საიტო ლუდის ქილით უმოწყალოდ ცემა, შემდეგ ბეისბოლის ჯოხი ურტყეს, იატაკზე დააგდეს და ცივ წყალს ასხამდნენ. სასამართლომ დაადგინა, რომ საიტოს სიკვდილის მიზეზი სწორედ ეს იყო.

მკვლელობაში ბრალი ედებოდა გარდაცვლილის 58 წლის მწვრთნელს ინოჩი იმამოტოსაც, თუმცა სასამართლო პროცესზე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდა.

საიტოს მკვლელობისთვის იძუკას და კიმურას სამ-სამწლიანი პირობითი პატიმრობა შეუფარდეს, ფუძის კი - ორწლიანი. იაპონური სასამართლოს მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: სუმოში ახალგაზრდა სპორტსმენების ცემა ჩვეულებრივი ამბავია, ეს ერთგვარი ტრადიციაა. ამიტომ სასჯელიც არ არის მკაცრი.

### ასაკობრივ ნაკრებებს ადგილი და დრო დაუთქვეს

ფიბა-ევროპამ დაასახელა ის ქვეყნები, სადაც მომავალი წლის კონტინენტის ასაკობრივი ჩემპიონატები გაიმართება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს სამივე ასაკობრივი ნაკრები B დივიზიონში გამოდის და 2009 წლის ზაფხულში ელიტაში ასანაცვლებლად მოუწევთ ბრძოლა.

დავით უსტიაშვილის მიერ გაწვრთნილ ახალგაზრდულ (20 წლამდელთა) ნაკრებს 16-26 ივლისს მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში მოუწევს ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში თამაში.

ჭაბუკთა (18 წლამდელთა) ნაკრები (მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე) - ბოსნიის დედაქალაქი სკოპიე, 23 ივლისი-2 აგვისტო. დაბოლოს, 16 წლამდელები, რომლებსაც გიორგი კაზანჯიანი წვრთნის - პორტუგალიის კუნძული მადეირა, 6-16 აგვისტო.

### ჰიდინკს სამშობლოში დაბრუნებას სთავაზობენ

ჰოლანდიურმა ჟურნალმა Voetbal International-მა, ნაციონალურ საფეხბურთო პროფკავშირებთან ერთად, ჰოლანდიელ ფეხბურთელებს შორის ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, გაერკვიათ, თუ რომელი მწვრთნელის ხილვა სურდათ ფეხბურთელებს ნიდერლანდის ნაკრების სათავეში.

მთლიანობაში გამოკითხულ იქნა 434 მოთამაშე, რომელთა 47-მა პროცენტმა (204 ხმა), იდეალურ ვარიანტად რუსეთის ეროვნული ნაკრების ახლანდელი მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი დაასახელა. ჰოლანდიის ნაკრების მესაჭე ბერტ ვან მარვეიკი ჰიდინკს 63 ხმით ჩამორჩა, მესამე ადგილზე გავიდა "ალკმაარის" მთავარი მწვრთნელი ლუი ვან გაალი, რომელმაც 37 ხმა მოაგროვა.

### რუნი გადარჩა

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი უეინ რუნი დისკვალიფიკაციას გადაურჩა. საქმე ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრაში, რომელშიც "მანჩესტერი" დანიურ "ოლბორგს" მასპინძლობდა, ერთ-ერთი სათამაშო ეპიზოდისას რუნი სტუმართა ნახევარმცველ კასპერ რისგორს უხეშად ეთამაშა.

მატჩის ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ინგლისელი ფორვარდის დანაშაულის დამადასტურებელი ვერანაირი ფაქტი ვერ იპოვეს და მანჩესტერელთა თავდამსხმელი სასჯელს გადაურჩა.

"რუნის მიმართ უეფას პრეტენზია არა აქვს. მის წინააღმდეგ არავითარი სანქცია არ გატარდება", - წერია უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე.

თუ ინგლისელს ბრალდება დაუმტკიცდებოდა, სავარაუდოდ, მას სამმატჩიან დისკვალიფიკაციას შეუფარდებდნენ, რაც ავტომატურად ნიშნავს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის ორივე შეხვედრისა და აქ წარმატებით თამაშის შემთხვევაში ერთი მეოთხედფინალის გამოტოვებას.

### ოლიჩის არჩევანი

"ჰამბურგის" ხორვატი თავდამსხმელის ივიცა ოლიჩის აგენტმა გორდონ სტიპიჩმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ მის კლიენტთან დაკავშირებით ერთბაშად სამ ევროპულ გრანდთან მართავს მოლაპარაკებას. ეს კლუბებია: "იუვენტუსი", "ვალენსია" და "ბაიერნი".

"ჩვენ რამდენიმე კლუბთან ვმართავთ მოლაპარაკებას. არც მათ ვინაობას დავმალავ - "იუვენტუსი", "ვალენსია" და "ბაიერნი" ის გუნდებია, რომლებმაც სხვებზე ადრე გამოთქვეს ოლიჩის შეძენის სურვილი. კარგა ხანია მათთან საქმიანი ურთიერთობა გვაქვს და არა მგონია, სხვა რომელიმე კლუბმა ამ დავაში მათ აჯობოს. "მიდლსბროს" ინტერესის შესახებაც მსმენია, მაგრამ მასთან არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა. თანაც, ვთვლი, რომ ჩემს კლიენტს ამ კლუბში გადასვლა არ უღირს. ივიცამ არჩევანი უნდა გააკეთოს მხოლოდ იმ კლუბებს შორის, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად ასპარეზობენ. მოკლედ, მე და ჩემი კლიენტი ყველა ვარიანტს კარგად ავწონ-დავწონით და საბოლოო გადაწყვეტილებას ახალ წლამდე მივიღებთ. გამორიცხული არ არის, ოლიჩი ახალ კლუბში იანვრის სატრანსფერო პერიოდში გადავიდეს", - ასეთია ხორვატი ფეხბურთელის აგენტის კომენტარი.

### ნედვედი დაისვენებს

"იუვენტუსის" ჩეხ ნახევარმცველს პაველ ნედვედს "მილანთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო სერია A-ს მორიგი ტურის მატჩის ("ატალანტასთან") გამოტოვება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ რკინის ჩეხი "მილანთან" შეხვედრის პირველ ნახევარში დაშავდა და ტურინელთა გუნდის თავკაცი კლაუდიო რანიერი იძულებული იყო შეეცვალა. ჩეხის ნაცვლად მოედანზე შესული დე ჩელიე "იუვეს" ფეხბურთელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და გუნდის გამარჯვებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

## უიღბლო და სილვა

ბრაზილიური წარმოშობის ხორვატიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის "არსენალის" თავდამსხმელი ედუარდუ და სილვა ათთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, რომელიც ფეხის მოტეხილობით იყო გამოწვეული, ლონდონური კლუბის სარეზერვო გუნდში დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ მუხლმა შეაწუხა და შესვენების შემდეგ შესაცვლელი გახდა.

"ბოლო ათი თვის განმავლობაში მოედანზე პირველად გამოვედი და უბედნიერესი ადამიანი ვარ. იმედი მაქვს, თამაშიდან თამაშამდე მოვუმატებ, რადგან ბევრად მეტი შემიძლია. შეხვედრის მსვლელობის დროს მუხლში უსიამოვნო ტკივილი ვიგრძენი, თუმცა საშიში არაფერია. როგორც ექიმებმა მითხრეს, ორ კვირაში ყველაფერი რიგზე იქნება და თამაში შემეძლება. მინდა რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე ტრავმამდელ სათამაშო დონეს. იქნებ ძველებურზე უკეთაც ავთამაშდე" - თქვა და სილვამ.

## ხიზანას ელერდაისი გაწვრთნის

ინგლისურ "ბლექბერნს", რომლის შემადგენლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი თამაშობს, 54 წლის სპეციალისტი სემ ელერდაისი უთავკაცებს.

ბრიტანული პრესის მიერ გავრცელებული ცნობის მიხედვით, "ბლექბერნის" ხელმძღვანელებმა მასთან მოლაპარაკება სამშაბათ საღამოს დაიწყეს, ესე იგი, იმავე დღეს, როცა აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი პოლ ინსი პოსტიდან დაითხოვეს.

ელერდაისი, რომელიც სხვადასხვა დროს "ბოლტონსა" და "ნიუკასლს" ედგა სათავეში, ბოლო პერიოდში აშკარად გამოხატავდა სამწვრთნელო მოღვაწეობის გაგრძელების სურვილს. სხვათა შორის, "ბლექბერნის" შეფები განიხილავდნენ ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებლის სტივ მაკლარენის კანდიდატურასაც, რომელიც ამჟამად ჰოლანდიურ "ტვენტეს" წვრთნის. თუმცა "ბლექბერნის" მესვეურებმა ელერდაისზე შეაჩერეს არჩევანი.

გავრცელებული ინფორმაციით, ხიზანიშვილის ახალმა დამრიგებელმა გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას ოფიციალურად წარადგენენ ხუთშაბათს, სპეციალურ პრესკონფერენციაზე, რომელზეც ელერდაისი ჟურნალისტებს გუნდის სამომავლო მოქმედების პროგრამას გააცნობს.

## ვან დერ ვაარტი "რეალში" ყველაფრით კმაყოფილია

გასულ ზაფხულს მადრიდის "რეალმა" მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო "ჰამბურგის" ხელმძღვანელთა რაფაელ ვან დერ ვაარტის ტრანსფერზე დაყოლიება. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი "სამეფო კლუბის" ლიდერად იქცეოდა, მაგრამ რეალურად სხვაგვარად მოხდა.

ვან დერ ვაარტს არც "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ერთი კვირის წინ გაშვებული ბერნდ შუსტერი სწყალობდა და არც ხუანდე რამოსის გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ უახლოეს მომავალში ნიჭიერ ჰოლანდიელს საკვანძო ფიგურის როლის შესრულება დაეკისრება. ამის დასადასტურებლად თუნდაც ის კმარა, რომ განვლილ "სუპერკლასიკოს" ვან დერ ვაარტმა სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა თვალი.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, გავრცელდა ხმები, თითქოს ჰოლანდიელი ნახევარმცველი "სამეფო კლუბის" დატოვებას აპირებს. თუმცა თვითონ ფეხბურთელი აცხადებს, რომ "რეალიდან" წასვლა მის გეგმებში არ შედის.

"კლუბის ხელმძღვანელები ჩემი თამაშით უკმაყოფილო რომ იყვნენ, თვითონვე მეტყოდნენ და ალბათ გაყიდვაზეც მიმანიშნებდნენ. "რეალში" ჩემი ჩარიცხვიდან მხოლოდ ხუთი თვე გავიდა და ეს დრო მთლიანად ადაპტაციას დასჭირდა. ასე რომ, "სამეფო კლუბში" წარმატებული პერიოდი ჯერ კიდევ წინ მაქვს. ვეთანხმები მათ, ვინც თვლის, რომ ბოლო დროს ისე კარგად ვერ ვთამაშობ, როგორც ამას ჩემგან ელიან. თუმცა, ეს მხოლოდ დროებითია. ვფიქრობ, მომავალში ყველაფერი გამოსწორდება. ახლა მხოლოდ სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. იმედი მაქვს, ხუანდე რამოსი ამ მხრივ დახმარებას გამიწევს" - ამბობს 25 წლის ნახევარმცველი.

## ბექჰემმა გატუზო გააკვირვა

იტალიური "მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ, რომელიც მძიმე ტრავმას იშუშებს და, უკეთეს შემთხვევაში, ოთხი თვის შემდეგ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას, "როსონერიში" დევიდ ბექჰემის დროებით გადაბარგებაზე გააკეთა კომენტარი.

"მთელი ეს ისტორია ჩემში ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. 6-8-კვირიანი ხელშეკრულება?.. თუ ბექჰემს "მილანში" თამაში სურს, უკეთესი იქნებოდა, კლუბთან სრულფასოვანი ხელშეკრულება გაეფორმებინა. ჩემი აზრით, ეს ძალიან უჩვეულო ამბავია", - ამბობს გატუზო.

ასეთი კომენტარების პარალელურად, "როსონერის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 20 დეკემბერს "მილანის" საშინაო არენა "სან სიროზე" ბექჰემის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ინგლისელი ვარსკვლავი, რომელიც დღეს "ლოს ანჯელეს გელექსის" საკუთრებად ითვლება, ამერიკულ ლიგაში გამოცხადებულ ორთვიან შესვენებას "მილანის" რიგებში გაატარებს. იტალიურ გრანდსა და ბექჰემს შორის უკვე არსებობს შესაბამისი ხელშეკრულება.

მას ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 107 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლებშიც 17 გოლი გაიტანა და მრავალი შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

# ყველაზე პოპულარულები

ინგლისსა და იტალიაში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც დადგინდა ამ ქვეყნებში ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბები. მოულოდნელი არაფერი მომხდარა - აპენინებზე პოპულარობით ყველას "იუვენტუსი" სჯობნის. ინგლისელ ფანებს კი ყველაზე მეტად "ლივერპული" ჰყვარებიათ.

"მერსისაიდელებს" ხმა მისცა გამოკითხულთა 14,3 პროცენტმა, 11,8 პროცენტით მეორე ადგილზე "მანჩესტერ იუნაიტედი" გავიდა.

ინგლისურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქომაგთა მესამედი წარსული დამსახურებების მიხედვით ირჩევს ფავორიტ გუნდს, გულშემატკივართა 1/5 პრემიერლიგაში იმ კლუბს გულშემატკივრობს, რომელიც მის საცხოვრებელ ადგილთან უფრო ახლოსაა.

ბრიტანელი ფეხბურთის მოყვარულთა 19-მა პროცენტმა აღიარა, რომ იმ გუნდს ემხრობა, რომლის გულშემატკივრობასაც ბავშვობიდან მიეჩვია, ხოლო ათიდან ერთმა ქომაგმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ კლუბს მეგობრების ხათრით უჭერს მხარს. 6-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ რომელიმე გუნდის ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელის თამაში მოსწონთ და მას იმიტომაც გულშემატკივრობენ.

ბოლო წლებში, "ჩელსის" წარმატების მიუხედავად, ინგლისის მასშტაბით ლონდონელებს ყველაზე ნაკლები მხარდამჭერი აღმოაჩნდათ. კითხვაზე - "ყველაზე მეტად რომელ გუნდს ვერ იტანთ?", რესპონდენტთა მესამედმა უპასუხა - "ჩელსის". აქ მეორე ადგილი დაიკავა "მანჩესტერ იუნაიტედმა".



ინგლისელებს ყველაზე მეტად "ლივერპული" უყვართ.

ანალოგიური გამოკითხვის შედეგად იტალიაში "იუვენტუსი" ლიდერობს. "ბებერი ქალბატონის" მშობლიურ ქალაქ ტურინში "იუვენტუსზე" მეტად "ტორინოს" გულშემატკივრობენ, თუმცა მთლიანად იტალიის მასშტაბით "იუვეს" პოპულარობაში ვერც ერთი აპენინური გრანდი ვერ გაეჯიბრება.

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| 1.ლივერპული | 14,3 პროცენტი. |
| 2.მანჩესტერ იუნაიტედი | 11,8 |
| 3.ტოტენჰემი | 9,7 |
| 4.არსენალი | 9,6 |
| 5.ნიუკასლი | 5,8 |
| 6.მანჩესტერ სიტი | 5,3 |
| 7.ვესტ ჰემი | 4,9 |
| 8.ასტონ ვილა | 4,4 |
| 9.ჩელსი | 3,6 |
| 10.ევერტონი | 3,1 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10,04 მილიონი გულშემატკივარი |
| 2.ინტერი | 5,928 |
| 3.მილანი | 5,818 |
| 4.ნაპოლი | 2,887 |
| 5.რომა | 2,493 |
| 6.ფიორენტინა | 2,08 |
| 7.ლაციო | 1, 791 |
| 8.პალერმო | 1,471 |
| 9.ტორინო | 1,153 |
| 10.ჯენოა | 1,03 |

# შვაინშტაიგერი „ბაიერნს" და ჩემპიონთა ლიგას ირჩევს

დაახლოებით ერთი თვის წინ ბასტიან შვაინშტაიგერზე გრანდებმა ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს. 24 წლის ნიჭიერ ნახევარმცველს "ბაიერნთან" კონტრაქტის ვადა ეწურებოდა და მისი გადაბირება "ჩელსის", "იუვენტუსს", "რეალს", "ბარსელონას" და კიდევ ბევრ სხვა კლუბს სურდა. მაგრამ ბასტიანმა მშობლიურ კლუბთან სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი და მშვიდად გაემგზავრა შვებულებაში, რომელიც მას ბუნდესლიგაში არსებული შესვენების წყალობით მიეცა.

შვებულებაში გამგზავრებამდე შვაინშტაიგერი Suddeutsche Zeitung-ის ჟურნალისტს ესაუბრა.

**- ალბათ გიხარიათ - ყოველმხრივ დაძაბული პერიოდის შემდეგ, როგორც იქნა, შვებულების დრო დადგა...**

- რა თქმა უნდა. 2008 წელი ჩემთვის მძიმე გამოდგა. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შვებულება არ მქონია, ახლა კი, როგორც იქნა, ამის დროც დადგა. ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს უმძიმესი მატჩები გვქონდა "ლევერკუზენთან", "ჰოფენჰაიმთან", "ლიონთან" და "შტუტგარტთან" - ასეთი დაძაბული კალენდრის შემდეგ უფრო მეტად გრძნობ ფიზიკურ გადაღლილობას. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს წელი ჩემთვის ყველაზე დაძაბული და, ამავე დროს, ყველაზე ლამაზიც იყო: ჩემპიონობა, გერმანიის თასი, ევროპის ჩემპიონატი. ბევრი ლამაზი მომენტი მქონდა. შემიძლია გითხრათ, რომ ჯერჯერობით ჩემს კარიერაში ეს საუკეთესო წელიწადი იყო.

**- სად დაისვენებთ - მზეზე თუ თოვლში? თქვენ ხომ თხილამურები გიზიდავთ?**

- ორივეგან. შვებულებას ყოველთვის ორ ნაწილად ვყოფ. ჯერ რომელიმე დიდ ქალაქში წავალ, მერე კი სამხრეთისკენ ავიღებ გეზს. ყოველთვის მივდივარ სილვესტერში - თხილამურებზე იქ ვსრიალებ. დილით ადრე ვდგები, რომ მთიდან პირველი დავეშვა.


შვაინშტაიგერი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს.

**- ახლახან "ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმეთ. რატომ გადაწყვიტეთ ამ გუნდში კიდევ სამი წლით დარჩენა, როდესაც ევროპული გრანდებისგან შეთავაზებები არ გაკლდათ?**

- აქ მენდობიან და, გულწრფელად გითხრათ, ფინანსური თვალსაზრისით "ბაიერნი" სხვაგან გადასვლაზე ფიქრის საშუალებას არ მაძლევს. კარგად მიხდიან და უნდათ, რომ გუნდის თამაშში მნიშვნელოვანი როლი შევასრულო. იურგენ კლინსმანის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მეტი სტიმული და შესაძლებლობები გაგვიჩნდა. ყველა პოზიციაზე კარგი ფეხბურთელები გვყავს და დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი გვაქვს. ეს ჩემი მთავარი მიზანია. ბუნდესლიგის ჩემპიონად ოცჯერ გახდომას მირჩევნია მიუნხენში ეს ტიტული ჩავიტანო.

**- ნუთუ უცხოეთში თამაში არასდროს გდომებიათ?**

- შექმნილ ვითარებაში ჩემს მიმართ უცხოური კლუბების ინტერესი ლოგიკური იყო. კონტრაქტი მიმთავრდება და ახალი ჯერ არ გვქონდა გაფორმებული. მართლაც ბევრი შემოთავაზება მქონდა. კლუბებს არ დავაკონკრეტებ, თუმცა "ბაიერნში" იცოდნენ, რომ ჩემს აგენტს არაერთი უკავშირდებოდა.

**- "ბაიერნის" მესვეურებთან მოლაპარაკებაში თუ იღებდით მონაწილეობას?**

- საქმეს ჩემი აგენტი უძღვებოდა, თუმცა, ცხადია, შეხვედრებს მეც ვესწრებოდი. მინდოდა საკუთარი თვალით მენახა და საკუთარი ყურით მომესმინა, თუ რა ხდებოდა. ამასთან, კონტრაქტის გახანგრძლივება კი არა, ახალი კონტრაქტი მსურდა. ახლა 24 წლის ვარ და სამი წლის შემდეგ საზღვარგარეთ წასვლა სულაც არ იქნება გვიანი. ვგრძნობ, რომ აქ განვითარების პოტენციალი ჯერ კიდევ მაქვს.

**- თქვენს გადაწყვეტილებაში რა როლი ითამაშა ოჯახმა და მეგობარმა გოგონამ?**

- ჩემს ახლობლებს უხარიათ, რომ მათთან ახლოს ვიქნები, თუმცა, ზეწოლა არავისგან მიგრძვნია. ჩემმა მეგობარმა გოგონამ, სარამ, თავისუფლად მოქმედების სრული უფლება მომცა.

**- შესაძლოა თუ არა, რომ თქვენ "ბაიერნისთვის" ისეთივე გახდეთ, როგორიც "მილანისთვის" პაოლო მალდინია?**

- არა, არა. ამდენ ხანს ვერც ფეხბურთში გავჩერდები და ვერც ერთ რომელიმე გუნდში. თანაც მალდინი მცველია და მას იმდენი სირბილი არ უწევს, რამდენიც მე. ერთი რამ ნათელია, მსგავსი რამის წარმოდგენა შემიძლია - "ბაიერნს" აქვს იმის პოტენციალი, რომ უახლოეს პერიოდში ევროპის საუკეთესო კლუბი გახდეს. გუნდი ფინანსური კრიზისიდან გამარჯვებული გამოვიდა. შესაძლოა ჩვენ არ გვყავდეს ისეთი მსხვილი ინვესტორები, როგორებიც სხვა ევროპულ კლუბებს ჰყავთ, მაგრამ გვაქვს კარგი სტრუქტურა და შემადგენლობა. გვაქვს მშვენიერი სავარჯიშო ბაზა და ყველა ის ადამიანი, რომელიც აქ მუშაობს, ექიმით დაწყებული და ფოსტალიონით დამთავრებული, მთელი მონდომებით, გულით აკეთებს საკუთარ საქმეს. მიუნხენის სილამაზეზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. ხშირად ვიხსენებ იმ მომენტს, როდესაც, ჩემპიონის ტიტულის მოგების შემდეგ, მთელი გუნდი ლეოპოლდშტრასეში ვსრიალებდით...

## ს.ს. "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს აუქციონს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის გასხვისების მიზნით:

| | |
|---|---|
| დასახელება | მიწის ნაკვეთი 3475კვ.მ. (საკადასტრო კოდი 01.19.30.001.074) და მასზე განთავსებული შენობა 463.53კვ.მ. |
| გასხვისების ფორმა | აუქციონი |
| ქონების დახასიათება | მიწის ნაკვეთი განთავსებულია აეროპორტის საკონტროლო-სარეჟიმო ტერიტორიაზე. შენობა: ორსართულიანი, აგებულია ფუნდამენტის ბლოკებით |
| საწყისი გასაყიდი ფასი | **368800 ლარი**<br>(მათ შორის: 3475კვ.მ. მიწის ნაკვეთი: 180000 ლარი, დღგ-ს გარეშე; მასზე განთავსებული შენობა, ფართით 436,53კვ.მ.: 188800 ლარი, დღგ-ს ჩათვლით) |
| ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი | მიმღები: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123. |
| თანხის გადახდის პირობები | "ბე"- 35 000 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს აუქციონში განაცხადის წარდგენამდე და იგი ჩაითვლება ანგარიშსწორების ბოლო ეტაპზე<br>მონაწილის ბილეთი - 100 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს აუქციონში განაცხადის წარდგენამდე |
| აუქციონის ბიჯი | 10000 ლარი |
| გამყიდველი | სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი", საიდენტიფიკაციო კოდი 208144079. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | ყველაზე მაღალი ფასის გადახდა |
| გამყიდველისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია | ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღება აეროპორტში);<br>ბ) მონაწილის ბილეთის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;<br>გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);<br>დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.<br>ე) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.<br>შენიშვნა: განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. |
| გამყიდველის მისამართი, ტელეფონი | 0158, ქ. თბილისი, აეროპორტი,<br>ტელ: (+995 32) 433177 |
| განცხადების მიღების ვადა | 19.12.2008 - 20.01..2009 10.00 - 15:00 |
| აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო | 20.01..2009 - 15:00 |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | თბილისი, აეროპორტი, ადმინისტრაციული შენობა |

## ს.ს. "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს აუქციონს მიწის ნაკვეთის გასხვისების მიზნით:

| | |
|---|---|
| დასახელება | 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთი |
| გასხვისების ფორმა | აუქციონი |
| ქონების დახასიათება | საკონტროლო-სარეჟიმო ტერიტორიაზე, საკადასტრო კოდი 01.19.30.001.075 |
| საწყისი გასაყიდი ფასი | 40000 ლარი, დღგ-ს გარეშე |
| ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი | მიმღები: სს "ბაზისბანკი", კოდი 220101956, ა/ა: 7434123. |
| თანხის გადახდის პირობები | "ბე"- 5000 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს აუქციონში განაცხადის წარდგენამდე და იგი ჩაითვლება ანგარიშსწორების ბოლო ეტაპზე<br>მონაწილის ბილეთი - 100 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს აუქციონში განაცხადის წარდგენამდე |
| აუქციონის ბიჯი | 1000 ლარი |
| გამყიდველი | სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი". საიდენტიფიკაციო კოდი 208144079. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | ყველაზე მაღალი ფასის გადახდა |
| გამყიდველისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია | ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღება აეროპორტში);<br>ბ) მონაწილის ბილეთის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;<br>გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);<br>დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა. თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.<br>ე) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.<br>შენიშვნა: განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. |
| გამყიდველის მისამართი, ტელეფონი | 0158, ქ. თბილისი, აეროპორტი,<br>ტელ: (+995 32) 433177 |
| განცხადების მიღების ვადა | 19.12.2008 - 20.01..2009 10.00 - 15:00 |
| აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო | 20.01..2009 |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | თბილისი, აეროპორტი, ადმინისტრაციული შენობა |

**საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაზეთ „24 საათ"-ის 2008 წლის 18 დეკემბრის 283 ნომერში, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოქვეყნებულ განცხადებაში, შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:**

I. **ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალში**, პირველ პუნქტს, სასამართლოს აპარატი, - მე-6 ქვეპუნქტად დაემატოს პრესმდივანი - წ/სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600 ლარი);

II. მე-7 პუნქტში, სამეურნეო განყოფილება, პირველი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ქსელის ადმინისტრატორი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი).

**ხოლო, საკვალიფიკაციო მოთხოვებში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:**

I. ამოღებულ იქნეს პირველი პუნქტის (სასამართლოს აპარატი) მე-2 ქვეპუნქტი.

II. ხოლო, მე-6 და მე-7 პუნქტებად დაემატოს:

სასამართლოს თავმჯდომარის პ/მდივნის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენების ცოდნა;
- „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის ცოდნა.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

აპარატის უფროსის პ/მდივნის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენების ცოდნა;
- „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის ცოდნა.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

III. ამოღებულ იქნეს: მე-3 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი;

მე-5 პუნქტის მე-3 და მე-9 ქვეპუნქტები;

მე-6 პუნქტის პირველი, მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები.

IV. დაემატოს მე-8 პუნქტი:

1. მანდატურის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- „იარაღის შესახებ" კანონის ცოდნა;
- „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის $XI^1$; $76^3$; $76^4$ მუხლების ცოდნა;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლების - 211, 212 ცოდნა;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების - 208; $208^1$; 211 ცოდნა;
- „საქარველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ - მუხლი 10-ის ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებული
N N466 ბრძანებულების $10^1$ მუხლის ცოდნა.

2. მანდატურის სამსახურის ცვლის უფროსის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- იარაღის შესახებ" კანონის ცოდნა;
- „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის XI1; 763; 764 მუხლების ცოდნა;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლების - 211, 212 ცოდნა;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების - 208; $208^1$; 211 ცოდნა;
- „საქარველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ - მუხლი 10-ის ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებული
N N466 ბრძანებულების 101 მუხლის ცოდნა.

## ფრონტალური-დამტვირთველი: 456 HT

TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 $м^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.



მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

---

## ჰაიდელბერგცემენტი HEIDELBERGCEMENT

### შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

კასპის ცემენტის ქარხნისთვის მხვეტავი ჩარჩოს (8 ცალი) დამზადებაზე (თანდართული ნახაზების მიხედვით)

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2008 წლის 25 დეკემბერი.

---

### ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წლის 12 ნოემბერსა და 27 ნოემბერს (ცვლილება) ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N32-ში A“ კორპუსში საკონფერენციო დარბაზის საოფისე ინვენტარის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის I, II, III IV და V ლოტებში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ლამინატორი+“, ხოლო VI ლოტში - შპს ფორ მიქსი“.

---

### სააქციო საზოგადოება „სბ იბერია“ აცხადებს მოწვევას ინტერესთა გამოსახატავად მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით

1. სს „სბ იბერია“ გეგმავს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩას შორის;
2. მოწვევა ინტერესთა გამოსახატავად გამოცხადებულია აღნიშნული კომპლექსის ერთ-ერთი ბლოკის სამშენებლო სამუშაოებზე, საერთო სამშენებლო ფართით - 12 855 კვ.მ;
3. პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურთან და აღებულია მშენებლობის ნებართვა;
4. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება 2008 წლის 23 დეკემბრიდან 2008 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ, თბილისი, პეკინის ქ. N5, მეორე სართული
ტელ: 8 (91) 237-684
ტექნიკური კითხვებისთვის ტელ: 8 (99) 534-491

5. პრეტენდენტის მიერ 2009 წლის 6 იანვრამდე წარმოდგენილი უნდა იქნას დოკუმენტაციაზე თანდართული ფორმის მიხედვით შევსებული სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ელექტრონული ვერსია, ზემოაღნიშნულ მისამართზე ან ელ. ფოსტით: dalavidze@sbi.ge;
6. ინტერესთა გამოხატვა შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:
- ბოლო ორი წლის განმავლობაში გააჩნია საშუალო წლიური ბრუნვა 500 000 ლარი;
- დასრულებული აქვს მინიმუმ ორი მსგავსი მოცულობის პროექტი;
- ფლობს სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებს (საკუთრებაში ან იჯარით).

გამოქვეყნებული პუბლიკაცია და მოწვევის გამოცხადება ინტერესთა გამოსახატავად არ ავალდებულებს სს სბ იბერიას გაუფორმოს სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულება დაინტერესებულ ნებისმიერ მხარეს; არ აძლევს დაინტერესებულ მხარეს კომპანიის მიმართ ნებისმიერ სახის პრეტენზიის და რაიმე ქმედების განხორციელების უფლებას. სს სბ იბერია იტოვებს უფლებას საკუთარი მოსაზრებით, ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეცვალოს პროცედურა, ან გამორიცხოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე ინტერესთა გამოხატვის პროცედურიდან სს სბ იბერია -ს საწინააღმდეგო, ნებისმიერი კომპენსაციის ან ზარალის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიის აღძვრის უფლების გარეშე.

---

## 10%-იანი ფასდაკლება 1 თებერვლამდე

HYUNDAI

## I-30 და VERACRUZ-ზე






CMYK - 1

# ბიზნესი

24 საათი B

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი
GRDC

თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვამართლებთ ერთმანეთს

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

## "×ÉÀÔÉ" ÂÀÒÄ ÐÀÒÔÍÉÏÒÓ



B7

## ÖÝáÏÖÒÉ ÅÀËÖÔÉÓ Ï×ÉÝÉÀËÖÒÉ ÊÖÒÓÉ ËÀÒÈÀÍ ÌÉÌÀÒÈÄÁÀÛÉ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | USD | 1,6540 |
| 1 | | AUD | 1,1339 |
| 1 | | AZN | 2,0431 |
| 1 | | AED | 0,4492 |
| 1000 | | BYR | 0,7757 |
| 1 | | BGL | 1,0761 |
| 1 | | DKK | 0,2845 |
| 1 | | EGP | 0,2995 |
| 1 | | EUR | 2,1178 |
| 10 | | EEK | 1,3540 |
| 1000 | | TMM | 0,1161 |
| 1 | | TRY | 1,0855 |
| 10 | | JPY | 0,1666 |
| 1 | | GBP | 2,5950 |
| 1 | | INR | 0,0348 |
| 1000 | | IRR | 0,1646 |
| 10 | | ISK | 0,1274 |
| 1 | | ILS | 0,4354 |
| 1 | | CAD | 1,4077 |
| 1 | | LVL | 2,9891 |
| 10 | | LTL | 6,1064 |
| 10 | | MDL | 1,5920 |
| 1 | | NOK | 0,2430 |
| 1 | | PLZ | 0,5828 |
| 1 | | RON | 0,5654 |
| 1 | | RUB | 0,0612 |
| 1 | | SGD | 1,1079 |
| 100 | | AMD | 0,5420 |
| 1 | | TJR | 0,4851 |
| 1000 | | UZS | 1,2220 |
| 10 | | UAG | 2,8456 |
| 100 | | HUF | 0,7933 |
| 1 | | KWD | 6,1145 |
| 10 | | KZT | 0,1376 |
| 10 | | KGS | 0,4235 |




# ÀÂÅÉÓÔÏÓ ÏÌÉ ÃÀ ÌÓÏ×ËÉÏ ÊÒÉÆÉÓÉ - ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÄÊÏÍÏÌÉÊÀ ÛÄÃÄÂÄÁÓ ÉÌÊÉÓ

თამარ ხორბალაძე
სოფო ბუკია

*უკვე რამდენიმე კვირაა საქართველოში ხელისუფლებაც და ექსპერტებიც ღიად საუბრობენ იმაზე, რომ 2009 წელი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით. აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ მოლოდინებს ოქტომბრიდან გლობალური კრიზისის შედეგებიც დაერთო. რამდენად რეალურია ეს მოლოდინები? რომელ სფეროებს შეეხო და შეეხება მომავალში კრიზისი? როდის უნდა ველოდოთ პიკს და რამდენად შეარბილებს დარტყმას საქართველოსთვის შეპირებული საერთაშორისო დახმარებები? ამ თემებზე სასაუბროდ არასამთავრობო ორგანიზაცია IWPR-ისა და გაზეთ 24 საათის" ინიციატივით შედგა მრგვალი მაგიდა, რომელშიც ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.*



**- როდიდან შეინიშნებოდა საქართველოში სერიოზული კრიზისის პირველი საგანგაშო ნიშნები?**

**ლექსო ალექსიშვილი, "პი-ემ-სი-ჯგუფი":** - ზოგადად მსოფლიოში კრიზისის სიგნალები 2007 წლის შუა პერიოდიდან შეიმჩნევა, როდესაც ამის შესახებ საუბარი დაიწყო აშშ-ში. თუმცა, ეს სიგნალები თუ აქამდე მიიყვანდა მდგომარეობას, არც აშშ-ში და არც დასავლეთ ევროპაში არავის ეგონა. მდგომარეობა კონტროლიდან მიმდინარე წლის სექტემბერში გამოვიდა, როდესაც ყველა იმ აქტივის სწრაფი ვარდნა მოხდა, რომელიც კოტირდებოდა ბირჟაზე. შესაბამისად, საბოლოოდ დაფიქსირდა, რომ ფინანსური კრიზისი შედგა.

გაგრძელება B4 გვერდზე

# ÏØÒÏÓ ÀÍÀÁÀÒÉ - ÈÉÁÉÓÉ ÁÀÍÊÉÓ ÓÀÉÌÄÃÏ ÏÁÉÓ ÂÀÒÀÍÔÉ

ლიკა ჭობაძე



თიბისი ბანკი საქართველოს ბაზარზე სრულიად ახალი და უნიკალური პროდუქტით - ოქროს ანაბრით შემოდის. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ თიბისი ბანკი ანაბრის დამატებით საიმედოობას შეძენილი ოქროთი უზრუნველყოფს.

ოქრო საუკუნეების მანძილზე მსოფლიოში ყველაზე მყარ ვალუტად ითვლებოდა და, ამასთან, მისი ფასი მუდმივად იზრდებოდა. ამას ცხადყოფს ბოლო წლების დინამიკაც. უნცია ოქროს ფასი გაორმაგდა, 2008 წელს კი უნცია ოქროს ფასმა თავის პიკს - 1,000 ათას დოლარს მიაღწია. ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ფინანსური კრიზისის მიუხედავად, და სწორედ ამ კრიზისიდან გამომდინარე, ოქრო მომავალშიც შეინარჩუნებს ყველაზე მყარი ვალუტის სტატუსს. სწორედ ამიტომ გააკეთა თიბისი ბანკმა გათვლა ოქროზე.

ოქროს ანაბარი ვადიანი ტიპის ანაბარია, რომელიც დაზღვეულია ოქროთი. მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით თიბისი ბანკი ანაბარს ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე შეძენილი ოქროთ უზრუნველყოფს.

გაგრძელება B3 გვერდზე

## კომპანია ბაგრატიონი 1882" აშშ-ს ბაზარზე შედის

კომპანია ბაგრატიონი 1882" აშშ-ს ბაზარზე შედის. ბაგრატიონი 1882" ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ ორ კონტეინერს (21 696 ბოთლი) 2009 წლის 1 იანვრამდე გაგზავნის. ქართული ღვინოები კალიფორნიისა და ნიუ-იორკის შტატებში გაიყიდება. ბაგრატიონი 1882"-ის პარტნიორია ამერიკული კომპანია Pacific Wine Marketing Group-ი. ამერიკელ მომხმარებელს საშუალება ექნება, რეზერვუარული მეთოდით დამზადებული ღვინოები: კლასიკური ბრუტი და ექსტრა მშრალი", ასევე რეზერვი" და Royal Cuvee" შეიძინოს. ბაგრატიონის ცქრიალა ღვინის ფასი დახლზე, ასორტიმენტის მიხედვით, 14 დოლარიდან 35 დოლარამდე იქნება.

## პრეზიდენტი მისაქციელში მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს სოფელ მისაქციელში ადგილობრივ მცხოვრებლებს და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტმა შეხვედრაზე მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენაზე, სარწყავი არხების რეაბილიტაციაზე, ტრაქტორების დამატებით შემოყვანაზე და წარმოების ზრდაზე ისაუბრა. მისი თქმით, მსოფლიოში ძალიან დიდი კრიზისია, თუმცა, ამ ფონზე გაიაფდა ბენზინი, რაც ერთი მხრივ დადებითია, თუმცა, მეორე მხრივ უარყოფითი, რადგან ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში ყველაფერი გაჩერდა და პროდუქცია ნაკლებად იყიდება. "საქართველოში ეკონომიკური ვარდნის ნიშნები არის და შეიძლება ის გამძაფრდეს, მაგრამ ეს არ არის იმ მასშტაბის, რაც უკრაინაში, რუსეთში, ლატვიასა და უნგრეთშია," - განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტის თქმით, საქართველოში არის უფრო პატარა და მოქნილი ეკონომიკა და ქვეყანას აქვს კარგი საგადასახადო სისტემა.

## პლასტიკური ბარათების რაოდენობა გაიზარდა

პლასტიკური ბარათების ბაზარი კვლავ დინამიკურად ვითარდება, - აცხადებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში. მათი ინფორმაციით, საქართველოში არსებული კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული და მიმოქცევაში არსებული საბანკო პლასტიკური ბარათების რაოდენობამ მიმდინარე წლის პირველი დეკემბრისთვის 3.5 მლნ შეადგინა, რაც 1.8-ჯერ მეტია 2007 წლის ანალოგიური თარიღისათვის არსებულ მაჩვენებელზე. აქედან, 85.4 პროცენტი სადებეტო ბარათებზე მოდის. 2007 წელს იგივე მაჩვენებელი 92.9 პროცენტს შეადგენდა. პლასტიკური ბარათების სტრუქტურის ცვლილება საკრედიტო ბარათებზე მოთხოვნის სწრაფი ზრდის შედეგია. თუ ბოლო ერთ წელიწადში მიმოქცევაში არსებული სადებეტო ბარათების რაოდენობის ზრდამ 62.6 პროცენტი შეადგინა, საკრედიტო ბარათების რაოდენობა იმავე პერიოდში 3.6-ჯერ გაიზარდა. კვლავ შეინიშნება VISA ბარათის პოპულარობის ზრდა. იგი მიმოქცევაში არსებული ბარათების 80.5 პროცენტს შეადგენს; მას მოსდევს EURO CARD/MASTER CARD-ი 12.9 პროცენტით, ხოლო დანარჩენი 6.6 პროცენტი ადგილობრივი ბარათების წილად მოდის. აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთ წელიწადში მიმოქცევაში არსებული ბარათების მთლიან რაოდენობაში VISA ბარათების ხვედრითი წილი 7.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ასევე იზრდება საბანკო პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციების მოცულობა. მიმდინარე წლის ნოემბერში რეზიდენტი ემიტენტების მიერ გამოშვებული ბარათებით განხორციელდა 2.5 მლნ ოპერაცია, რომელთა საერთო მოცულობა, 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.9 პროცენტით გაიზარდა და 312.6 მლნ ლარი შეადგინა. ოპერაციების საერთო მოცულობის 94.6 პროცენტი რეზიდენტი ემიტენტების მიერ გამოშვებული ბარათებით ქვეყნის შიგნით (მათ შორის, ინტერნეტით) განხორციელებულ ოპერაციებზე მოდის, 5.4 პროცენტი კი ამავე ბარათებით საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციებია. მნიშვნელოვანია აგრეთვე პლასტიკური ბარათების მომსახურება, რომელიც ხორციელდება კომერციული ბანკების კუთვნილი ბანკომატებითა და პოსტერმინალებით. საანგარიშო თვის განმავლობაში კომერციული ბანკების კუთვნილი ბანკომატებით და პოსტერმინალებით 874.7 ათასი ოპერაცია განხორციელდა. ოპერაციების საერთო მოცულობამ კი 188.2 მლნ ლარი შეადგინა. ამ უკანასკნელიდან 88.1 პროცენტი რეზიდენტი ბანკების, 11.9 პროცენტი კი არარეზიდენტი ბანკების მიერ ემიტირებული ბარათებით განხორციელდა.

# ÀÒÀÁÖËÉ “ÌÀØÓÉÌÀËÉ” 20 ÌÉËÉÏÍÉÓ ÉÍÅÄÓÔÉÒÄÁÀÓ ÂÄÂÌÀÅÓ

### უკაბელო ინტერნეტი საცალო და კორპორატიული მომხმარებლისათვის

ნინო ნატროშვილი



არაბული ინვესტიციებით შექმნილმა ბრენდმა მაქსიმალი" WiMAX ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტ-მომსახურება თბილისში, რუსთავსა და ფოთში დანერგა. საქართველოსთვის სრულიად ახალი და ყველაზე მოსახერხებელი ინტერნეტით სარგებლობის პირობების შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. კომპანია მაქსიმალი 2006 წელს დუბაის ცენტრში დაფუძნდა. მისი საწესდებო კაპიტალი, ბოლო მონაცემებით, 1,2 მილიარდი დოლარია.

**ბიზნესი"** მაქსიმალის ვიცე-პრეზიდენტ **ჰალიდ ალ ამრეს** ესაუბრა:

**- რითი განსხვავდება მაქსიმალის ტექნოლოგია და საცალო ბაზარზეა გათვლილი თუ კორპორატიულზე?**

- მაქსიმალის" ინტერნეტი WiMAX ტექნოლოგიას ეფუძნება. ესაა უკაბელო პორტაბელური ინტერნეტი, რომელიც 2.3 გიგაჰერც ლიცენზირებულ სიხშირეზე ოპერირებს და მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტკავშირის პორტაბელურ და ფიქსირებულ ვარიანტებს უზრუნველყოფს. საქართველოში WiMAX ქსელის შექმნისა და ფუნქციონირების ლიცენზია "ვიტელ ჯორჯიამ" 2007 წლის სექტემბერში შეიძინა და ამ დროისთვის 25 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა. 2009 წლის განმავლობაში, დაფარვის ზონის გაფართოების შედეგად, "მაქსიმალი" ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს მთავარ ქალაქებსა და კურორტებზე. სამომავლოდ, მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტის გარდა, კომპანია დამატებითი სერვისების გაშვებას გეგმავს. ესენია - ხმის გადაცემის სერვისი (VOIP) და კერძო ვირტუალური ქსელი (VPN).

**- რა ნიშა უჭირავს მაქსიმალის სავაჭრო ნიშანს მსოფლიო ბაზარზე?**

- "მაქსიმალი" შპს "ვიტელ ჰოლდინგსის" შვილობილი კომპანიის - შპს "ვიტელ ჯორჯიას" სავაჭრო ნიშანს წარმოადგენს. შპს "ვიტელ ჰოლდინგსი" არის მრავალეროვნული კორპორაცია, რომელიც სწრაფი ნაბიჯებით იზრდება. ის სატელეკომუნიკაციო სფეროში მონაცემთა გადაცემის, ხმისა და მობილური სერვისების პროვაიდერი უმსხვილესი მრავალპროფილიანი მოთამაშეა. 2006 წელს შპს "ვიტელ ჰოლდინგსი" დუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრის (DIFC) წევრი გახდა. DIFC მხოლოდ უმსხვილეს კომპანიებს აერთიანებს როგორც რეგიონის, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ვიტელ ჰოლდინგსმა" პარტნიორად აირჩია ალკატელ-ლუსენტი", რომელიც 130-ზე მეტ ქვეყანაში ოპერირებს. ალკატელ-ლუსენტი" მაქსიმალს" საჭირო მოწყობილობებით ამარაგებს და მას სისტემის შექმნასა და ქსელის გამართვაში ეხმარება.

**- რა გეგმები აქვს თქვენს კომპანიას საქართველოს ბაზარზე?**

- ჩვენი კომპანია ფოკუსირებულია უკაბელო ინტერნეტის ქსელის განვითარებაზე. ჩვენ მოცული გვაქვს 12 კომპანია აშშ-ს და დსთ-ს ბაზარზე. ვფიქრობ, საქართველოში ჩვენი საქმიანობა წარმატებული იქნება. ამ რეგიონში ძირითადად საქართველოზე ვართ ფოკუსირებული. ამ ეტაპზე დავიწყეთ ოპერირება სომხეთში და ვგეგმავთ უკრაინაში. მიმაჩნია, რომ ამ ქვეყნებში ინტერნეტმომსახურება საკმაოდ ძვირია. საქართველოში ჩვენ ორიენტირებულნი ვიქნებით როგორც კორპორატიულ, ისე საცალო ბაზრის მომხმარებელზე. კომპანია საქართველოში 2009 წლის განმავლობაში 20 მილიონი დოლარის ინვესტიციას გეგმავს.

**- როგორ საფასო სეგმენტს აითვისებს თქვენი კომპანია?**

- ალბათ, საშუალოს. აქციის ფარგლებში სერვისის ღირებულება 2009 წლის მარტამდე 65 ლარის ნაცვლად 45 ლარი ეღირება. ხოლო 120-ლარიანი პაკეტის მიღება ოფისისათვის 90 ლარად იქნება შესაძლებელი. უკაბელო ინტერნეტის მსურველებს თბილისში 20 დილერი მოემსახურება.

# "ÁÉÆÍÄÓ ÏÐÔÉÌÉÆÌÉ"

### IFC-ი ბიზნესზე აგვისტოს მოვლენების შედეგებს აქვეყნებს

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) ბიზნესზე საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენების გავლენის გამოსავლენად სპეციალური კვლევა ჩაატარა.

აღსანიშნავია, რომ IFC-ს სამეწარმეო გარემოს ხელშეწყობის პროექტმა საქართველოში უკვე ჩაატარა მცირე და საშუალო საწარმოთა ორი კვლევა, რომელთა შედეგადაც გამოვლინდა ბიზნესსექტორის განვითარების ხელშემშლელი ძირითადი ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ბარიერები. საქართველოში ბიზნესზე აგვისტოს მოვლენების გავლენის კვლევა კი, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ "ბიზნესოპტიმიზმის კვლევა" უწოდა, სავარაუდოდ, დრომ და მოვლენებმა გახადა აუცილებელი. "ბიზნესოპტიმიზმის კვლევამ" გამოავლინა კერძო სექტორის ის დარგები, რომლებიც აგვისტოს მოვლენების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. სამეწარმეო გარემოს ხელშეწყობის პროექტის მენეჯერ ირინა კოკაიას განცხადებით, **"კვლევა ემყარება IFC-ს მიერ 2008 წლის ნოემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს და ასახავს ქართულ-რუსული კონფლიქტის გავლენას საწარმოებზე. კვლევა თბილისსა და საქართველოს კიდევ ექვსი დიდი ქალაქის 400 კომპანიაში ჩატარდა. გამოიკითხნენ მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, მომსახურებისა და საფინანსო სექტორების საწარმოთა მენეჯერები და მფლობელები ბათუმში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ფოთში, რუსთავსა და თბილისში".**

IFC-ს კვლევის შედეგები კი ასეთია: კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიათა შემოსავლების 77 პროცენტზე. გამოკითხულ მეწარმეთა ინფორმაციით, აგვისტოს მოვლენების შედეგად მათ კომპანიებში თანამშრომელთა რიცხვი 3.3 პროცენტით შემცირდა. საშუალოდ, თითოეულ საწარმოს შემოსავლების 16-პროცენტიანი ზრდა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ რეალურად მათი შემოსავლები 23 პროცენტით შემცირდა. მეწარმეთა 55 პროცენტს მიაჩნია, რომ მომავალ ექვს თვეში შემოსავლები არ შეიცვლება, ხოლო 33 პროცენტი იმედს გამოთქვამს, რომ მათი შემოსავლები გაიზრდება. IFC-ს კვლევაში აღნიშნულია, რომ მეწარმეთა 66-მა პროცენტმა უახლოეს პერსპექტივაში საქართველოში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებით მაღალი ან საშუალო ოპტიმიზმი გამოავლინა, საშუალოვადიან პერსპექტივაში კი ასეთივე ოპტიმიზმი მეწარმეთა 75 პროცენტს აქვს.

ირინა კოკაია აღნიშნავს, რომ საქართველოში კერძო სექტორის განვითარება სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური გზაა. ამიტომ, განსაკუთრებით ახლანდელ რთულ პერიოდში IFC-ს პროექტი აგრძელებს იმ ფაქტორების გამოვლენას, რომელიც ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

# ÏØÒÏÓ ÀÍÀÁÀÒÉ - ÈÉÁÉÓÉ ÁÀÍÊÉÓ ÓÀÉÌÄÃÏÏÁÉÓ ÂÀÒÀÍÔÉ

პირველი გვერდიდან

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოქროს ანაბრის მფლობელი, საიმედოობის დამატებით გარანტიებთან ერთად, ოქროს ფასის ზრდის შემთხვევაში გაზრდილი საპროცენტო სარგებლის მიღებას შეძლებს.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორ ვახტანგ ბუცხრიკიძის განმარტებით, ახალი პროდუქტი საქართველოს საბანკო ბაზრისთვის უპრეცედენტოა. თიბისი ბანკი პირველია, რომელმაც მომსახურების სრულიად ახალი ფორმა - ოქროს ანაბარი დანერგა. ეს მომსახურება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე აპრობირებულია. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მეანაბრის საიმედოობას განაპირობებს და ამასთან, საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებზეა ორიენტირებული. ოქროს ანაბრის გახსნა 500 აშშ დოლარიდან არის შესაძლებელი. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თიბისი ბანკმა აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგაც კი შეინარჩუნა საბანკო ბაზარზე ლიდერის პოზიცია. ის ბაზრის 30%-ს აკონტროლებს. 31 ივლისის მონაცემებით, ანაბრებზე განთავსებული თანხა 514 მლნ ლარით განისაზღვრებოდა, დღეისათვის კი ეს რიცხვი 500 მლნ-ის ტოლია, - აღნიშნავს ვახტანგ ბუცხრიკიძე.

ოქროს ანაბარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ოქროს ფასის ცვლილებაზე და მისი ფასის ზრდის შემთხვევაში 16%-ს, კლების შემთხვევაში კი გარანტირებულ წლიურ 9%-ს შეადგენს. მაგალითისთვის: თუ ერთი წლის მანძილზე ოქროს ფასი შემცირდა ან გაიზარდა 0%-იდან 9%-მდე, ანაბარს დაერიცხება გარანტირებული 9%. თუ ოქროს ფასი 9%-იდან 16%-მდე გაიზრდება, ანაბარს დაერიცხება ოქროს ფასის ეკვივალენტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითად 15 %.

ხოლო, თუ ოქროს ფასმა 16%-ს გადააჭარბა, მაშინ ანაბარს მაქსიმალური განაკვეთი - წლიური 16% დაერიცხება.

ოქროს საწყის ფასად აღებულ იქნება ანაბრის გახსნის წინა სამუშაო დღეს ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე დადგენილი ერთი უნცია ოქროს ღირებულება აშშ დოლარებში.

# ÐÒÏÊÒÄÃÉÔ ÁÀÍÊÌÀ 47.5 ÌÉËÉÏÍÉ ÀÛÛ ÃÏËÀÒÉÓ ÓÀÊÒÄÃÉÔÏ áÀÆÉ ÌÉÉÙÏ

სალომე ძაძამია



პროკრედიტ ბანკმა და გერმანიის განვითარების ბანკმა KFW 47.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე საკრედიტო ხელშეკრულება დადეს. ხელშეკრულებას ხელი უკვე მოეწერა. გაცემული კრედიტის თანხის ნახევარზე პროკრედიტ ბანკს თავდებად დაუდგა ავსტრიის განვითარების ბანკი oeEB. ავსტრიის განვითარების ბანკი oeEB საქართველოსთან პირველად ამყარებს ფინანსურ თანამშრომლობას და აპირებს, ადგილი დაიმკვიდროს KFW-ის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გვერდით, როგორც სანდო პარტნიორმა ქვეყნისთვის ასეთ რთულ პერიოდში.

აღნიშნული კრედიტი 2009 წლის დასაწყისში ხუთი წლის ვადით გაიცემა. ეს ყველაზე დიდი კრედიტია, რომელიც პროკრედიტ ბანკ საქართველოს ოდესმე მიუღია. იგი საქართველოში ძალიან მცირე, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებისთვის გათვალისწინებული 2009 წლის საკრედიტო პორტფელის გაზრდას მოხმარდება.

საკრედიტო ხაზი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ KFW-სა და oeEB-სთან ერთად, დამატებითი დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ჩვენ გვჭირდება მომავალ წელს ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის გათვალისწინებული საკრედიტო პორტფელის ზრდისთვის. კრედიტის ასეთი შთამბეჭდავი თანხა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი პარტნიორები ჩვენს ბანკს, ჩვენს კლიენტებს და ზოგადად საქართველოს ეკონომიკას ნდობას უცხადებენ.

ჩვენ ყოველთვის საბაზრო ფასებით ვხელმძღვანელობთ და, შესაბამისად, ჩვენი პირობებიც საბაზრო ფასებს ექვემდებარება. კრედიტის მიღება საკმაოდ დროული იყო, რადგან ამაზე საუბარი წლის დასაწყისში გვქონდა. მიუხედავად აგვისტოს მოვლენებისა, ჩვენ მაინც მივიღებდით აღნიშნულ თანხას, მომავალი ზრდის დასაფინანსებლად. ამ მომენტისათვის პროკრედიტ ბანკს არ სჭირდება რაიმე დამატებითი კრედიტი. სესხების გაცემა გაგრძელდება ჩვეული ტემპით, თებერვალში და მარტში. მსხვილი ბიზნესების დასაფინანსებლად გავცემთ სესხებს 10 წლამდე ვადით, ხოლო საშუალო და მცირე ბიზნესებისთვის - 3-დან 5 წლამდე, - განაცხადა პროკრედიტ ბანკი საქართველოს გენერალურმა დირექტორმა ფილიპ პოტმა.

ევროპასა და კავკასიის რეგიონში KFW-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ზილერი: აგვისტოს კრიზისისა და საერთაშორისო კრიზისის ფონზე, ჩვენ ჩავატარეთ საფუძვლიანი ანალიზი პროკრედიტ ბანკისა იმისთვის, რომ დაგვერწმუნებინა ჩვენი რისკების მართვის განყოფილება. ანალიზმა აჩვენა, რომ ბანკი საკმაოდ კარგადართმევს თავს არსებულ სიტუაციას. ამის შემდეგ დარწმუნებული ვიყავით ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში.

მოხარული ვართ, რომ გარკვეული წვლილი შეგვაქვს საქართველოს ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნებასა და მისდამი ნდობის გამყარებაში, მით უმეტეს, იმ მძიმე ვითარებაში, რომელშიც საქართველო და მთლიანად მსოფლიო აღმოჩნდა. პროკრედიტ ბანკი საქართველოსთან ჩვენ მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება გვაქვს და ვაფასებთ ბანკს, როგორც უაღრესად სანდო და საიმედო პარტნიორს იმ ერთობლივ ძალისხმევაში, რაც საქართველოს ურბანულ და სამიწათმოქმედო რეგიონებში ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობას გულისხმობს. მეტიც, მიგვაჩნია, რომ oeEB-თან თანამშრომლობა ძალზე მტკიცე საფუძველს ჩაუყრის სამომავლო ურთიერთობებს საქართველოს და გარდამავალ ეტაპზე მყოფი სხვა ქვეყნების სასიკეთოდ.

პროკრედიტ ბანკი საქართველოსათვის KFW-ისა და ჩვენ მიერ ერთობლივად გამოყოფილი საკრედიტო ხაზი წარმოადგენს ჩვენს სასტარტო პროექტს ამ რეგიონში და დარწმუნებული ვართ, რომ მას ბევრი პროექტი მოჰყვება. მიუხედავად მთელს მსოფლიოსა და საქართველოს ფინანსურ სექტორში არსებული დაძაბული სიტუაციისა, ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს საბანკო სექტორი შეძლებს სტაბილურობის შენარჩუნებას და ჩვენის მხრივ, ამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის კრედიტით, გვინდა აქტიურად შევუწყოთ ხელი აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას, - აღნიშნა oeEB-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა ანდრეა ჰაგმანმა.

## Doheny Global Group-ი და STUCKY Ltd. საქართველოში ჰესების მშენებლობის მიზნით სტრატეგიულ პარტნიორობაზე შეთანხმდნენ

Doheny Global Group-ი და STUCKY Ltd. საქართველოში ჰესების მშენებლობის მიზნით სტრატეგიულ პარტნიორობაზე შეთანხმდნენ. ამერიკის შეერთებეულ შტატებში არსებულმა საერთაშორისო ენერგეტიკული ობიექტების საპროექტო კომპანიამ Doheny Global Group და შვეიცარიაში მოქმედმა ჰიდროენერგეტიკის საპროექტო და საზედამხედველო კომპანიამ STUCKY Ltd. საქართველოში ჰიდროენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებით სტრატეგიული პარტნიორობის დაფუძნების შესახებ განცხადება გააკეთეს. Doheny განახორციელებს საქმიანობას STUCKY Ltd.-თან და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, სულ მცირე, 100 მგვ სიმძლავრის მდინარის ჩამონადენ წყლებზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით. Doheny Global Group-ის მმართველმა პარტნიორმა ჯაკობ რიუბანმა გამოხატა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოების შესაძლებლობები ეძლევათ. მან ასევე განაცხადა, რომ აღნიშნული ჰესები აწარმოებენ არა მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ენერგიას, რომელიც ნაკლებ ზეგავლენას მოახდენს გარემოზე, არამედ ისინი მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას. მემორანდუმი, რომლის საფუძველზე Doheny Global Group-ი საქართველოში 100 მგვტ სიმძლავრის ჰესების მშენებლობას განახორციელებს, ოქტომბერში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურსა და Doheny Global Group-ის დამფუძნებელ პარტნიორს ირვინ კატსოფს შორის გაფორმდა.

## ყაზტრანსგაზ-თბილისი˝ სემეკ-ის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს

ყაზტრანსგაზ-თბილისი" სემეკ-ის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც სემეკმა ყაზტრანსგაზ-თბილისი" 5000 ლარით დააჯარიმა, კომპანიამ სასამართლოს მიმართა, თუმცა, სარჩელის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა. დღეს კი სემეკ-მა ყაზტრანსგაზი" უკვე მეორედ, ამჯერად 15000 ლარით დააჯარიმა. როგორც ინტერპრესნიუსს" კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილმა განუცხადა, ყაზტრანსგაზ"-მა მომხმარებლებს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ვალდებულებები დააკისრა - გაზიფიცირებისთვის ტექნიკურ პირობაში საფასურის მოთხოვნის სახით. ეკა სარიას თქმითვე, ყაზტრანსგაზ-თბილისმა" დღეს სემეკს წარუდგინა კომპანიის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილება. კერძოდ, ბოლო 2 კვირის განმავლობაში იმ მომხმარებლებს, რომლებიც მრიცხველის შეცვლას ან შემოწმებას ახორციელებენ, გაზის მიწოდება არ უწყდება. მათ კომპანიის ხარჯით უყენდებათ დროებითი მრიცხველი ან ხორციელდება პირობითი დარიცხვა," - დასძინა სარიამ.

## მიხეილ სააკაშვილი: ეკონომიკის ზრდა გვიან გაზაფხულზე ხელახლა დაიწყება

საქართველოში მომდევო 6 თვე ეკონომიკურად რთული იქნება, მაგრამ გვიან გაზაფხულზე ეკონომიკის ზრდა ხელახლა დაიწყება. ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დღეს სოფელ მისაქციელში ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, შესაძლოა გარკვეულ სფეროში ნაკლები იყოს შემოსავლები, გარკვეულში - მეტი, მაგრამ მთავარია ყველაფერი სწორად გადანაწილდეს. "რთული ეკონომიკური სიტუაცია ჩვენდაუნებურად შეიქმნა, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნა გავაკეთოთ, რათა საქართველო ყველაზე ნაკლებად დაზარალდეს. ჩვენ გვაქვს გეგმები, პროგრამა ეკონომიკის შენარჩუნებისა და გადარჩენისთვის, ასევე, გვაქვს დროში გაწერილი გრაფიკი," - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, გეგმების შესასრულებლად საჭიროა ქვეყანაში იყოს სტაბილურობა და მთავრობამ აუღელვებლად, მაგრამ ეფექტურად იმოქმედოს. პრეზიდენტის განცხადებით, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ 50-თვიან პროგრამაში გაწერილი დაპირებები შესრულდეს.

# ÀÂÅÉÓÔÏÓ ÏÌÉ ÃÀ
# ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÄÊÏÍ

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება საქართველოს, აქ ცოტა განსხვავებული სურათი იყო. თუმცა, თუ ქრონოლოგიას გავყვებით, თითქმის იგივე სიგნალებს ჰქონდა ადგილი. ეს ძირითადად საბანკო სექტორში დაიწყო. სადღაც 2008 წლის მაისში უკვე შეინიშნებოდა ლიკვიდობის პრობლემა, რომელიც გაუჩნდათ ბანკებს. მაშინ რამდენიმე ბანკმა, განსაკუთრებით მსხვილმა ბანკებმა, რომელთა საკრედიტო პორტფელის დიდი წილი უძრავი ქონების ბაზარზე მოდიოდა, გადაწყვეტილება მიიღო, კრედიტების პროცენტები გაეზარდათ. მაშინ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ შეემცირებინათ უძრავი ქონების დაფინანსება და თავიანთი საქმიანობის უფრო მეტად დივერსიფიცირება მოეხდინათ. ცხადია, აგვისტოს მოვლენებმა ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. საინვესტიციო რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო გაძლიერდა. უფრო მტკივნეული გახადა ბანკების მხრიდან როგორც უძრავი ქონების, ისე დანარჩენი ეკონომიკის დაფინანსების პროცესი. ბუნებრივია, მოვედით დღევანდელ რეალობამდე.

**- კრიზისის პიკი გავლილია თუ წინ გველოდება?**

**პაატა შეშელიძე, "ახალი ეკონომიკური სკოლა":** - ნათქვამს დავამატებ, რომ იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდებოდა, ადვილი შესაძლებელი იყო. ბევრი სკოლა ამას აკეთებდა კიდეც. მაგალითად, ჩემი პარტნიორები ამერიკაში, იგივე კატონის სახელობის ინსტიტუტი, სხვა ინსტიტუტები, იქედან გამომდინარე, თუ რა პოლიტიკა იყო გატარებული, განსაკუთრებით ამერიკაში. მხედველობაში მაქვს იაფი კრედიტის პოლიტიკა, რომელმაც რესურსების ისეთი ტიპის გადანაწილება გამოიწვია, რომ რეალური მოთხოვნა მასზე არ იყო. შესაბამისად, თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა რთულია - არის თუ არა დღეს კრიზისის პიკი, დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რომელიც პრობლემის მოსაგვარებლად იქნება გამოყენებული.

რაც შეეხება გლობალურ კრიზისს - როგორც მე ვუყურებ, ამერიკის მთავრობა, (უპირველეს ყოვლისა, ამ ქვეყანაზე ვსაუბრობ, იმიტომ, რომ ამ კრიზისის გამომწვევი საკვანძო ქვეყანა სწორედ ამერიკაა) მაინცდამაინც სწორ გადაწყვეტილებებს არ იღებს. აშშ-ს მთავრობა გამოყოფს დახმარებებს, საბიუჯეტო თანხებს იყენებს კერძო კომპანიების მხარდასაჭერად. მით უმეტეს, ახლა ამერიკაში მემარცხენე ორიენტაციის მთავრობა მოვიდა, რომელიც სოციალურ პროექტებს გააძლიერებს, ყოველ შემთხვევაში, განაცხადები ასეთია. რაღაც ნაწილში გადასახადების გაზრდასაც კი გეგმავენ. ასე რომ, ვფიქრობ, შეიძლება ძალიან მოკლე ვადაში ეს პრობლემა სხვაგვარად იქნეს წარმოდგენილი... რა კავშირშია ეს ყველაფერი საქართველოსთან? ერთის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას კრიზისიდან გამოსვლის ალტერნატიული პოლიტიკის წარმოება შეუძლია. თუმცა, მეორეს მხრივ, როდესაც ჩვენს პოტენციურ ინვესტორებს, მყიდველებს აქვთ პრობლემები, კრიზისი, ცხადია, ჩვენზე გავლენას იქონიებს. პრობლემების მქონე ინვესტორი ინვესტიციის განსახორციელებლად არ გამოიქცევა, მით უმეტეს - საქართველოში, რადგანაც პოლიტიკურად, გეოპოლიტიკურად და ასე შემდეგ საკმაოდ რთული პირობები გვაქვს.

**ლექსო ალექსიშვილი:** - პიკთან დაკავშირებით მინდა ვთქვა. არის თუ არა პიკი? თვითონ კრიზისი რაში გამოიხატება? კრიზისს აქვს რამდენიმე ნიშანი. ის, რომ დღეს ჩვენს ეკონომიკაში დიდი ნაწილი ფულისა საბანკო სექტორიდან არ მიეწოდებათ და უცხოური ინვესტიციებიც არ შემოდის იმ მოცულობით, როგორც უნდა იყოს, ეს ჯერ კიდევ არ არის პიკი. კრიზისი დღეს თავისთავად ნიშნავს დისბალანსს. ანუ ის აქტივები, რომელსაც თავის დროზე რაღაც ფასი გააჩნდა, მათ შორის უძრავ ქონებაში, ამ ფასში ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შენარჩუნდება. დღეს ვხედავთ, რომ არც ეს ფასი მოდის ქვევით, იმის გამო, რომ ყველას აქვს მოლოდინი, იქნებ ვიღაც გამოჩნდეს, იყიდოს, ა.შ. და ა.შ. ანუ საკითხის მიმართ მოლოდინი მაინც პოზიტიურია, რაც ჩემი აზრით არაადეკვატურია. ეს დისბალანსი აუცილებლად უნდა გასწორდეს. აი, ეს რომ მოხდება და რაღაც წონასწორობამდე მივა, ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ არის პიკი. თავისთავად პიკი იქნება ისიც, რომ ამ პერიოდისთვის იქნება მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება. ეს თავისთავად უნდა აისახოს მდგომარეობაზე, რაც დღეს რაღაც დონეზე არის ასახული, მაგრამ არა ბოლომდე. და აუცილებლად მოხდება გარკვეული დეფლაციური პროცესები, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ყველა მიმართულებით მიმდინარეობს, მანქანათმშენებლობის ინდუსტრია იქნება, ბუნებრივი რესურსები თუ სხვა. აქაც ანალოგიურად უნდა მოხდეს ეს და როცა ბალანსი იქნება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაც დონეზე დავედით, გარკვეულ ფსკერამდე, როდესაც უკვე შეგვიძლია ზევით ავიდეთ.

**- ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კრიზისი ცოტა უფრო მეტად სპეციფიკურია, ვიდრე ყველა იმ ქვეყნისა, რომლებიც კრიზისის ქვეშ არიან, საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე... საკმაოდ საინტერესო კვლევა ჩაატარა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ, მათ გამოჰკითხეს ბიზნესმენები, თუ რამდენად შეეხოთ კრიზისი. ახლა ამ კვლევის მოკლე შედეგებს წარმოგვიდგენენ.**



**ქეთი ჭითანავა, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია":** - გამოკითხული იქნა 1000 ბიზნესმენი, მეწარმე. ჩვენს მიერ შერჩეული იყო ყველა სფერო: ტურიზმი, მშენებლობა, მომსახურება. დავასახელებ ძირითად ინდიკატორებს, რაც ამ კვლევამ გვაჩვენა: 1000 საწარმოდან ომამდე 25 პროცენტი აპირებდა გაფართოებას, აქედან მხოლოდ 2,5-მა პროცენტმა მიიღო გადაწყვეტილება გაფართოების შესახებ. ზოგ შემთხვევაში მათ ინვესტორმა უთხრა უარი, ზოგ შემთხვევაში - ბანკმა, ზოგმა კი თავად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე გაფართოების დრო არ იყო. რეაბილიტაციის პერიოდთან დაკავშირებით გამოვკითხეთ: როგორ ფიქრობენ, დაახლოებით რა პერიოდი დასჭირდება მათი ბიზნესის აღდგენას ან იგივე დონეზე დაბრუნებას? ტურიზმის სფერომ ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელი დაასახელა. მათი აზრით, 18 თვეა საჭირო, რომ იმ მდგომარეობამდე მიაღწიონ, რა დონეზეც კონფლიქტამდე იყვნენ. რაც შეეხება სხვა დარგებს - მეწარმეების მიერ დაახლოებით 4-6 თვე სახელდებოდა, ესეც მხოლოდ იმ პირობებში, თუკი გარკვეული სახის დახმარებას მიიღებდნენ. იყო ასევე დასმული შეკითხვა, თუ რა სახის დახმარებას მოიაზრებენ ისინი? მეწარმეები ძირითადად ფულად დახმარებას ასახელებენ, იაფი სესხის ან საგადასახადო შეღავათების სახით სახელმწიფოსგან, რომელიც, მათი აზრით, უნდა იყოს დროებითი.

**- კვლევის შედეგების მიხედვით ყველაზე მეტად რომელი სფერო დაზარალდა?**

**ქეთი ჭითანავა:** - პირველ ადგილზე იყო ტურიზმი და მეორე ადგილზე მშენებლობა.

**- მშენებლობის სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის - "არსის" ხელმძღვანელი დღეს ჩვენთან ერთად არის. როდესაც დაზარალებულ სფეროებზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში მშენებლობას, უძრავი ქონების ბაზარს ასახელებენ. რეალურად რამდენად მძიმეა მდგომარეობა?**

**თორნიკე აბულაძე, კომპანია "არსი":** - ქრონოლოგიურად ყველა საკითხზე გავაკეთებ კომენტარს... პირველი, თუ როდის იყო კრიზისის ნიშნები. მსოფლიო კრიზისის გარკვეული გავლენა თებერვალ-მარტში ვიგრძენით: დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდით კონტრაქტზე, დიდი მონდომება იყო მეორე მხრიდანაც (ეს იყო ბრიტანული საკმაოდ დიდი ფონდი) და მათ არსებული ვითარების გამო ხელმოწერილ კონტრაქტზე უარი თქვეს. მიზეზი მარტივი იყო: იქაური კრიზისის გამო ფასები ძალიან სწრაფად იკლებდა. იგივე რენტაბელობის მიღება უკვე მათ შეეძლოთ იქვე, ასე თუ ისე, უფრო სტაბილურ და განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. ამის გამო უკვე აქეთ წამოსვლა მათთვის აზრს მოკლებული იყო. ეს იყო პირველი ნიშანი, როცა მივხვდით, რომ ზოგადად მსოფლიოში ეს პროცესები იწყება. რაც შეეხება პიკს, არ მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოსთან მიმართებაში, კონკრეტულად ჩვენ დარგთან მიმართებაში, პიკი გადავლილია. ამას გარკვეულწილად დადებითი კუთხითაც ვუყურებ. მგონია, რომ სწორი სელექცია მოხდება, ძლიერი და ჯანსაღი გადარჩება. საქართველოს კრიზისის სპეციფიურობაზე იყო საუბარი... რაც შეეხება საქართველოს უძრავი ქონების კრიზისს, არის აბსოლუტურად სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ვიდრე იგივე უცხოეთში. ჩვენს სფეროში კრიზისს დაახლოებით 3 წელია ველოდებით. ამ შემთხვევაში დეველოპმენტს ვგულისხმობ, იმიტომ, რომ ზოგადად დარგში აბსოლუტური არაპროფესიონალიზმი სუფევს. საერთოდ არ არის აღქმული რეალობა - დეველოპმენტი, რომელიც არარეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ყიდის დაპირებას, იმედს, დეპოზიტს... ჩვენ ვპირდებით ადამიანებს, რომ მომავალში, 2-3 წლის შემდეგ ამ ობიექტს ჩავაბარებთ. ეს არის ფინანსური ინსტიტუტი, სადაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რისკმენეჯმენტი, ვიდრე არქიტექტურული იერსახე და დიზაინი. ზოგადად ამისი აღქმა არასწორად ხდებოდა. ეს ერთი. მეორე - მგონია, რომ ზოგადად ფინანსური კრიზისის ტალღებმა, რომელიც შეიძლება ძალიან სუსტი იყო თებერვალ-მარტში, მაგრამ იგრძნობოდა, ბანკები, რომლებიც ძალიან ლოიალურები იყვნენ კრედიტების, როგორც იპოთეკური, ასევე სესხების გაცემისას და კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს, უფრო დააფიქრა რისკებზე. ამან კი ის გამოიწვია, რომ ბანკებმა საკითხში უფრო მეტად ჩაწვდომა დაიწყეს, თუ ვისზე შეიძლება გაიცეს სესხი და ვისზე არა. მათ ამ მომენტში დაინახეს ის სიძნელეები, რომელიც იყო.

**- ანუ ადრე გაცემული სესხების მაღალი რისკები...**

**თორნიკე აბულაძე:** - აბსოლუტურად მსგავსი რამ. იმიტომ, რომ გაცემული სესხების უმრავლესობა არ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. საბანკო სექტორში მთავარია რისკი აკონტროლო. აქ კი აღნიშნული საკითხი მეორე პლანზე იყო გადაწეული. შესაბამისად, ამის გამო მარტი-აპრილში ბანკებმა სესხების გაცემა შეზღუდეს. იყო ფაქტები, რომ დამტკიცებული სესხების დარჩენილი ტრანშების გაცემაც კი შეიზღუდა და საუბარი დაიწყო პროცენტის აწევაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ ძირითად ბანკებს შორისაც კი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ბაზარზე, ამის სხვადასხვა მიზეზი სახელდებოდა. საუბრობდნენ ძალიან კონკრეტულ იმ ბანკზე მიბმულ მიზეზებზე... ანუ დაინახეს, რომ არის ქაოსი - ეს ერთი. მეორე - რაც შველის ამ სიტუაციას და გარკვეულ იმედებს აჩენს, არის ის, რომ მსოფლიოში შემდეგ პროცესებს ჰქონდა ადგილი: მიწოდება იყო ბევრად უფრო მეტი, ვიდრე მოთხოვნა. ჩვენთან პირიქით არის. რეალურად, უძრავ ქონებაზე მოთხოვნა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მიწოდება. საუბარია ფინანსებით გამყარებულ მოთხოვნაზე. იპოთეკური სესხების გაცემა რომ შეზღუდულია, ამან, რა თქმა უნდა, შეამცირა გაყიდვების მაჩვენებელი, მაგრამ... დღეს თბილისში დაახლოებით 900 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართია გაყიდვაში. მეორეს მხრივ, ყოველწლიურად თბილისი დაახლოებით 6-7 პროცენტით ფართოვდება. ვინც შემოდის თბილისში, შეიძლება ის არ არის მყიდველი, მაგრამ ეს თავის ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. ძალიან ბევრი სახლი ხდება საცხოვრებლად არაადეკვატური... შეიძლება, ამან დღეს პირდაპირი ჯაჭვური რეაგირება, მოთხოვნის გაზრდა არ გამოიწვიოს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ეს, რა თქმა უნდა, იმოქმედებს. ანუ, შესაბამისად, კრიზისის მიზეზები აბსოლუტურად სხვადასხვაა. ის, რომ დეველოპერული კომპანიები არასწორად მართავდნენ ფინანსებს და დღეს აღმოჩნდნენ გარკვეული, არსებული აქტივების სიმწირისა და გაზრდილი ვალდებულებების წინაშე, უფრო არაპროფესიონალიზმიდან გამომდინარეობს და არა მსოფლიო კრიზისიდან.

**- გლობალურმა არაპროფესიონალიზმმა, რომელიც არის უძრავი ქონების სფეროში, იმ პირობებში, როცა კრედიტების გაცემა შეზღუდული, მოთხოვნები კი გამკაცრებულია, ფულის დეფიციტია, დაპირებები გაყიდულია, შეიძლება თუ არა, რომ გაზაფხულ-ზაფხულისთვის მიგვიყვანოს უფრო ხელშესახებ პრობლემებამდე, რომელიც თითოეულ მყიდველს და მოსახლეობას შეეხება. ამის პროგნოზირება რამდენად შეიძლება?**

**თორნიკე აბულაძე:** - შეიძლება, დღეს და ხვალ ამ პრობლემამ თავი არ იჩინოს, იმიტომ, რომ გაყიდულ ვალდებულებებს გააჩნია გარკვეული ვადა. სიტყვაზე - ბინა მყიდველს თუ უნდა ჩაბარდეს გაყიდვიდან 2-3 წლის განმავლობაში, ძალიან ხშირ შემთხვევაში ეს ვადა გასული არ არის. დარჩენილია კიდევ წელიწად-ნახევარი, ორი წელი და ა.შ. ამის გამო, შეიძლება ახლა კონცენტრირებულად აფეთქება არ მოხდეს. ალბათ, ახლა ყველა კომპანია თუ დეველოპერი ბევრად უფრო პროფესიონალი გახდა. მათ ბევრად უფრო დეტალურად გაიარეს და გაიაზრეს ეს საკითხები. რაღაც მომენტში ეს სიმძიმეები იქნება და ყველას ინდივიდუალური გამოსავლის პოვნა მოუწევს. რა შეიძლება იყოს გამოსავალი, ამის თქმა დღეს ძალიან ძნელია.

**ლექსო ალექსიშვილი:** - ამ შემთხვევაში თორნიკეს დამოკიდებულება საკითხის მიმართ იყო მისი სექტორიდან, ბიზნესიდან, ხედვიდან, გამომდინარე, რაც ლოგიკურია. თუმცა, თავისთავად გავლენა მრავალმხრივი იქნება, იმიტომ, რომ მშენებლობის, დეველოპმენტის სფეროში მიმდინარე პროცესი არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული სექტორი; იმიტომ, რომ ეს არის ძალიან კომპლექსური, ჯაჭვური და მთლიან ეკონომიკაზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს. ანალოგიური მოხდა გლობალური ფინანსური კრიზისის დროსაც. პრობლემები, რომელსაც ადგილი ჰქონდა აშშ-ში, გერმანიაში არ ყოფილა, მაგრამ გერმანიის მანქანათმშენებლობის ინდუსტრიას და ნებისმიერ სხვა ბიზნესს ამ ფაქტმა სერიოზული პრობლემა შეუქმნა. ანალოგიურად, საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, თავისი პატარა ეკონომიკით. წარმოვიდგინოთ, ადამიანები, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში მშენებლობის სექტორში მუშაობდნენ, ერთბაშად სამსახურის გარეშე და, შესაბამისად, შემოსავლების გარეშე აღმოჩნდებიან. პლიუს გავითვალისწინოთ, რომ მშენებლობაში ჩართული იყო არა მხოლოდ მშენებლები, არამედ ძალიან ბევრი ინდუსტრია, მათ შორის ცემენტის, საშენი მასალების, იმპორტის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ა.შ. ეს ძალიან კომპლექსური სფეროა და, შესაბამისად, ეკონომიკაზე გავლენას მოახდენს. რა ციფრებში იქნება ეს გავლენა? თემიდან გადახვევა მომიწევს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას, ამ პერიოდის განმავლობაში დადებითი ზრდა, რომელიც ბოლო 3 წლის მანძილზე 2005 წლიდან 2007 წლის ჩათვლით არსებობდა, ძირითადად ეყრდნობოდა შემდეგ გარემოებებს: ეს იყო ინვესტიციები, რომელიც საქართველოში შემოდიოდა, მოხმარების ზრდა, შესაბამისად - შემოსავლების ზრდა და, აქედან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტების მაღალი ზრდის მაჩვენებელი მივიღეთ. ახლა გავითვალისწინოთ, რომ ინვესტიციები არ იქნება და ეს ბუნებრივია, მოხმარება შემცირდება. შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი იქნება ძალიან დაბალი ან ნეგატიური. ყოველ შემთხვევაში ეს, ალბათ, დამოკიდებული იქნება დამატებით გარემოებებზე, რომელიც ჩვენს გარშემო მოხდება.

**- მომავალი წლის ბიუჯეტში მთლიანი შიდა პროდუქტების 4-პროცენტიანი ზრდა არის ჩადებული, რამდენად რეალურია ეს მაჩვენებელი?**

**ლექსო ალექსიშვილი:** - ჩემი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, ოპტიმისტურია.

**თამარ ქაროსანიძე, "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო":** - დონორების მიერ შემუშავებული შეფასების დოკუმენტის მიხედვით 2009 წლის ბოლოს საქართველოში ელოდებიან 4-პროცენტიან ზრდას. ოღონდ აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ ეს კვლევა ჩატარდა მანამ, სანამ საქართველომდე გლობალური ეკონომიკური კრიზისი მოაღწევდა. რაც შეეხება დახმარებებს - ისიც გასარკვევია, ამ კრიზისის პირობებში საქართველოსთვის გამოიყოფა თუ არა რეალურად შეპირებული 4,5 მილიარდი. თუ მხოლოდ მიმდინარე წლის მონაცემებს ავიღებთ, 2008 წელს დაპირებული დახმა-

# Ï×ËÉÏ ÊÒÉÆÉÓÉ - ÉÊÀ ÛÄÃÄÂÄÁÓ ÉÌÊÉÓ

რების ძალიან დიდი პროცენტი უკვე შემოსულია.

**- საინტერესოა დახმარების მიზნობრიობაც... ჯერ მინდა გკითხოთ: არის მოსაზრება, რომ ომმა საქართველო მსოფლიო ინტერესის სფეროში მოაქცია. იმ დახმარებების მასშტაბმა, რომელიც შეპირებულია, შეიძლება გლობალური ფინანსური კრიზისის დარტყმა ჩვენთვის უფრო მეტად შეამსუბუქოს, ვიდრე სხვა ქვეყნებისთვის. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას და რამდენად შეიძლება პრობლემების დასაძლევად, სწორად მიმართვის შემთხვევაში, ეს დახმარებები საკმარისი იყოს?**

**პაატა შეშელიძე:** - ჯერ წინა კითხვაზე გიპასუხებთ, რაც შეეხება მომავალ წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზს... 4 პროცენტზე იყო საუბარი... ამ წუთისთვის ძნელია თქმა, თუ რა პოლიტიკას გაატარებს მთავრობა. თვითონ ციფრი სათანადო პოლიტიკის პირობებში წარმოუდგენელი არ არის... რაც შეეხება კითხვას, მე ყოველთვის სკეპტიკური ვარ, როცა საუბარია დახმარებებზე - დახმარებების დიდი ნაწილი მოდის მთავრობიდან მთავრობაზე და, რა თქმა უნდა, უმრავლეს შემთხვევაში ის იფლანგება და ამ თანხებით რეალური ამოცანის შესრულება არ ხდება. კონკრეტულ შემთხვევაში რაღაც ნაწილი წავიდა და მომავალშიც გადაირიცხება საბანკო სექტორზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება. იმიტომ, რომ საბანკო სექტორი დამოკიდებული იქნება უცხოურ იაფ კრედიტზე და არ იმუშავებს მოხმარებაზე და ადგილზე პოტენციურ კლიენტზე.

**- თქვენის აზრით, რა ტიპის ცვლილებები უნდა განხორციელდეს?**

**პაატა შეშელიძე:** - არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ჩემთვის თვალსაჩინო იყო და ჯერჯერობით ეს ტენდენცია მაინცდამაინც არ შემოტრიალებულა. ვხედავ, რომ განგაშის დროა... მე ასეთ ტერმინს ვხმარობ - ჩვენ ომი ფეხზე გადავიტანეთ, იმ გაგებით, რომ ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები, ბლოკადის და სხვა მიზეზების მიუხედავად, არ ჩაშლილა... ფასები კი გაიზარდა, მაგრამ არ შექმნილა სერიოზული დეფიციტი. ეს იმის დამსახურებაა, რომ იმ პერიოდში საქართველოს მთავრობა სწორად მოიქცა. ის არ ჩაერია ეკონომიკურ ურთიერთობებში, არ დაიწყო ფასების ფიქსირება, არ დააწესა შეზღუდვები, რომ აი, ეს უნდა შემოვიდეს და ეს არა... მაგალითისთვის: არცთუ შორეულ წარსულში საქართველოში საკმაოდ მძიმე ზამთარი იყო, შეგვიწყვიტეს გაზის მოწოდება, და მაშინ შემოიღეს რეგულირებები, ნავთის, დაზელის და ა.შ. თავისუფალ ფასებში გაყიდვასთან დაკავშირებით. ქალაქის მერი აკეთებდა განცხადებებს... მაშინ სერიოზული დეფიციტები შეიქმნა. ახლა მსგავსი ჩარევები არ მოხდა და ბაზარმა, კომერციულმა სისტემამ შეძლო, სწრაფად მორგებოდა ახალ ვითარებას. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ სისტემამ აჩვენა, თუ როგორ მყარად შეუძლია იმუშაოს ძალიან კრიტიკულ სიტუაციებშიც კი. საბანკო სექტორში ერთდღიანი პაუზა იყო და, მგონი, ამან უფრო გამოიწვია კრიზისი. მიხვდნენ, რომ ერთ დღეზე მეტხანს ბანკების გაჩერება არ ღირდა. მათ მუშაობა გააგრძელეს და ხალხმა შეინარჩუნა ნდობა საბანკო სისტების მიმართ. ანუ აჟიოტაჟი ერთმა პატარა ჩარევამ უფრო გამოიწვია... ჯამში, იმის თქმა მინდა, რომ ჩემი თვალსაზრისით, უფრო მეტი თანმიმდევრული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ეკონომიკური თავისუფლებისკენ...

იყო სოციალური დაპირებები, მათი რეალიზების მცდელობა, რაც ვფიქრობ, წყალში გადაყრილი ფული იყო. მაგალითად, დასაქმების პროგრამა, იაფი კრედიტის პროგრამა, რომელიც, ჩემის აზრით, ნონსენსია... და ა.შ. ეს უნდა შეწყდეს. ჩვენ სხვა გზით უნდა წავიდეთ და არა ამერიკისა და მსგავსი ქვეყნების გზით, იმიტომ, რომ არც ამის რესურსი გვაქვს და არც აუცილებლობა. ვფიქრობ, მკაცრი ეკონომიკის, დეცენტრა-



ლიზების და უფრო მეტი თავისუფლების პირობებში ჩვენ უფრო სწრაფად მივალთ შედეგამდე.

**ნინო ევგენიძე, "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი":** - საერთაშორისო დახმარებებთან დაკავშირებით განმარტებას გავაკეთებ. ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, რომ საქართველო 4,5 მილიარდი დოლარის დახმარებას სრულად ნამდვილად მიიღებს. დონორ ქვეყნებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჯერჯერობით მიღწეულია შეთანხმება 2 მილიარდ 700 ათასზე. კრიზისის გათვალისწინებით, ასევე ვფიქრობ, რომ დონორები გაითვალისწინებენ იმას, თუ როგორ მოხდება უკვე გადმორიცხული თანხების ათვისება და ამაზე იქნება დამოკიდებული შემდეგი დახმარების გაზრდის ბედი. თუ გავითვალისწინებთ, როგორ ხარჯავენ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის თანხებს და სხვა ასეთ პროექტებთან დაკავშირებით რას აკეთებენ, შესაძლოა 4,5 მილიარდი დოლარის სრულად გადმორიცხვა საეჭვო იყოს.

**პაატა შეშელიძე:** - მილენიუმისა და სხვა პროექტებისათვის თვალის მიდევნება იმის თქმის უფლებასაც გვაძლევს, რომ ჩვენი პარტნიორებიც ზერელედ უყურებენ ამას და საერთოდ სისტემა ზერელეა. შეუძლებელია თვალის ზუსტი მიდევნება. ეს არ არის კომერცია, ეს არის პოლიტიკა. შეუძლებელია, პოლიტიკურად დახარჯული ფული იყოს სწორად დახარჯული.

**ნინო ევგენიძე:** - ხალხისთვის მიწოდებული იქნა ინფორმაცია, თითქოს ეს დახმარებები ახლა წამოვიდა. სინამდვილეში ევროკავშირის დახმარებების უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 80 პროცენტი ძველი გრანტებით არის გათვალისწინებული, რომელიც ამა თუ იმ პროგრამების განხორციელებაზე უნდა დაიხარჯოს, იქნება ეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში თუ სხვა დამატებითი ინსტრუმენტები...

**ლექსო ალექსიშვილი:** - ჩემი აზრით, საკითხის მიმართ დამოკიდებულება ზედმეტად პოლიტიზებულია. საკითხი შემდეგნაირად უნდა დაისვას: ის, რომ საქართველოში ფინანსური რესურსი შემოვა და ეს შოკი ნაკლებ მტკივნეული იქნება, კარგია თუ ცუდი? ამაზეა საუბარი... ჩემის აზრით, მიუხედავად იმისა, 4.5. მილიარდის ნაცვლად 2.5 შემოვა თუ 3.5 მილიარდი, კარგია, რადგანაც დარტყმა ნაკლებად მტკივნეული იქნება. რაც უფრო მეტი თანხა გადმოირიცხება, მით უკეთესი. აქ იყო საუბარი, უფრო მეტს შეგვპირდნენ და სხვაგვარად ხდებაო... ბუნებრივია, ეს პროცესია. თითოეული ამ თანხის თვისობრიობას აქვს თავისი ფორმა, არის საბიუჯეტო დახმარება, არის კომერციული სექტორის დახმარება, მათ შორის, მაგალითად, "IFS და "EBRD"-ის მიერ გამოყოფილი თანხები. რაც შეეხება იმ საკითხს, ფინანსები როგორ დაიხარჯება, ხშირად არის, რომ ჩვენ რაღაც ტიპის ინფორმაცია არ გვაქვს და ავტომატურად აღვიქვამთ, რომ იქ რაღაც ცუდად ხდება. რატომ? თავიდანვე იმის თქმა, რომ თანხა, რომელიც უნდა შემოვიდეს, აუცილებლად ცუდად დაიხარჯება, არასწორია.

**- თანხების მონიტორინგის საკითხს მინდა დავუბრუნდე... ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უკვე შემოსულია 603 მილიონი დოლარი. ეს თანხა დაიხარჯა, იხარჯება თუ რა ხდება? გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია? როგორც ვიცი, უნდა შეიქმნას კოალიცია, რომელიც ამ ფულის ხარჯვას კონტროლს გაუწევს.**

**თამარ ქაროსანიძე:** - იმის მონიტორინგი, თუ როგორ დაიხარჯა 603 მილიონი დოლარი, ჯერ არ გაგვიკეთებია. აქამდე ჩვენ ყურადღება ორ რამეზე გავამახვილეთ. ერთი იყო საჭიროებათა ერთობლივი შეფასების დოკუმენტი.. გვინდოდა, უფრო გასაგები ენით განგვემარტა, თუ რა პრიორიტეტებია ამ დოკუმენტში გამოყოფილი, რის საფუძველზე მომზადდა და ა.შ. ეს ჩვენს თავზე ავიღეთ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ არ გააკეთა. ვლაპარაკობთ იმაზე, რომ როცა არ გვაქვს ინფორმაცია, ავტომატურად რაღაც ცუდზე ვფიქრობთ. ეს მარტო ქართველი არასამთავრობოებისთვის დამახასიათებელი ახირება არ არის. თუ გრძნობ, რომ ინფორმაციას არ გაძლევენ, ბუნებრივია, ფიქრობ, რომ ამ ინფორმაციას რაღაც მიზეზის გამო არ გაძლევენ. თუ ერთობლივ საჭიროებათა შეფასების დოკუმენტს ავიღებთ, არაფერი საგანგაშო ამ დოკუმენტში არ წერია. თუმცა იმან, რომ დოკუმენტის ვრცელი ვერსია არ გამოქვეყნდა, უფრო მეტი პანიკა გამოიწვია. ერთი მიზეზი იმისა, რომ დოკუმენტს არ ავრცელებდნენ, საბანკო სისტემაში არსებული პრობლემები იყო. თუმცა აქ პრობლემა რომ არსებობდა, მოქალაქე მაშინ მიხვდა, როცა კრედიტის ასაღებად მიაკითხა ბანკს და მან უარი უთხრა... ჩვენ ვცადეთ ანგარიშში განგვემარტა, თუ რა წერია დოკუმენტში იმისთვის, რომ საზოგადოებას სცოდნოდა, თუ რისთვის ვიღებთ ამ ფულს და როგორი იქნება რეაბილიტაციის პროგრამა... მეორე, რაზეც ამ ორი თვის განმავლობაში ვმუშაობდით: გვსურდა მიგვეღო დეტალური ინფორმაცია იმაზე, თუ რომელი დონორი რა თანხას გვპირდება, რისთვის, რა ნაწილი გადმოირიცხა, რა ნაწილი არა და რა პირობებით გვაძლევს ამ ფულს. შემიძლია ვთქვა, რომ ამ ინფირმაციის მიღება იმდენად ფინანსთა სამინისტროსგან არ გაგვჭირვებია, რამდენადაც დონორებისგან... კარგია, რომ გასულ კვირას ხელისუფლების, დონორებისა და არასამთავრობოების წარმომადგენლების შეხვედრა შედგა, სადაც ჩვენ საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია მივიღეთ. მომავალი წლიდან ამ თანხების ხარჯვის მონიტორინგს დავიწყებთ.

**- საუბარია იმაზე, რომ დაახლოებით 100 ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგება... ხომ არ ხდება ისე, რომ ჯერჯერობით პრობლემა არ აქვს რომელიმე კონკრეტულ ბიზნესს და შესაძლოა, მას საფრთხე არც ემუქრებოდეს. თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ზოგადად კრიზისია, მოლოდინებიც საკმაოდ მძიმეა, გარკვეული კომპანიები თანამშრომლებს წინასწარ ამცირებენ?**

**ლექსო ალექსიშვილი:** - ყოველ ადამიანს თავისი კონკრეტული დატვირთვა აქვს. თუ გიღირს მისი სამსახურში გაჩერება - გყავს, თუ არ გიღირს - გაუშვებ.

**თორნიკე აბულაძე:** - დღეს გარკვეული აქცენტების გადალაგებაც ხდება. ბიზნესს ხალხის გაშვება არასდროს ერიდებოდა... ბანკების მაგალითზე ვიტყვი, რეალურად დღეს ბანკმა კი გაუშვა საკმაოდ ბევრი ადამიანი, ვინც განვადებებზე მუშაობდა, მაგრამ შესაძლოა მათ ორჯერ მეტი ადამიანი მიიღონ სამსახურში, რომელიც რისკმენეჯმენტზე და თანხის ამოღებაზე იმუშავებს. დღეს მხოლოდ პრიორიტეტები შეიცვალა. მარტივად რომ ვთქვა, ჩვენ თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი გავუშვით, მაგრამ მერე სხვა ნაწილი ავიყვანეთ. ესეც ჩვეულებრივი მომენტია.



**- თქვენ აღნიშნეთ, რომ ახალ სიტუაციაზე გადაწყობა 18-თვიან პერსპექტივაზე გათვალეთ...**

**თორნიკე აბულაძე:** - ჩვენ თვეში დაახლოებით 30-მდე ბინას ვყიდდით, ეს ციფრი არ არის ძალიან კონფიდენციალური. სექტემბერში 6 ბინა გავყიდეთ, ოქტომბერში - 1, ნოემბერში გავყიდეთ 10 და ახლა უკვე გაყიდული გვაქვს 7... ანუ ტენდენცია აშკარად უკეთესია. ჩემთვის გასაგებია, ოქტომბერში რატომ იყო დაბალი მაჩვენებელი. ბინები 7 ნოემბრის შემდეგ გაიყიდა. პოლიტიკურ ვითარებასთან ეს ყოველთვის დაკავშირებულია. სექტემბერში ჩვენ დავიწყეთ იმის გათვლა, თუ რა უნდა გავაკეთოთ 18 თვის განმავლობაში, სესხების გაცემა ძველებურად რომ არ აღდგეს და გაყიდვები რომ მინიმალური იყოს, ანუ ადრინდელის 10 პროცენტი. შევიმუშავეთ სტრატეგია, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ასეთ სიტუაციაში. ამის გამო ვთქვით, რომ ყველაზე ცუდი თუ მოხდება, ჩვენ 18 თვეში დავძლევდით კრიზისს. თუმცა ჩვენთვის კიდევ ერთი პლუსი, რომელიც მსოფლიო კრიზისმა გამოიწვია, ეს სამშენებლო მასალების გაიაფებაა. ადრე რაღაც მასალა 700 დოლარი რომ ღირდა და მერე 1700 დოლარი გახდა, დეველოპერები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვეღარ აშენებდნენ. არადა, მათ ვალდებულება აღებული ჰქონდათ. ახლა ფასებმა ისევ დაიკლო და, შესაბამისად, მშენებლობის დამთავრების უფრო მეტი შანსი გაჩნდა, რადგანაც რეალურად თვითღირებულება რაღაც დონეზე გაიაფდა. ამიტომ კრიზისიდან გამოსასვლელად, შესაძლოა, 18 თვე არც იყოს საჭირო.

მეორეს მხრივ, საერთაშორისო ბაზარზე ფასების შემცირებამ გააჩინა იმედი, რომ ბინები გაიაფდება და ნაწილობრივ გაიაფდა კიდეც, თუმცა ჩემი პროგნოზით მეტი გაიაფება აღარ იქნება. დღეს არის იმის მოლოდინი, რომ კომპანიები ბინებს ვერ ყიდიან. შესაბამისად, მათ თავიანთი ფანტასტიკური მარჟების დათმობა მოუწევთ, კეთილი ინებონ და იაფად გაყიდონო. ეს უკვე არასწორია. სამწუხაროდ საზოგადოება ფიქრობს, რომ კომპანიების მოგება 200-300 პროცენტია, რაც არასწორია. ეს ციფრი დაახლოებით 10-12 პროცენტს შეადგენს. თუ ვინმემ კვადრატული მეტრის ღირებულება 30 პროცენტით შეამცირა, ის ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ჯობია ადამიანმა კვადრატულში 1000 დოლარი გადაიხადოს, ვიდრე 300 დოლარით ნაკლები გადაიხადოს და ის ბინა ვერ მიიღოს.

**- მსოფლიოშიც და საქართველოშიც არის საუბარი იმის შესახებ, რომ როცა ბიზნესს პრობლემები აქვს, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში. რა ფორმატით შეიძლება ეს სახელმწიფომ გააკეთოს?**

**ლექსო ალექსიშვილი:** - ეკონომიკურ თეორიაში ამას კეინსიალურ მოდელს უწოდებენ, როდესაც მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობები ეკონომიკაში გამოიწვევს ეკონომიკის ზრდის კონკრეტულ შედეგებს. მაგრამ არ არის აქსიომა, რომ თუკი ასე იქნება, ჩვენ გავბრწყინდებით. ინფრასტრუქტურაში სახელმწიფო ადრეც დებდა ფულს და, შესაბამისად, ეს უნდა გაგრძელდეს. მაგრამ იმისათვის, რომ ეკონომიკური მდგომარეობის სიჯანსაღე უზრუნველყოფილი იყოს, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ფულის დახარჯვა არ არის მთავარი პირობა. მთავარი პირობაა, დაიხარჯოს სწორად, ეფექტურად, იქ, სადაც საჭიროა და იმდენი, რამდენიც საჭიროა. მთავარი პირობაა ასევე - ბიზნესს საქართველოში ისეთი მდგომარეობა შეექმნას, რომ მუშაობა ეფექტური იყოს.

## ˝თბილისის წყალი˝ ზამთრის სეზონს მომზადებული ხვდება

"თბილისის წყალი" ზამთრის სეზონს მომზადებული ხვდება. კომპლექსური სამუშაოები, რომელიც ზამთარში შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის კომპანიის უკლებლივ ყველა ობიექტს უტარდება, უახლოეს დღეებში დასრულდება. კომპანიის წყალსადენისა და წყალარინების ქსელების ექსპლუატაციის სამსახურები თბილისსა და მის შემოგარენში განთავსებულ კომუნიკაციებზე ყველა აუცილებელ პროფილაქტიკურ სამუშაოს ახორციელებს. სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარებისთვის შეძენილია შესაფუთი მასალები და სხვადასხვა ინვენტარი, ასევე, ტექნიკური მარილი. დედაქალაქის ქუჩებში წყლის ზედაპირული დინებისა და მისი მოსალოდნელი მოყინვის აღსაკვეთად, "თბილისის წყალის" აღრიცხვა-რეალიზაციის სამსახურმა გააფრთხილა ყველა ის აბონენტი (იურიდიული პირი), რომელსაც, წინასწარი მონაცემებით, წყალსადენისა და წყალარინების კუთვნილი ქსელები არ ჰქონდა წესრიგში. კომუნიკაციების მოსაწესრიგებლად კომპანიამ მათ დაუწესა გარკვეული ვადები, რომელიც ზამთრის პერიოდისთვის მზადების დასასრულს არ უნდა გადაცდეს. მოსალოდნელი მოყინვისა და მისი თანმდევი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, კომპანია აწარმოებს არაგვის ხეობის წყალსადენების, სამგორისა და ღრმაღელეს საფილტრე სადგურების ღია კომუნიკაციების გაშიშვლებული ადგილების დათბუნებას. პარალელურად, აღრიცხვა-რეალიზაციის სამსახური ეწევა აბონენტების გაფრთხილებას და კონტროლს იმ მიზნით, რომ მათაც დროულად დაათბუნონ კუთვნილი წყალმზომი ჭები და კვანძები. ზამთრის პერიოდში დედაქალაქის შეუფერხებელი წყალმომარაგების მიზნით, "თბილისის წყალი" უკვე ამთავრებს სატუმბო და წნევის გამაძლიერებელი სადგურების სრულ მზადყოფნაში მოყვანას. წინასწარ მოხდა ისეთი სათადარიგო ღონისძიებების შემუშავება, რითაც, ელექტრომომარაგების ლოკალური შეფერხების ან სისტემური ავარიის შემთხვევაში, დროულად იქნება შესაძლებელი კომპანიის ელექტროსისტემების შეუფერხებელი მომარაგება. დღეისათვის ტექნიკურად გამართულია კომპანიის კუთვნილი ავტოტრანსპორტი და ტესტირება გავლილი აქვს ყველა მანქანა-დანადგარს. "თბილისის წყალი" მთელი ზამთრის განმავლობაში მკაცრ კონტროლს დააწესებს იმ ქუჩებზე, სადაც მეტად მოძველებული, ამორტიზებული ქსელებია და სადაც არ არის გამორიცხული, თავი იჩინოს ავარიულმა დაზიანებებმა. მათ ოპერატიულად ლიკვიდაციას გაძლიერებულად მოემსახურება კომპანიის ცხელი ხაზი (93 11 11), სადისპეტჩერო და ქსელების ექსპლუატაციის სამსახურები.

## დიღმის საცდელი მეურნეობის კერძო სექტორს გაზმომარაგება შეუწყდა

დიღმის საცდელი მეურნეობის კერძო სექტორს გაზმომარაგება შეუწყდა. გათიშვის მიზეზია გატეხილი ურდულის შეცვლა. გაზმომარაგების აღდგენა 16.00 საათისთვის არის დაგეგმილი. დღესვე, 11.00-დან 17.00 საათამდე, საუბნო მრიცხველის მონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოების გამო, გაზი არ მიეწოდება გლდანის VII მიკრორაიონს. 13.00-დან 15.00 საათამდე, გაზსადენის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გაზმომარაგება შეუწყდება ნუცუბიძის ქუჩის N47-57 და დელისის IV ჩიხს. ყაზტრანსგაზ-თბილისი" ბოდიშს უხდის თავის აბონენტებს დისკომფორტისთვის და მოუწოდებს მათ დაკეტილ მდგომარეობაში იქონიონ ბინებში არსებული გაზის ონკანები, უყურადღებოდ არ დატოვონ გაზის დანადგარები. გაზის დანადგარებთან გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ავარიებზე კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას.

## კონტროლის პალატა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს იწუნებს

კონტროლის პალატას მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი არ მოსწონს, - ამის შესახებ პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე განაცხადა. მისი თქმით, პროექტი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, კერძოდ, კონტროლის პალატის მთავარი შენიშვნა ბიუჯეტის პროექტში კანონით გათვალისწინებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვლების სათანადოდ დაუსაბუთებლობაა. კონტროლის პალატას კი მიაჩნია, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და ბიუჯეტის შესრულებაზე ბევრ პრობლემას შექმნის. ამასთან, კონტოლის პალატა მთავრობას საყვედურობს იმასაც, რომ ბიუჯეტის პროექტში, რომელიც რამდენიმე გადამუშავების შემდეგ იქნა წარმოდგენილი, მაინც არ არის გათვალისწინებული პალატის მთელი რიგი შენიშვნები. თუმცა, კონტროლის პალატაში იმედოვნებენ, რომ მათი შენიშვნები პროექტის საბოლოო ვარიანტში მაინც აისახება. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს მთავრობა პარლამენტში 25 დეკემბრისთვის წარადგენს.

# ÓÀØÀÒÈÅÄË Ï Ì ÄÊ Ï Í Ï ÌÉÊÖÒÉ ÊÒÉÆÉÓÉ ÏÒÉ ßËÉÓ ßÉÍ ÂÀÃÀÉÔÀÍÀ

თინა შავაძე

მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის წინ საქართველოს პრეზიდენტი სხვადასხვა ფენის ადამიანებთან შეხვედრებს მართავს და მათ მთავარი ადამიანური ღირებულებებით, როგორებიცაა სასოება, რწმენა, სიყვარული, მოთმინება, მიტევება - ცხოვრებისკენ მოუწოდებს. სულიერი სიმშვიდე და მოთმინება მართლაც გვჭირდება იმისათვის, რომ ავიტანოთ ის, რაც ხვალ გველოდება და აღარ ვიდარდოთ იმაზე, რაც გუშინ დავკარგეთ. საქართველოს მოსახლეობამ უკვე მრავალი შოკი გადაიტანა. ის, რაც ქართული ბრენდი იყო და ქვეყნის სახეს წარმოადგენდა (ღვინო და მინერალური წყალი) ბაზრების ძიებაშია, ან კიდევ რაშიც დიდი ფული კეთდებოდა (ჩაი, ციტრუსი, ვაშლი) შემოსავლები შემცირებულია, სხვა დანარჩენი კი - მაგალითად, მევახშეობა (საბანკო საქმე), მშენებლობა - არც არასოდეს ყოფილა ქვეყნის ეკონომიკის ტრადიციული, წამყვანი დარგი.

ახლა მსოფლიოს დიდი ქვეყნები ეკონომიკური კრიზისის დანაკარგებს ითვლიან, საქართველო კი ამ გზას ორი წლის წინ დაადგა, როცა საქართველოს ალკოჰოლური და მინერალური სასმელის მწარმოებელი კომპანიები რუსეთის ბაზრებიდან გამოდევნეს. რუსეთის ემბარგოს შედეგად საქართველომ დაახლოებით 300 მილიონი დოლარის შემოსავალი დაკარგა, ამის შედეგად კი ბევრი კომპანია გაკოტრდა. რა თქმა უნდა, ღვინის წარმოება მხოლოდ ვენახეობა არ არის. ეს არის ბოთლი, ეტიკეტი, საცობი და კიდევ ბევრი სხვა აქსესუარი, რომელთა წარმოებითაც ბევრი კომპანია იყო დაკავებული.

როცა ემბარგო განხორციელდა, ძირითად მოტივაციად ქართული ღვინისა და მინერალური წყლის დაბალი ხარისხი დასახელდა. სხვათა შორის, ხარისხთან დაკავშირებით ბევრი მეღვინე 24 საათთან" საუბარში ამბობდა, რომ ხარისხი განპირობებული იყო ბაზრის კონიუნქტურით, რადგან რუსეთი დიდია და ყველას არ აქვს შესაძლებლობა, მაღალი ხარისხის სასმელი იყიდოს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში რუსეთი მილიარდერების რაოდენობით მეოთხე ადგილზეა, ამ ქვეყნის უმეტესობა მაინც ღარიბ ფენას წარმოადგენს და, ამდენად, მოთხოვნის დიდი წილი დაბალფასიან ქართულ ალკოჰოლურ სასმელზე მოდის. არსებული კრიზისის პირობებში, ქართული ალკოჰოლური სასმელის მიმართ რუსების მოთხოვნა შესაძლებელია მალე ღიად გამოიხატოს და ქართული ღვინის დაბრუნების მოთხოვნით მათ მთავრობის სასახლესთან დემონსტრაციაც გამართონ.

ქართულმა ღვინომ და მინერალურმა წყალმა დეპრესიიდან გამოსვლა გასულ წელს დაიწყო. ამ ბიზნესში ჩართულმა კომპანიებმა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ეტიკეტები დაამზადეს და ახალი ბაზრების ათვისება დაიწყეს. ადგილობრივი მწარმოებლები სრულად არიან წარმოდგენილი ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მათ შორის ყაზახეთში. მაგრამ, მუსლიმანურ ქვეყნებში ღვინოს მასობრივად არ სვამენ და, ამდენად, გაყიდვების მოცულობა არც ისე დიდია. ქართული ბრენდები ძნელად, მაგრამ მაინც იმკვიდრებს ადგილს ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და რუსეთის ემბარგომ აგრობიზნესის სხვა დარგების განვითარებაზეც უარყოფითად იმოქმედა. ფაქტობრივად, ჩიხში მოექცა სუბტროპიკული კულტურების - მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი - გასაღება. მიმდინარე წელს დასავლეთ საქართველოდან მასობრივად მოხდა ქართული სუბტროპიკული ხილის უკრაინაში გატანა და ამ პროცესის წარმართვა შესაძლებელი გახდა საბიუჯეტო სახსრების (500 ათასი ლარი) მობილიზებით. რუსული აგრესიის შემდეგ, შიდა ქართლში საერთოდ განადგურდა მრავალწლოვანი ნარგავების, მათ შორის ატმის, ვაშლის, მსხლის მოსავალი. ამ ეტაპზე, მაგალითად, სოფელ მერეთის ვაშლის ბაღების ძირითად ნაწილს ოსები რუსებთან ერთად აკონტროლებენ.

ტურიზმის დარგი საქართველოში ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს გახდა მოგებიანი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ბევრი რამ გაკეთდა: მოეწყო ინფრასტრუქტურა, ბანკებიდან სესხი გახდა ხელმისაწვდომი და კრიმინალური გარემო უსაფრთხო გარემოთი შეიცვალა. შესაბამისად, ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი დარგი გახდა. მაგრამ მიმდინარე წლის დასაწყისში, როცა საქართველოს საზაფხულო კურორტებზე სეზონის პიკი იყო, ომი დაიწყო.

ბევრი ექსპერტი ამბობს, რომ მიმდინარე გლობალური კრიზისის დროს მცირე ეკონომიკის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც გადარჩება. ცნობილი ამერიკელი ექსპერტი, Sinclair Capital LLC -ის მენეჯერი ჯონ ლუკომნიკი ამბობს: თუ საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში ხალხი მასობრივად არ არის ჩართული, მაშინ ფინანსური კრიზისი მაღალი არ იქნება. საქართველოს ეკონომიკას კარგად არ ვიცნობ - რამდენად არის ის გლობალურ ეკონომიკაში ჩართული და ამიტომაც ვერ გეტყვით, გადაურჩება თუ არა მისი ეკონომიკა კრიზისს. ვიცი, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებას დიდი პერსპექტივა ჰქონდა, აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ვფიქრობ, ტურისტებს დიდხანს ვერ ნახავთ.

ადგილობრივი ტურისტული კომპანიების უმეტესობა უკვე აღარ მალავს იმას, რომ გაკოტრების რეჟიმში მუშაობს. ზაფხულის სეზონის ჩავარდნის გამო შემოსავლები დაკარგეს უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლების მწარმოებელმა კომპანიებმა, აგრეთვე ყველა იმ დარგმა, რომელიც ტურიზმის ბიზნესშია ჩართული. არსებული მდგომარეობის შეცვლა ქვეყნის მომავალ პოლიტიკურ სტაბილურობაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ფინანსური სისტემის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საფონდო ბირჟა) მდგრადობას, აქ გასარკვევი არც არაფერია. საქართველოდან საერთაშორისო ბაზარზე აქციებს მხოლოდ ერთადერთი კომპანია ს.ს საქართველოს ბანკი" ყიდდა. მართალია, მისი აქციების ფასი 4 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით სამჯერ დაეცა (ერთი აქცია 12 ლარი ღირს), მაგრამ ჯერ არ გაკოტრებულა. ამ ეტაპზე საქართველოს ბანკთან" ერთად საქართველოს საფონდო ბირჟაზე აქციებს ს.ს სახალხო ბანკიც" ყიდის. დანარჩენი ბანკები კი ამ პროცესში არ მონაწილეობენ და, ამდენად, აქციების გაუფასურების მოლოდინი და აჟიოტაჟი არ გველოდება. მსგავსი მდგომარეობაა სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებაშიც. ეს კომპანიები შიდა ბაზარზე ოპერირებენ და არც ერთი მათგანის აქციები არც ადგილობრივ და არც უცხოურ ბაზრებზე არ იყიდება. საინტერესოა ის, რომ მომავალ წელს ბიუჯეტიდან 900 ათასი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანის დაზღვევა მოხდება და, ბუნებრივია, ამ მიზნით გამოცხადებული ტენდერებიდან თანხებს კერძო კომპანიები აითვისებენ.

რაც შეეხება სამშენებლო კომპანიებს, რომლებიც შეკვეთებს ძირითადად იპოთეკური სესხებით იღებდნენ და სწორედ ამ მიმართულებით გაწეული რისკები გახდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი, აქ ბევრი რამ შესაცვლელია. არსებული რისკების დაძლევის მიზნით ბანკებმა იპოთეკური სესხების გაცემის პროცედურა გაამკაცრეს, რამაც, ბუნებრივია, ტრანზაქციების რაოდენობა შეამცირა. საქმე ისაა, რომ მშენებლობის გაგრძელებას თვისობრივად ახალი მიდგომა სჭირდება. კომპანიებმა კლიენტებთან არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებს უნდა გადახედონ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს დაკარგული ნდობის აღსადგენად. ამ ეტაპზე აუცილებელია საუბარი დაიწყოს იმ კომპანიების საქმიანობაზე, რომლებმაც ობიექტების მშენებლობა გააჩერეს და არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რას მოიმოქმედებენ მოზიდული თანხების დასაბრუნებლად.

# ÌÀÙÀËÉ ÞÀÁÅÉÓ ÄËÄØÔÒÏÂÀÃÀÌÝÄÌÉ ØÓÄËÉÓ ÌÛÄÍÄÁËÏÁÀ ÌÏÌÀÅÀË ßÄËÓ, ÓÀÅÀÒÀÖÃÏÃ, ÅÄÒ ÃÀÉßÚÄÁÀ

საქართველოს ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ქსელის მშენებლობა მომავალ წელს, სავარაუდოდ, ვერ დაიწყება.

მისი ინფორმაციით, მომავალ წელს დასრულდება პროექტის დეტალური შესწავლა, გადამცემი ხაზების და საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა კი დაწყებიდან 3 წელიწადში დასრულდება. რაც შეეხება დაფინანსებას, KfW მზად არის, პროექტისთვის 100 მლნ ევრო გამოყოს. დანარჩენ თანხას, დაახლოებით 120 მლნ ევროს, ევროპის საინვესტიციო ბანკი" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" გამოყოფენ. ევროკომისიამ პროექტის შესწავლისთვის საჭირო 8 მლნ ევრო უკვე გამოყო. 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტს ასევე "შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (500 კვ) პროექტი" ეწოდება.

გერმანული ბანკის ინფორმაციით, პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის შეუფერხებელი და სტაბილური ფუნქციონირება, ელექტროენერგიით ფართომასშტაბიანი ვაჭრობის ხელშეწყობა საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებს შორის. მათივე ინფორმაციით, პროექტი წარმოადგენს საქართველოს უხვი ჰიდრორესურსების ათვისების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალციხეში ახალი ქვესადგურისა და მუდმივი დენის ჩანართის მოწყობა, ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე 20 კილომეტრის სიგრძის 400-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის დასრულება გარდაბნიდან ახალციხემდე, გარდაბნისა და ზესტაფონის ქვესადგურების გაფართოება.

# "×ÉÀÔÉ" ÂÀÒÀ ÐÀÒÔÍÉÏÒÓ ÄÞÄÁÓ

მერაბ ლორთქიფანიძე

იტალიურ საავტომობილო კონცერნ ფიატის მთავარი აღმასრულებელი სერჯო მარკიონე აცხადებს, რომ ახლანდელი კრიზისის პირობებში, მცირე კომპანიებს ძალიან გაუჭირდებათ გადარჩენა. გამოსავლად მას დიდი გაერთიანებების შექმნა მიაჩნია, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლები გაერთიანდებიან და ასე მათ უფრო გაუადვილდებათ ბაზარზე არსებული გიგანტებისთვის კონკურენციის გაძლება.

მარკიონე დარწმუნებულია, რომ საავტომობილო ბიზნესის დიდი კონსოლიდაცია მერმის დაიწყება და ამ პროცესის დასრულების შემდეგ, მსოფლიოში სულ ექვსი ავტომწარმოებელი დარჩება. ტურინული კონცერნის შეფის თქმით, დარჩენილი კომპანიებიდან ერთი ამერიკული იქნება, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, რომელი მოახერხებს გადარჩენას - ჯენერალ მოტორსი , თუ ფორდი . სამაგიეროდ, მას ეჭვიც არ ეპარება, რომ კრაისლერს დამოუკიდებელი მომავალი არ აქვს.

სამაგიეროდ, მარკიონე დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებლობას აუცილებლად შეინარჩუნებს ტოიოტა , რომელმაც ორი წელია, წარმოებული ავტომობილების მოცულობით, მსოფლიო ლიდერობა ჯენერალ მოტორსს ჩამოართვა. იაპონური კომპანია საბაზრო კაპიტალიზაციით მეორეა მსოფლიოს ავტომწარმოებლებს შორის. თუმცა მიმდინარე კრიზისი მასაც ძლიერ აზარალებს. კერძოდ, მისმა მარკეტოლოგებმა წლევანდელი მოგების პროგნოზი თითქმის მესამედით შეამცირეს (4 მილიარდ დოლარამდე). გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირდა მომავალი წლის გაყიდვების პროგნოზი დაბოლოს, ტოიოტა თითქმის 40 პროცენტით ამცირებს კაპიტალდაბანდებებს.

მალე, იმისათვის, რომ კომპანიებმა მოგებაზე იმუშაონ, მათ წლიურად 5.5-6 მილიონი ავტომობილი მაინც უნდა გამოუშვან. ჩვენ კი დღეს ამის ნახევარსაც ვერ ვაწარმოებთ. ამასთან, ჩვენ ერთადერთი კომპანია არ ვართ, რომელსაც წარმოების სასურველ მოცულობამდე ბევრი უკლია , - ამბობს მარკიონე.

ფიატის შეფი დასძენს, რომ მის კონცერნს რამდენიმე კომპანიასთან ალიანსის შექმნის თაობაზე აქვს მოლაპარაკება, თუმცა ის არ აკონკრეტებს მათ სახელებს. დასავლურ პრესაში კი გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ტურინელები ინტენსიურ მოლაპარაკებას ბეემვესთან და PSA პეჟო/სიტროენთან აწარმოებენ.

მარკიონე ამბობს, რომ გადარჩენილი კომპანიებიდან ერთი გერმანული იქნება, ერთი - ფრანგულ-იაპონური (ალბათ რენო-ნისანი , რომელიც ასევე რუსული ავტოვაზის მფლობელიცაა), თუმცა ვერც ამათ სახელებს აკონკრეტებს. ტურინელი დიდმოხელე არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ბედი შეიძლება ეწიოს ფოლკსვაგენს , ჰიუნდაის და მერსედეს-ბენცს. სამაგიეროდ, იმის გამოთვლა კი მოასწრო, რომ ფიატისა და PSA პეჟო/სიტროენის ალიანსის შექმნის შემთხვევაში, ახალი გაერთიანების წლიური მოცულობა კონკურენციისთვის საჭირო მინიმალურ მოცულობას (მარკიონესეულ) შესწვდება.



მარკიონე "ფერარის" ფორმულა ერთის გუნდის ბოქსში იშვიათი სტუმარია



სხვათა შორის, ფიატსა და PSA პეჟო/სიტროენს ახლაც მეტად პროდუქტიული თანამშრომლობა აკავშირებს. პირველ რიგში, ეს მინივენების წარმოებას ეხება - ამ ორი კომპანიის მიერ ერთობლივად შექმნილი კომერციული მინივენი ფიატ ფიორინო ახლახანს წლის საუკეთესო ფურგონად დაასახელეს. გარდა ამისა, ამ ორ ავტომწარმოებელს კიდევ რამდენიმე ერთობლივი პროექტი აქვს შექმნილი.

პარტნიორის ძებნის გარდა, ფიატს სხვა გეგმებიც აქვს. კერძოდ, ტურინელები იაფფასიანი ავტომობილების ბაზარზე ექსპანსიას აპირებენ. ამისათვის კი მათ ძველი მარკის - ტოპოლინოს აღდგენა აქვთ გადაწყვეტილი და ამ სახელით ისინი ავტომობილებს განვითარებად ქვეყნებში გაყიდიან.

ბრაზილიაში, ფიატის იქაური ფილიალის (FIASA) ინჟინრები გამალებით მუშაობენ ორ (კოდური სახელწოდებით 326 და 327) პროექტზე, რომელთა მიზანიც ორი სუბკომპაქტური მოდელის - პალიოსა და უნოს განახლებაა. რა თქმა უნდა, ეს ავტომობილები პირველ რიგში, ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის იქნება განკუთვნილი, თუმცა ისინი დასავლეთ ევროპაშიც გაიყიდება. სხვათა შორის, პირველი თაობის უნო , რომლის გამოშვებაც ფიატმა ჯერ კიდევ 1983 წელს დაიწყო, ბრაზილიაში ახლაც იყიდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ავტომობილი იქ ძალიან პოპულარულია.

რაც შეეხება ტურინელთა მესამე სიახლეს, ეს არის არანაკლებ პოპულარული სუბკომპაქტი სეიჩენტო (ანუ 600), რომელსაც ფიატის პოლონური ქარხანა ახლაც აწარმოებს. ტურინელები სწორედ ამ ავტომობილისთვის აპირებენ მარკა ტოპოლინოს დაბრუნებას. სამი ტურინული ჯუჯას ბაზარზე გამოჩენა 2011 წლისთვის იგეგმება.

ისევ მარკიონეს დავუბრუნდეთ. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ფიატის შეფის საკმაოდ არარეალური პროგნოზები მხოლოდ და მხოლოდ იმაზეა გათვლილი, რომ მან იტალიის მთავრობას დახმარება დასტყუოს. იმ დროს, როდესაც გერმანიის, საფრანგეთისა და შვედეთის მთავრობები თავიანთი ავტოინდუსტრიისთვის მილიარდობით ევროს იმეტებენ, ფიატი როგორღაც თამაშგარეში რჩება, რაც მარკიონეს აშკარად არ უნდა აწყობდეს. ჰოდა, პესიმისტური პროგნოზით ის ქვეყნის მთავრობის ყურადღების მიქცევას და მისგან დახმარებას ელის.

ყოველ შემთხვევაში, მორგან სტენლის ექსპერტი ადამ იონასი დარწმუნებულია, რომ ფიატი ერთი წლის შემდეგაც დამოკიდებელი იქნება, თუმცა შესაძლოა, რომელიმე კომპანიასთან (ალბათ PSA პეჟო/სიტროენთან ) პარტნიორული ურთიერთობა კიდევ უფრო გააღრმავოს.

ცნობისათვის, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თავისი ქვეყნის ყველა მოქალაქეს პირდება, რომ ძველი ავტომობილის ჩაბარებისა და ახალი, ეკონომიური ავტომობილის შეძენის შემთხვევაში, სახელმწიფო 1 000 ევროს შეაწევს. ასე სარკოზი ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს. ჯერ ერთი, ახალი ავტომობილები გაცილებით ნაკლებად აბინძურებენ ატმოსფეროს, ვიდრე 5-10 წლის წინ გამოშვებულები. მეორეც, მყიდველთა წახალისებით, ის ახალი ავტომობილების გაყიდვების სტიმულირებასაც ცდილობს.

მორგან სტენლის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ სახელმწიფოსგან დახმარებას არ მიიღებენ, ტურინელები მერმის თანამშრომლების დიდ შემცირებას დაიწყებენ, რაც მძიმე ტვირთად ისევ სახელმწიფოს მიუბრუნდება. ეს იმ დროს, როდესაც ფიატი იტალიაში ყველაზე დიდი სამრეწველო ჯგუფია და მისი შემცირებები ქვეყანაში სოციალურ ფონს ძლიერ გააუარესებს.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ფიატი პირველ რიგში, თავის იმ ორ ქარხანას დახურავს, რომლებიც ქვეყნის სამხრეთში, სიცილიასა და ნეაპოლის მახლობლად მდებარეობს. მათი დახურვა კი 6 000 ადამიანს სამუშაოს დაკარგვად დაუჯდება. ამასთან, კონცერნის უცხოური ქარხნების გაჩერება თითქმის არაა მოსალოდნელი.

გაზეთ კორიერე დელა სერას ცნობით, კრიზისთან დაკავშირებით, მარკიონეს კონსულტაციები აქვს ქვეყნის პრემიერ მინისტრ სილვიო ბერლუსკონისთან. ჯერჯერობით, იტალიის მთავრობას ავტომწარმოებლების დახმარების რაიმე კონკრეტული გეგმა არ გააჩნია. პირველ რიგში, განიხილება მყიდველისთვის ფულადი შეღავათის დაწესება იმ შემთხვევაში, თუ ის ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილს შეიძენს. ამასთან, არაა გამორიცხული უშუალოდ მწარმოებლებისთვის ( ალფა რომეოც და ლანჩაც ფიატის ჯგუფში შედის, ისევე როგორც ფერარი და მაზერატი ) სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება და პირდაპირი ფულადი დახმარებაც კი.

კრიზისის მიუხედავად, მარკიონე ამბობს, რომ ფიატი არ აპირებს ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატიდან თავისი გუნდის (ფერარი) მოხსნას. იმავდროულად, ის მიესალმება საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მიერ წამოწყებულ კამპანიას, რომლის მიზანიც ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებაა.

ცნობისათვის, ამ საუკუნის დასაწყისში კრახით დასრულდა ფიატსა და ჯენერალ მოტორსს შორის არსებული ალიანსი, რომლის საბოლოო მიზანიც მათი გაერთიანება იყო. მაშინ ფიატი მძიმე კრიზისში იმყოფებოდა, რის გამოც, ამერიკულმა კომპანიამ ის თავიდან მოიშორა და თან 2 მილიარდი დოლარიც აჩუქა.

ბევრს ეგონა, რომ გენერლებთან დაშორების შემდეგ, ტურინული ავტომწარმოებელი მალე გაკოტრდებოდა, მაგრამ კარგად გათვლილი რესტრუქტურიზაციისა და ბანკების დახმარებით (ბანკებმა ფიატის აქციები შეიძინეს, კონცერნის წელში გამართვის შემდეგ კი ეს აქციები იმავე ფასში მასვე მიჰყიდეს), ფიატი წელში გაიმართა და თითქმის დაიბრუნა ევროპაში დაკარგული პოზიციები.

P.S. გუშინ ფიატმა გამოაცხადა, რომ იტალიაში მოქმედი 20 ქარხნიდან 14 დროებით წყვეტს მუშაობას. გაჩერებულ ქარხნებში დასაქმებულთა რაოდენობა 48 ათასია. ტურინული კონცერნი ქარხნების გაჩერებას იმ გარემოებით ხსნის, რომ მნიშვნელოვნად შეუმცირდა გაყიდვები. ფიატს წელს 11 თვეში 1.053 მილიონი ავტომობილი აქვს გაყიდული, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.6 პროცენტით ნაკლებია.

## ზურაბ ნოღაიდელის გუნდის ანალიზით, მთავრობა ქვეყანას ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შეიყვანს

მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის" ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს მისი ეკონომიკური გუნდის მიერ შემუშავებული საბიუჯეტო პოლიტიკის პროგრამული დოკუმენტის პრეზენტაცია გამართა.

ამასთან, ნოღაიდელმა და მისი პარტიის წევრმა შოთა გვენეტაძემ მთავრობის 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი გააკრიტიკეს და აღნიშნეს, რომ ეს ბიუჯეტი საქართველოს ღრმა კრიზისში შეიყვანს.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, უნდა დასრულდეს ისეთი ბიუჯეტის და პოლიტიკური ხარჯების გაწერა, რომელიც ამ ხელისუფლების შესანარჩუნებლად კეთდება და აქცენტი სოციალურ და ეკონომიკურ, ასევე ჯანდაცვის საკითხებზე უნდა გაკეთდეს.

"2009 წლის ბიუჯეტს ქვეყანა კრიზისიდან არ გამოჰყავს. ბიუჯეტი პოლიტიკური ნიშნით არის შედგენილი. თავდაცვისა და შსს-ს ხარჯები მაღალია, რაც სააკაშვილს ხელისუფლების შესანარჩუნებლად სჭირდება. არ უნდა დაფინანსდეს ის პოლიტიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელისუფლების შესანარჩუნებლად სჭირდება სააკაშვილს," -განაცხადა ნოღაიდელმა და განმარტა, რომ 2009 წლის მთავრობის ბიუჯეტის პროექტი ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის გეგმას არ ისახავს, გადასახადების შემცირებით კი საეჭვო ხდება სხვადასხვა სფეროების დაფინანსება. ნოღაიდელის პროგნოზით, ხელისუფლებას თანხა არ ექნება და განსაკუთრებით დაფინანსების საკითხში დარტყმას სოციალური სფერო მიიღებს.

ნოღაიდელის თანაგუნდელ შოთა გვენეტაძის თქმით, მათი ანალიზის შედეგად, საგადასახადო შემოსავლებში 2009 წლის ბიუჯეტი 700-800 მილიონი ლარით გაირღვევა და ეს სოციალურ ხარჯებს დააწვება. მათივე შეფასებით, ხელისუფლების მოქმედებებიდან გამომდინარე, 2009 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის 5-7-პროცენტიანი ვარდნა, მნიშვნელოვნად შემცირდება ინვესტიციების მოცულობა, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები 10-10 პროცენტით შემცირდება, მოგების გადასახადიდან შემოსავალი იქნება დაახლოებით 100 მილიონი ლარის ფარგლებში, ანუ 6-ჯერ ნაკლები.

"მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის" ეკონომიკური კრიზისიდან დაძლევის გეგმაც წარმოადგინა. როგორც მათ განაცხადეს, მათ მიერ შეთავაზებული საბიუჯეტო პოლიტიკა მიზნად ისახავს დეფიციტის შემცირებას (სესხები არ უნდა იყოს მთლიან შიდა პროდუქტის 3 პროცენტზე მეტი), დაბალ ინფლაციას, ეკონომიკურ სტაბილურობას და გრძელვადიან 8-12 პროცენტიან ზრდას, სტაბილური სამუშაო ადგილების სწრაფად შექმნას. ნოღაიდელის გუნდი აცხადებს, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჯანდაცვის დაფინანსება 3-ჯერ გაიზრდება, განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება 2-ჯერ გაიზრდება, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა - 2-ჯერ. პრიორიტეტი იქნება ასევე სოფლის მეურნეობის და ინფრასტრუქტურის შექმნა.

## სემეკმა ყაზტრანსგაზ-თბილისი" 15 000 ლარით დააჯარიმა

სემეკმა ყაზტრანსგაზ-თბილისი" 15 000 ლარით დააჯარიმა. კომპანიამ მომხმარებლებს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ვალდებულებები დააკისრა - გაზიფიცირებისთვის ტექნიკურ პირობაში საფასურის მოთხოვნის გამო.

რაც შეეხება მრიცხველების საკითხს, რომლის გამოც სემეკი ყაზტრანსგაზ-თბილისის" დაჯარიმებას თავდაპირველად აპირებდა, ამ საკითხის განხილვა რამდენიმე თვით გადაიდო. გურამ ჩალაგაშვილის ინფორმაციით, ყაზტრანსგაზ-თბილისის" ხელმძღვანელმა მიიღო გადაწყვეტილება, აღადგინოს იმ აბონენტების გაზმომარაგება, რომლებმაც საკუთარი თანხებით მრიცხველის გამოცვლაზე უარი განაცხადეს. მრიცხველის დაზიანების გამო გათიშული აბონენტებისთვის ხვალვე მოხდება ბუნებრივი აირის აღდგენა," - დასძინა სემეკის თავმჯდომარემ. ამასთან, გურამ ჩალაგაშვილის თქმით, სემეკ-ში შევიდა კოლექტიური საჩივრებიც აბონენტებისგან. ყველა ამ განცხადების და საქმის შესწავლა, სავარაუდოდ, 1 აპრილისთვის დასრულდება, რის შემდეგაც ყაზტრანსგაზ-თბილისი", შესაძლოა, კიდევ ერთხელ დააჯარიმონ.

CMYK - 8




## ანაბარი "ჩემი სეიფი"

- თანხის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა
- მაღალი საპროცენტო სარგებელი

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს


CMYK - 8

ÀÂÅÉÓÔ Ï Ó  Ï Ì É  Ã À  Ì Ó Ï × Ë É Ï  Ê Ò É

Ô Ï Ó  Ï Ì É  Ã À  Ì Ó Ï × Ë É Ï  Ê Ò É Æ É Ó É  -